პოროსკოპების კრებული

ᲓᲠᲣᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ



ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

 თბილისი, „მერანი“, 1990 წ.

22.6 52
Თ 829

თარგმნეს და შეადგინეს
ᲒᲣᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲛᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

4762017200—159
Გ ——————— ᲑᲠᲫ. — 90
Მ 604 (08)-90

© გამომცემლობა „მერანი“

ბედის წიგნი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჰოროსკოპი ანუ ასტროლოგიური კალენდარი ვარსკვლავებზე, მცენარეებზე და ცხოველებზე დაკვირვების შედეგად შედგენილი ცხრილია, რომელსაც შუა საუკუნეების ასტროლოგები ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ იყენებდნენ.

დასაბამიდან მოყოლებული, კოსმოსური საიდუმლოებანი აიძულებდნენ ჩვენს წინაპრებს უფრო დაკვირვებით შეესწავლათ და გამოეკვლიათ მრავალმხრივი არამიწიერი წარმოშობის ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედება მათ სიცოცხლეზე. იცვლებოდნენ თაობები და გზადაგზა თანდათანობით იხვეწებოდა და ფართოვდებოდა მათი კოსმიური ხედვაც.

ბოლო წლების მეცნიერულმა დაკვირვებებმა ახალ-ახალი ფერებით გაამდიდრა ადამიანთა შემეცნება დედამიწის, მზის და კოსმოსის ურთიერთმოქმედების შესახებ. აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სიცოცხლე, უფრო მეტად, კოსმოსის დიდი ზეგავლენის შედეგია, ვიდრე დედამიწის. სიცოცხლის საერთო პულსი დიდად განისაზღვრება კოსმოსური რიტმებით და ჩვენც პლანეტაზე ფაქტობრივად კოსმიური დინამიკით ვცხოვრობთ.

ამიტომაც, დადგა დრო, გადავაფასოთ ძველი შეხედულებები ადამიანზე და, მთლიანად, კაცობრიობაზე, კოსმოსის ზემოქმედების შესახებ; გამოვყოთ ნამდვილი ასტროლოგია მისტიკური საიდუმლოებისაგან, ასტროლოგების ათასწლოვანი სტიქიური დაკვირვებები და მიგნებები დღეს ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ხშირ შემთხვევაში ჰოროსკოპში მოცემული ნიშნები ემთხვევა ამა თუ იმ პიროვნების ხასიათს, თვისებას, ცხოვრებისეულ ინტერესებს, ოჯახისა და მეუღლის მიმართ მის დამოკიდებულებას. ამიტომაც ჰოროსკოპი საშუალებას მოგცემთ თქვენთვის სასურველი თვისებების მიხედვით შეარჩიოთ ცხოვრების თანამგზავრი და დაუკავშიროთ ბედი.

გისურვებთ წარმატებებს!..

დრუიდების ჰოროსკოპი

ცხრილი

მცენარის დასახელება	თვეები და რიცხვები
ვაშლის ხე	22 დეკემბერი — 1 იანვარი, 25 ივნისი — 4 ივლისი
სოჭი	2 იანვარი — 11 იანვარი, 5 ივლისი — 14 ივლისი
თელა	12 იანვარი — 24 იანვარი, 15 ივლისი — 25 ივლისი
კვიპაროსი	25 იანვარი — 3 თებერვალი, 26 ივლისი — 4 აგვისტო
ალვა	4 თებერვალი — 8 თებერვალი, 5 აგვისტო — 13 აგვისტო
წნორი	9 თებერვალი — 18 თებერვალი, 14 აგვისტო — 23 აგვისტო
ფიჭვი	19 თებერვალი — 28/29 თებერვალი, 24 აგვისტო — 2 სექტემბერი
ტირიფი	1 მარტი — 10 მარტი, 3 სექტემბერი — 12 სექტემბერი
ცაცხვი	11 მარტი — 20 მარტი, 13 სექტემბერი — 22 სექტემბერი
თხილი	22 მარტი — 31 მარტი, 24 სექტემბერი — 3 ოქტომბერი
ცირცელი	1 აპრილი — 10 აპრილი, 4 ოქტომბერი — 13 ოქტომბერი
ნეკერჩხალი	11 აპრილი — 20 აპრილი, 14 ოქტომბერი — 23 ოქტომბერი
კაკალი	21 აპრილი — 30 აპრილი, 24 ოქტომბერი — 2 ნოემბერი
ჟასმინი	1 მაისი — 14 მაისი, 3 ნოემბერი — 11 ნოემბერი
წაბლის ხე	15 მაისი — 24 მაისი, 12 ნოემბერი — 21 ნოემბერი
კოპიტი	25 მაისი — 3 ივნისი, 22 ნოემბერი — 1 დეკემბერი
რცხილა	4 ივნისი — 13 ივნისი, 2 დეკემბერი — 11 დეკემბერი
ლეღვის ხე	14 ივნისი — 23 ივნისი, 12 დეკემბერი — 21 დეკემბერი
მუხა	21 მარტი — გაზაფხულის ბუნიობა
არყი	24 ივნისი — ზაფხულის დაპირისპირებულობა
ზეთისხილი	23 სექტემბერი — შემოდგომის ბუნიობა
წიფელი	21—22 დეკემბერი — ზამთრის დაპირისპირებულობა

დრუიდების ჰოროსკოპი



დრუიდების ჰოროსკოპი, რომელსაც ზოგჯერ გალიურ ჰოროსკოპსაც უწოდებენ, დაახლოებით ორიათას წელს ითვლის.

გალია მოიცავდა მდინარე პოსა და ალპებს შორის მდებარე ტერიტორიას და ალპებს, ხმელთაშუა ზღვას, პირინეებს, თანამედროვე ჩრდილოეთ იტალიას, საფრანგეთს, ლუქსემბურგსა და ბელგიას, აგრეთვე ნიდერლანდებს და შვეიცარიის ნაწილს. ძვ წ. VI საუკუნიდან გალიის ტერიტორია დასახლებულია კელტებით, რომლებიც წარმოადგენენ ენითა და მატერიალური კულტურით მონათესავე ტომებს. რომაელები მათ გალებს ეძახდნენ. კელტებმა ძვ. წ. 390 თუ 387 წელს დაიპყრეს და გადაწვეს რომი. კელტების სახვით ხელოვნებაში გავრცელებული იყო ლითონზე გრავირებით ან რელიეფურად შესრულებული ორნამენტი. ლითონისა და ქვის ქანდაკებას (სტილიზებული ნიღბები, ღმერთების გმირთა, ცხოველებისა და სხვა მცირე ფორმის ფიგურები) ახასიათებს თავისებურად სახეცვლილი ანტიკური გავლენა. კელტების პრიმიტიული ნაგებობანი ჰქონდათ, გავრცელებული იყო ნახევრად მიწური, გეგმით სწორკუთხა სამლოცველოები, მარტივი, კარკასული სამეურნეო შენობები, აგებდნენ ქვის გამაგრებულ დასახელებებს, რომლებიც შემდეგ ქალაქ-სიმაგრეებად გადაიქცა.

ტომის წარჩინებულებთან ერთად დრუიდები წარმოადგენდნენ კელტების გაბატონებულ ფენას. ისინი იყვნენ ქურუმები ძველ კელტებში, ბრიტანეთში და ირლანდიაში. გარდა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა, ისინი ასრულებდნენ აგრეთვე სამართლებრივ ფუნქციას. იულიუს ცეზარის ცნობებით („ჩანაწერები გალიელთა ომების შესა-

ხებ“) დასტურდება რომ დრუიდები დიდ როლს ასრულებდნენ კელტების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

დრუიდები წარმოადგენდნენ გარკვეულ კარჩაკეტილ კასტას, რომლებიც კელტთა ტრადიციებს იცავდნენ და საუკუნეებიდან საუკუნეებს გადასცემდნენ თავის რწმენას და წეს-ჩვეულებებს. დრუიდებისათვის მოღვაწეობის დაწყებამდე აუცილებელი იყო ოც წელს მარტობაში ყოფნა. ისინი ძირითადად ტყეში ცხოვრობდნენ, რადგანაც ტყე მათთვის ყველაზე წმინდა ადგილს წარმოადგენდა. ამ გამოცდას უნდა განემტკიცებინა მათი ხასიათი, რაც თავშეწირვის პირველ საფეხურად ითვლებოდა. ქურუმები ადგენდნენ კალენდარს, რომელშიც აღნიშნული იყო ტომთათვის სასიკეთო დღეები. ისინი ითვლებოდნენ წარსულის დამცველებად და მომავლის წინასწარმეტყველებად.

დრუიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტყეებს, სადაც ცხოვრება უხდებოდათ. ისინი მსგავსებას ამჩნევდნენ ხეებსა და ადამიანებს შორის და ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადამიანს, როგორც ხეს, აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი, ღირსება, ნაკლი და თითოეული ადამიანი საჭიროებს სიცოცხლისათვის გარკვეულ პირობებს.

დრუიდები ყურადღებით აკვირდებოდნენ ზამთარში და ზაფხულში მზის მდებარეობის ცვალებადობას, გაზაფხულისა და ზაფხულის ბუნიობას. ამ დღეებში აწყობდნენ საზეიმო მსვლელობებს და მზეს თეთრ ხარებს სწირავდნენ.

დრუიდების ჰოროსკოპის ძირითად საფუძველს წარმოადგენს დედამიწასთან მზის მიმართება. მას შეესატყვისება ადამიანის ბედი, მომავალი, თვისება და შესაძლებლობანი, ყოველივე ეს დამოკიდებულია მზის დაშორებაზე დედამიწისაგან, ადამიანის დაბადების დროს. ამიტომ ყოველ ნიშანს აქვს მოქმედების ორი პერიოდი.

მთარგმნელებისაგან

ვაშლის ხე

(22.12 — 1.01. 25.06. — 4.07.)

იშვიათად იზრდება მაღალი, შესახედავად მოხდენილია, სიმპათიური, კარგი აღნაგობა აქვს. არის მიმზიდველი და გულითადი. სავსეა სიყვარულით მაშინაც კი, როცა სატრფოზე არ ფიქრობს (რაც იშვიათად ხდება).

ვაშლის ხე ძალზე მგრძნობიარე და სენტიმენტალურია. აინტერესებს სიყვარულის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მხარე, ამიტომაც ამ დროს დაბადებულნი ხშირად ქორწინდებიან გრძნობის გარეშე. (ვაშლის ხე ერთობ მრავალმხრივია), ოღონდ ეს არ გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ, რომ საბოლოოდ უარს ამბობს სიყვარულზე და მაღალ გრძნობებზე.

პარტნიორი თუ სულისა და გემოვნების შესაფერი შეხვდა, სანიშუშო ცოლქმრობა ექნებათ. ვაშლის ხე გვიან ასაკამდე მთელი ცხოვრება ერთგულია როგორც ოჯახური თანაცხოვრების, ასევე თავისუფალი კავშირის დროს. უანგარობისა და უყაირათობის გამო ხშირად უშვებს შეცდომებს. იგი ლუკმას გაგიყოფს, საკუთარ პერანგს ჩაგაცმევს.

ვაშლის ხე სავსეა ღირსებით, მაინცდამაინც დიდად არ ნაღვლობს ხვალინდელ დღეზე და მხოლოდ დღევანდელობით ცხოვრობს. დროდადრო ავიწყდება თავისი მოვალეობა, რასაც საერთოდ დიდ ყურადღებას უთმობს. არის ფანტაზიით სავსე ფილოსოფოსი, შეჰხარის სიცოცხლეს და სრულიად არ ცდილობს, ვინმე რაიმეთი გააკვირვოს.

ნურავინ მიიჩნევს მას მსუბუქი ჭკუის პატრონად. აზრიანს, ლოგიკურსა და ინტელექტუალურს მიდრეკილება აქვს მეცნიერებისადმი; კითხულობს ყველაფერს, რაც მისი ინტერესის სფეროში შედის, აქვს ძალზე ღრმა ცოდნა, მაგრამ ამით თავს არ იწონებს, კითხულობს მხოლოდ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ერთნაირად აინტერესებს მეცნიერული თეორიები და კარგი სამზარეულო.

ემოციურ სფეროში უყვარს მრავალფეროვნება. ბედნიერებაც კი, თუ ის უხინჯო და ერთფეროვანია, მოწყენილობას გვრის, ზოგჯერ თვითონვე ირთულებს ცხოვრებას და ეს მოსწონს კიდეც.

ვაშლის ხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: გულითადობა, ინტელექტუალობა, ფიქრი, ლოგიკურობა და ანალიტიკური გონება.

ვაშლის ხის ნიშნით დაიბადნენ: რუბენსი, ჰენრი VIII, რუსო, ჟორჟ სანდი და ნეკერ.

სოჰი
(2.01—11.01; 5.07.—14.07)

სოჰის ხე ლამაზია, მაგრამ როგორღაც ცივი სილამაზის პატრონი. უყვარს სუნამოს სუნი, ძველებური სამკაულები, ნივთები და დღესასწაულები. ჭირვეულია, რის გამოც ხშირად უჭირს თანაცხოვრებისას საერთოსა და საზიაროს გამონახვა. იმდენად აქვს განვითარებული განკერძოებულობის გრძნობა, რომ დიდ კოლექტივშიც თავს ეულად გრძნობს. ადვილად არ ექცევა სხვათა გავლენის ქვეშ. იშვიათად გამოთქვამს თავის შეხედულებას, არ გამოირჩევა დიდი მჭევრმეტყველებით და სიხალისით. ძალიან ამაყია და მიზანსწრაფული.

იშვიათად არის სიყვარულით კმაყოფილი. მომთხოვნია და პრინციპული, ყოველთვის ცდილობს მეტი მიიღოს ცხოვრებიდან და ამას. როგორც წესი, აღწევს კიდეც, კარგად აფასებს რა თავის ღირსებებს, ხდება, რომ თავდავიწყებით შეუყვარდება და მაშინ მთელი მისი შინაგანი სამყარო განწირულია მარცხისათვის, იმდენად უსაზღვრო შეიძლება იყოს მისი სიყვარული. განსაკუთრებულად ნიჭიერია, გამოირჩევა ანალიტური გონებით, აქვს მიდრეკილება მეცნიერებისადმი, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევს წარმატებას. ზოგჯერ ისეთ სფეროში უწევს მუშაობა, რომელთანაც არავითარი საერთო არა აქვს არც მიდრეკილებებით, არც სპეციალობით.

სამუშაოს ეკიდება სერიოზულად და გამოირჩევა კეთილსინდისიერებითა და დიდი პასუხისმგებლობით.

როდესაც არჩევანის წინაშე დგას სხვადასხვა ვარიანტიდან ყველაზე რთულს ამჯობინებს. მისი მოწოდებაა შექმნას გამოუვალი სიტუაცია, როგორც თავისთვის, ასევე სხვებისთვისაც.

კეთილშობილია, უყოყმანოდ შეიძლება ენდოთ ნებისმიერ სიტუაციაში. არ ეცემა სულით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი, არ კარკავს იმედსა და რწმენას, სოჭი არად დაგიდევთ წვრილმანებს. ის მომთხოვნია, და პატარ-პატარა სიამოვნებებით არ კმაყოფილდება.

სოჭის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: ინტელექტუალური გონება, მიდრეკილება ანალიზისადმი, ლოგიკა, ასკეტიზმი.

სოჭის ნიშნით დაიბადნენ: ჟანა დ' არკი, ა. ტოლსტოი, გოლზუორთი, ნაპოლეონ ბონაპარტე.

თელა

(12.01—24.01) (15.07—25.07)

დიდი, ტანადი, ლამაზი თელა ერთობ მიმზიდველია გარშემო მყოფთათვის. აქვს შინაგანი თავდაჭერილობა. მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს საკუთარ თავს, იცვამს უბრალოდ, ხშირად უჭირს შეელიოს ძველ, საყვარელ ჩასაცმელს.

თელას არ უყვარს ცხოვრების გართულება. ყოველთვის მშვიდია და გაწონასწორებული, დინჯია, უყვარს მორალის ქადაგება, რაც მისი ყველაზე აუტანელი თვისებაა.

პირდაპირია, გულგახსნილი და გულუხვი. სჯერა ადამიანის სიკეთისა. ყველაფერს, რაც მართებულად მიაჩნია უანგაროდ იცავს და სჯერა, რომ ადრე თუ გვიან აღიარებენ. სხვებზე ძლიერ განიცდის წარუმატებლობას. შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს ახლობლებისათვის. განვითარებული აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

თელა ძალზე მგრძნობიარეა სიყვარულში. თუ არჩევანი იღბლიანია, თელას შეუძლია ისეთი პირობები შექმნას, რომ მის სახლში სიყვარულმა ბრილიანტის ქორწილს იქითაც იარსებოს.

უყვარს, როცა თვითონ არის ხელმძღვანელი, იშვიათად რომ ვინმეს დაემორჩილოს. შეუძლია გავლენა იქონიოს სხვებზე და ამით არც ისე იშვიათად სარგებლობს. ხალხთან დამოკიდებულებაში მოხერხებულია, დიდი სიყვარულის სანაცვლოდ, რომელსაც თვითონ ვასცემს, ასევე დიდ გრძნობას მოითხოვს.

იქონიეთ მასთან მოთმინება, ის ღირსია ამის. შეუძლია იყოს ეთ-

გული, აქვს საღად განსჯის უნარი და მარჯვე, გაწაფული ხელები, გამოირჩევა სხარტი გონებით, არის კონკრეტული და პრაქტიკული. სასოწარკვეთილების ჟამს ხშირად შველის იუმორის გრძნობა.

ცხოვრებას სიამოვნებაში გალევს, სასოს არასოდეს წარიკვეთს, მოკლედ, ისე ააწყობს ყველაფერს, როგორც სურს.

თელას ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: დაკვირვება, ორგანიზატორული ნიჭი, რეალიზმი.

თელას ნიშნით დაიბადნენ: მოლიერი, ედგარ პო, სტენდალი.

კვიპაროსი
(25.01. — 3.02; 20.07. — 4.08)

ტანადია, ძლიერი სილუეტითა და სადა, სწორი ნაკვთებით. აო აკლია დახვეწილობა. მასში არის რაღაც ისეთი, რაზედაც ცივილიზაციას თავისი უარყოფითი დაღი არ დაუმჩნევია. კმაყოფილდება მცირედით და კარგად ერგება სიტუაციას. ეგუება ყოველგვარ ცხოვრებისეულ პირობებს და თავს ბედნიერად თვლის. სწრაფად აღწევს დამოუკიდებლობას.

მნიშვნელობას არ ანიჭებს წარმატებას, არად დაგიდევთ დიდებას, ფულებს. ამქვეყნად ერთადერთი რამ სურს, — იყოს ბედნიერი. გაურბის ყველაფერს, რამაც შეიძლება პრობლემის წინაშე დააყენოს. ზაფხულობით ხშირად მოგზაურობს. უყვარს ცხოველები და ნადირობა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად დაინახავთ ღრმა ფიქრებში ჩაძირულს, მარტოობას არ ესწრაფვის. ცდილობს ცხოვრება ისე მოაწყოს, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდეს და გარშემორტყმული იყოს მეგობრებით. არ არის სენტიმენტალური. ხშირად უხეშია, მაგრამ არც ადამიანური სითბო აკლია; მკაცრია, მაგრამ ამასთანავე მშვიდიც. საზოგადოებაში მიღებულია. მისი გამოჩენა ყველაზე დამამშვიდებლად მოქმედებს.

კვიპაროსს უყვარს ოცნება. ცხოვრების დინებას როგორღაც მექანიკურად მისდევს, ნაკლებად ზრუნავს მის უკეთ მოწყობაზე, ფიქრებში ჩაფლული, ოცნებით დაფრენს უცხო მხარეში. მწვავე დისკუ-

სიებს, იმის მიუხედავად თუ რაზეა კამათი, ყოველთვის გაურბის. კაცმა რომ თქვას, ის რაც მის ხასიათში მოსწონთ, არის ელასტიურობა. დიდი ერთგულებით არ გამოირჩევა, მაგრამ ზოგჯერ ერთგულია თავისი სიყვარულის, მეგობრობის, წარსულის და თუ ვინმესადმი გრძნობა გამოამჟღავნა, ამ უკანასკნელს შეუძლია უყოყმანოდ მიმართოს დახმარებისათვის.

მის ინტელექტუალობას საზრიანობა განსაზღვრავს. უყვარს სხვადასხვა საკითხებზე საქმიანი მსჯელობა. ამასთან მისი მსჯელობა აწონილ-დაწონილია და აზრიანი.

მისი ცხოვრება უფრო ხშირად მშვიდია, რადგანაც მათ შორის ტრიალებს, ვინც უყვარს.

კვიპაროსის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: გრძნობის მუდმივობა, ლოიალობა, რეფლექსურობა, ინტელექტუალობა, ანალიტური გონება და ლოგიკურობა.

კვიპაროსის ნიშნით დაიბადნენ: შუბერტი, მოცარტი, რომენ როლანი, რუზველტი, ლუი არმსტრონგი.

ალვის ხე

(4.02.—8.02; 5.08—13.08)

თავიდანვე გამოირჩევა დეკორატიულობით, ტანადობითა და სილამაზით. წლებთან ერთად თავს თვითონვე უქმნის პრობლემებს. დროის დინებისადმი ძალიან მგრძნობიარეა, საკმაოდ ადრეული ასაკიდან აშინებს სიბერე და ამ შიშის გამო კიდევ უფრო ბერდება. მხოლოდ გარშემო მყოფთ შეუძლია დამამშვიდებლად იმოქმედონ მასზე, ამიტომ გულდასმით უნდა შეარჩიოს ის ხალხი, ვისთანაც მოუწევს ურთიერთობა.

ასევე დიდი ყურადღება მართებს ადგილსამყოფელის გამოცვლისას. ალვის ხის გაზრდისათვის ყველა პირობა როდია ხელსაყრელი. ალვა ცუდად გრძნობს თავს სივიწროვეში, თუმცა მარტოდ, განკერძოებულად ცხოვრებასაც ერიდება. სურს ყავდეს მეგობრები, მაგრამ ძალიან ცუდად გრძნობს თავს მათ შორის, ვინც თვითონ არ აურჩე-

ვია. ვერ იტანს თავისუფლების შეზღუდვას და ადვილად ეუფლება პესიმიზმი.

სიყვარულში ძალიან მგრძნობიარეა: ყოველგვარ წვრილმან უსიამოვნებას წონასწორობიდან გამოჰყავს, ხშირად უჩუყდება გული, მაგრამ ახერხებს ამის დამალვას. გულაჩუყებით იგი როგორღაც კმაყოფილებასაც კი განიცდის.

ალვა გაბედულია და ამაყი, რაც ეხმარება დაძლიოს ყოველგვარი სირთულე. იშვიათად ნახავთ შეშფოთებას. ისინი, ვინც კარგად არ იცნობენ მხიარულ და მშვიდ ადამიანად მიიჩნევენ.

მატერიალისტად არ ჩაითვლება, აქვს მიდრეკილება ალტრუიზმისადმი, ამასთან ერთად, ორგანიზებულია და ერთი წუთითაც არ ივიწყებს მომავალს. ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იშვიათად არის ბედნიერი, ძალზე მგრძნობიარეა და მეტისმეტად თავნება. მისი იარაღი ცოლ-ქმრულ კინკლაობაში ღიმილითა და ხუმრობით შეჯერებული გულგრილობაა. თუ კი სხვაგვარად მოქცევას ვერ შეძლებს, უნარი აქვს თავი შეიკავოს პარტნიორთან შეტაკებისაგან.

აქვს მახვილი გონება, რომელიც სიბერეშიც არ უჩლუნგდება. გამჭრიახობა, ზოგჯერ კიდევაც ჯაბნის მის ამბიციებს. მრავალი ალვაა მედიცინის მუშაკთა შორის.

ალვის ხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: დამოუკიდებლობა, ნერვასტენია, ოცნება, ინტუიცია და ფანტაზია.

ალვის ხის ნიშნით დაიბადნენ: მენდელეევი, ჟიულ ვერნი, სალვადორ დალი.

სამხრეთის წნორი
(09.02—18.02; 14.08—23.08)

ტოტებგაშლილია, ძლიერი, თუმცა არც ისე ტანადი, ტოვებს სოლიდური და ლამაზი მცენარის შთაბეჭდილებას. ადვილად ეუგება ყოველგვარ პირობებს. მართალია, კარგად მოწყობილ ცხოვრებაზე არც ის იტყვის უარს, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგა, ღია ცის ქვეშ გაათენებს. შესაშური ჯანმრთელობის პატრონია, ყველგან შინაურად გრძნობს თავს, და, საერთოდ, არ არის მოკრძალებული, თავისი გან-

საკუთრებულობის გამო ვერ წვდება და, ამდენად, ვერც იტანს ჩუმ-
რობას.

სურვილი აქვს მოხიბლოს გარშემო მყოფნი, მიიქციოს ყველაა
ყურადღება. მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი, ოღონდაც
ამას მიაღწიოს. მიაჩნია, რომ ყოველგვარი გადაწყვეტილება დამოუკი-
დებლად უნდა მიიღოს და თქვას საბოლოო, გადამწყვეტი სიტყვა.
უცებ წყვეტს რთულ საკითხებს. არ ითვალისწინებს საშიშრო-
ებას და ამგვარი წინდაუხედაობის გამო ხშირად ვარდება რთულ სი-
ტუაციაში. საბედნიეროდ უნარი აქვს, ადვილად დააღწიოს თავი ამ
მდგომარეობას. ამაყია და ამპარტავანი, ამასთან ერთად, გამოუსწო-
რებელი ოპტიმისტი, რაც ერთგვარად განაპირობებს მის დაუდევარ
მოქმედებას, როგორც საქმიან, ასევე პირად ურთიერთობებში. მიდ-
რეკილია უკიდურესობებისადმი. ის ხშირად ბრმა იარაღია იმის ხელ-
ში, ვისაც გამოცდილება და ჭკუა არ აკლია. ამ ნიშნით დაბადებუ-
ლებში ბევრია გმირიც, წამებულიც.

სხვათა გავლენის ქვეშ მყოფს, თვითონაც აქვს სურვილი ზეგავლე-
ნა მოახდინოს სხვებზე.

მგრძნობიარეა და სენტიმენტალური. სიყვარულს სერიოზულად
ეკიდება. ინტელექტუალურია და უნარი აქვს პრობლემათა სინთეზი-
რებისა. სიჩქარე, რომლითაც ის მოიფიქრებს და გადაწყვეტს რამეს,
ხელს უწყობს გამოავლინოს მსახიობური ნიჭი. თავგადასავლებისათ-
ვის დაბადებულს უყვარს მოძრავი და მრავალფეროვანი შრომითი
საქმიანობა.

ამ ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: იმპულსურობა,
ოპტიმიზმი, ინტელექტუალობა, დედუქციის უნარი.

ამ ნიშნით დაიბადნენ: გალილეი, ბრეხტი, დარვინი, გოეთე.

ფიჯვი

(19.02 — 29.02; 24.08 — 2.09)

ნატიფი სილუეტით, ლამაზი და დეკორატიული ხაზგასმით წარმო-
აჩენს საკუთარ ღირსებებს. უყვარს ძვირფასი ნივთები, სახლი, ლამა-
ზი ინტერიერი, ხშირად ყოველივე ამის შეძენა თავად უხდება. მან
იცის, რაც უნდა და ბრმად არ მიყვება ცხოვრებას. არავის ემორჩი-

ლება, პირიქით უნარი აქვს ირგვლივ ყველა და ყველაფერი თავის სურვილებს დაუმორჩილოს.

წინააღმდეგობას გაბედულად, თავაწეული ხვდება და არავის აძლევს უფლებას დაჩაგროს. გაბედულებისა და ნიჭის წყალობით ხშირად მიდის რისკზე და შედეგსაც კარგს ღებულობს. მიუხედავად იმისა თუ რა სახის საქმიანობას ეწევა, ყოველთვის აღწევს წარმატებას.

ფიქვი შეუპოვარია და შეუფერხებლად მიყვება თავის არჩეულ გზას. იშვიათად, რომ ამ გზიდან გადაუხვიოს. თავს დაიძვრენს ყოველგვარი რთული სიტუაციიდან. სწრაფად და ზუსტად მოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვათა მიმართებაში სითბოს ამჟღავნებს და კარგ მეგობრადაც ითვლება, ზედმეტად არც თავს შეიწუხებს და არც გულუხვია. ყველაზე წინ აყენებს საკუთარ კეთილდღეობასა და ცხოვრების კეთილმოწყობას. ვინმეს უბედურებით მაინცდამაინც არ იწუხებს თავს, თუმცა სხვებთან ამ უბედურებაზე თანაგრძნობით ლაპარაკობს. მისი სუსტი წერტილი სიყვარულია. ის ადვილად იხიბლება.

ყველაფერ ამასთან აქვს კარგი ორგანიზატორის ნიჭი. ყველა ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს მიზანს და აღწევს კიდევაც. შეუძლია ღირსეულად დააღწიოს თავი უსიამოვნებებს. ფიქვის ნიშნით დაბადება სასურველია უფრო ქალთა სქესისათვის.

ფიქვის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: ესთეტიკური გონება, ორგანიზატორული ნიჭი, ანალიზის უნარი, ფიქვის ნიშნით დაიბადნენ: კოპერნიკი, ვაშინგტონი, შოპენი, კარუზო, ელიზაბეტ ტეილორი, ნაპოლეონის დედა, შოპენჰაუერი.

ტირიფი
(1.03—10.03; 3.09—12.09)

მელანქოლიური სილამაზე ტირიფს ანიჭებს მომხიბვლელობას და თავისებურებას. მის მშვენიერებაში არის რაღაც იდუმალი (განსაკუთრებით ეს ეხებათ ქალებს) მას აქვს ბუნდოვანი აზრები და გაუცნობიერებელი სურვილები, რომელთაც თავადაც ვერაფერს უგებს.

ძალიან მგრძნობიარეა, უყვარს მზის სითბო და წყლის პირზე ყოფნა, რეაგირებს ყოველგვარ სუნზე და გემოზე. უარს არასოდეს ამბობს თუნდაც წუთიერ სიხარულზე და ტკბება ამით. ნუ ენდობით მის გარეგან უწყინარობას. შინაგანად შეუპოვარია და კარგად იცის რაც უნდა. არასოდეს არავის აწყენინებს, რადგანაც ბუნებით მოკრძალებულია და არც სურვილი აქვს, ვინმეს მბრძანებლობდეს.

პოეტურია. მის მელანქოლიას, მოახლოებული შემოდგომისა და ცვალებადი დროის გამო, ნუ მიიღებთ სერიოზულად და ნურც პესიმისტად ჩათვლით. ძნელია მისი პარტნიორობა, რადგანაც არა აქვს სწრაფი ადაპტაციის უნარი და არ უყვარს კომპრომისები.

მისი სისუსტე მხოლოდ ტაქტიკაშია. დროდადრო, გართობის ან თუნდაც პირადი სარგებლობის მიზნით მას შეუძლია ბრწყინვალედ გაითამაშოს უმწეო არსების როლი. საერთოდ, შესანიშნავად იცავს თავს ცხოვრებაში.

უფრო რომანტიკულია, ვიდრე სენტიმენტალური. გრძნობებს პოეტური ელფერით მოსავს. აქვს არტისტული ნიჭი, ინტუიციისა და მდიდარი წარმოსახვის უნარი. ზოგჯერ კარგი ფსიქოლოგია, რაც ეხმარება გამოიცნოს სხვისი აზრები და სურვილები. მისი ცხოვრება შეიძლება წარმართულიყო სავსებით მშვიდად, თუ არა სიყვარულით გამოწვეული ტანჯვანი. არ მიიღოთ სერიოზულად მისი ნათქვამი, რომ არაფრად აგდებს გრძნობებს ტანჯვის გარეშე.

ტირიფის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: ინტუიცია და მდიდარი წარმოსახვა.

ამ ნიშნით დაიბადნენ; სმეტანა, ელიზაბეტა I (ინგლისი), მორის შევალიე.

ცაცხვი

(11.03—20.03; 13.09—22.09)

მეტად მომხიბვლელია და შეუძლია ამ ღირსებით სარგებლობა. ყველას თავბრუს ახვევს. ოცნებობს სტაბილურ, უზრუნველყოფილ, კეთილმოწყობილ ცხოვრებაზე და არ უფიქრდება, რომ ყოველივე ამას მისთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან

ადვილად ეგუება ყოველგვარ პირობას. მისთვის კარავიც კი საკმარისია, რათა ოჯახური ატმოსფერო შექმნას. ერთი შეხედვით წყნარი და აუჩქარებელია, სიმშვიდის მოყვარე და მშიშარა. პესიმისტია. ხშირად ცაცხვი მთელ თავის სიცოცხლეს მოწყენილობაში ატარებს. მოწყენილობა მისი მთავარი მტერია.

მგრძნობიარეა და ცვალებადი მლიქვნელობისადმი. წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს და ძნელია მისი გამოცნობა. მისი უეჭველი ღირსებაა ის, რომ ძალიან სიმპათიურია. ურთიერთობაში სასიამოვნოა და ტოვებს ფსიქიკური კომფორტის გრძნობას. ცაცხვი მოთმინებით უსმენს თანამოსაუბრეს. პატივისცემით ეპყრობა ახლობლებს და არ ცდილობს მათზე უფროსობას. ის ძალიან უყვართ მაშინაც კი, როდესაც მაინცდამაინც არ ენდობიან.

აქვს პრაქტიკული ნიჭი, მიდრეკილება ტექნიკისადმი, კარგი ამთვისებელია თუ გაუმართლებს და ცხოვრების გზაზე შესაფერის მეწყვილეს შეხვდება, შეიძლება დაძლიოს წინააღმდეგობრივი ხასიათი. აქვს ღირსების გრძნობა, ზოგჯერ უმიზეზოდ ეჭვიანობს.

ცაცხვის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: დაკვირვებულობა, რეალიზმი, ორგანიზატორული უნარი.

ცაცხვის ნიშნით დაიბადნენ: ეინშტეინი, ლუდოვიკო XIV.

თხილი

(22.03—31.03. 24.09—3.10).

ხშირად სუსტია და შეუხედავი, არასოდეს დადის სხვის ჭკუაზე. როცა კარგად გაიცნობთ, აღმოჩნდება რომ საკმაოდ მომხიბვლელია და აქვს ორიგინალური ხედვა.

თხილი მცირედით კმაყოფილდება და ეგუება ყოველგვარ პირობას. მისი გარეგნობა თითქმის მაგიურად მოქმედებს. თუ მოინდომა იოლად მოგაწონებთ და შეგაყვარებთ კიდევაც თავს. ხან კეთილი, ბრძენი და მომთმენია, ხან კიდევ საშიში, ბოროტი და მავნებელი. ყველა ამ თვისებას დადებითს თუ უარყოფითს — ამყღავნებს იმის მიხედვით, თუ როგორ გუნებაზეა იმ წუთას, ანდა საკუთარი ჭირვე-

ულობის დასაკმაყოფილებლად. თხილს უკიდურესი სიკეთე და უკიდურესი ბოროტება ახასიათებს, ამიტომაც იყო იქნებ, რომ შუა საუკუნეებში ამ ნიშნით დაბადებულებს ხშირად სწამებდნენ ჯადოქრობას და ალბათ, არც მთლად უმიზეზოდ.

თუ კი ვინმე უყვარს, ყველაფერს აკეთებს მისთვის, რათა გაუიოლოს ცხოვრება, მაგრამ მასთან იმათ კი, ვინც მის სიმპათიას არ იმსახურებს, სიფრთხილე მართებთ.

მიუხედავად უბრალოებისა და თავდაჭერილობისა, არასდროს რჩება შეუმჩნეველი. ძალზე ორიგინალურია და ყველასაგან განსხვავებული, გამუდმებით ჯიბრში უდგას ცხოვრებას.

აქვს უნარი გამოიცნოს ყველაზე დაფარული აზრები, წამოაყენოს მოულოდნელი წინადადებანი. ისე იქცევა, რომ მისგან ყველაფერს უნდა მოელოდეთ. თუ ხშირად ზედმეტ ინიციატივას იჩენს, ზოგჯერ მეტისმეტად პასიურობს.

სიყვარულში უკიდურესობანი ახასიათებს. შეიძლება იყოს ძალზე კარგი, ან აუტანელი, მტანჯველი პარტნიორი. განწყობილება სწრაფად ეცვლება. მასთან ცხოვრება სიმშვიდეს არავის პირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, საინტერესოა.

გამოირჩევა მრავალმხრივი ცოდნით. ითვისებს არაჩვეულებრივად სწრაფად და ადვილად. როგორ გამოიყენებს მის ცოდნას, კარგად თუ ცუდად ეს მის სურვილზეა დამოკიდებული.

თხილის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: ინტუიცია, სინთეზის უნარი, ფანტაზია.

თხილის ნიშნით დაიბადნენ: რაფაელი, გოია, ვან გოგი, პროსპერ მერიმე, სოფი ლორენი, სერვანტესი, ტოსკანინი, მარსელ მარსო.

ცირცელი
(1.04—10.04; 4.10—18.10)

ერთი შეხედვით უღონო და სუსტი. არაჩვეულებრივად ამტანია. საყვარელი და მომხიბვლელია. სიარულის მსუბუქ მანერაზე შორიდანვე იცნობა. თითქმის მუდამ ღიმის, არა შინაგანი მხიარულების, არამედ უფრო თვითკონტროლის გამო. შეუძლია გამოამქღავნოს სა-

კუთარი ღირსება, უყვარს კარგად ჩაცმა. გამოირჩევა ნატიფი გემოვნებით.

სწრაფად ეგუება გარემოთა ცვალებადობას, ცდილობს ახლობლებს მიანიჭოს სიხარული, თუნდაც ამან ზიანი მოუტანოს პირადად მას. არ არის ეგოისტი, მაგრამ ეგოცენტრულია. დამოუკიდებელია, მაგრამ ზოგჯერ მოსწონს, როცა ვინმე ეუფროსება. ცდილობს იცხოვროს დამოუკიდებლად. პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აიძულებს თავი დამნაშავედ გამოიყვანოს მაშინაც კი, როცა სრულებითაც არ არის დამნაშავე ე. ი. აქვს დანაშაულის კომპლექსი. მასთან ურთიერთობა ძნელია. აკლია უბრალოება.

გამოირჩევა მშვენიერების სიყვარულით, ლოიალობითა და სითბოთი. სანდოა და შეგიძლიათ ენდოთ ყოველგვარ სიტუაციაში. ზოგჯერ მიამიტობას იჩენს და უფლებას აძლევს მავანთ გაუწიონ ექსპლოატაცია. შეუძლია ძლიერი სიყვარული, მაგრამ თვითონაც ითხოვს სამაგიეროს, მუდამ ცდის გრძნობას. მისი მოტყუება შეუძლებელია.

ცირცელი უღალატოა. მისი პირადი ცხოვრება ძალიან მდიდარია, ზრუნავს ხვალინდელ დღეზე, წინდახედულია, რაც ბევრს უჩენს მასთან ცოლ-ქმრული კავშირის დამყარების სურვილს. ძლიერ გონიერია და ხშირად მეტად ეფექტური. მის მომავლის გეგმებს ყოველთვის არ უწერია ასრულება.

ცირცელის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: სიფრთხილე, გონიერება. ფანტაზია, სინთეზის უნარი, ინტუიცია, წარმოსახვა. ცირცელის ნიშნით დაიბადნენ: გოგოლი, ანდერსენი, ზოლა, რახმანინოვი, ვერდი, დიდრო, კორბუზიე.

ნეკერჩხალი
(11.04—20.04; 14.10—23.10).

აკურატულია, მოვლილი, ცოტას წაიკეკლუცებს კიდეც. ხშირად შეხვდებით იქ, სადაც საინტერესო ამბები ხდება. უყვარს მოდაზე ჩაცმა. არ მიეკუთვნება საშუალო ადამიანთა ჯგუფს. მხნეა და ენერგიული. ნეკერჩხალი, როგორც იტყვიან, მოწოდების სიმაღლეზეა. ინდივიდუალისტია. თუმცა ბუნებით თავშეკავებული და გაუბედავია,

ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტისას, ზოგჯერ რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე სასიცოცხლო ინტერესებს დიდ რისკზე მიდის. არ უყვარს სახლში ჯდომა, ხალისით ეცნობა ადამიანებს. მასთან მოსაუბრე გულახდილი ხდება, მაგრამ დაზღვეულია იმის საშიშროებისაგან, რომ ნეკერჩხალი გასცემს. იგი არასოდეს არ ცდილობს საქციელის განსჯას და სხვათა საიდუმლოებებს არ წამოაყრანტალებს.

აქვს უამრავი უცნაური, ექსტრავაგანტური გეგმები. უყვარს ახალი ამბები, დიდი ენთუზიაზმით იცავს ყოველგვარ ახალ იდეას, მაგრამ თვითონ იშვიათად ახორციელებს საკუთარ გეგმებს. ეს მაინცდამაინც არ უშლის ხელს, ისიამოვნოს თავისი ფართო ჰორიზონტით. ცოტათი ცინიკოსია. არ აფასებს საზოგადოებრივ აზრს და არც ეშინია მისი, პირიქით, მოსწონს კიდევაც, როცა მასზე ლაპარაკობენ.

სიყვარულში გაურკვეველია. ირჩევს უცნაურ და დახლართულ გზებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერ მიაღწევს ბედნიერებას. ბედნიერი იქნება ანალოგიური შეხედულებებისა და გემოვნების პარტნიორთან. აქვს ნათელი გონება. აკლია წარმოსახვის უნარი და ინტუიცია. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი ხასიათი აქვს.

ნეკერჩხლის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: ხალისიანობა, იუმორის გრძნობა, დედუქციის უნარი და ანალიტიკური გონება.

ნეკერჩხლის ნიშნით დაიბადნენ: ეკატერინე მედიჩი, ლეონარდო და ვინჩი, ანატოლ ფრანსი, ჩარლზ ჩაპლინი.

კაკლის ხე
(21.04—30.04; 24.10—2.11)

ბუნებრიობას ღირსებად არ თვლის, გატაცებულია ნაზი და დახვეწილი მანერებით. გაუბედავია. ხშირად ვარდება წინააღმდეგობაში. ჭირვეული, აგრესიული და ეგოისტია, მაგრამ ამასთანავე სტუმართმოყვარე და თავაზიანი და აქვს თამამი აზრები, შეიძლება იყოს ლოიალური და ერთგული, მაგრამ არამყარი. არავინ იცის, რა დროს რო-.გორ მოიქცევა, ან — როგორ უნდა მიმართო მას.

ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეუძლია დაიმეგობროს და შეიყვაროს. ზოგჯერ უყვარს საკუთარი თავის წამება და სხვასაც სიამოვნებით აწამებს. მან უთუოდ უნდა გაირთულოს მდგომარეობა. ეჭვიანია და ნაკლებ გაწონასწორებული. მასთან დაახლოებულნი მუდმივად უნდა ელოდნენ მისგან მოულოდნელობებს. უპატრონეთ მას, თუ გაქვთ ძალა, რომ არ მოექცეთ მისი გავლენის ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის ნებაზე გატარებთ. არის შესანიშნავი სტრატეგი. სწორად აფასებს თავის განზრახვათა შედეგებს. თუ საჭიროა, საქმის გადაწყვეტისას არ ერიდება ვერაგობას და ამის გამო სინდისის ქენჯნას არ განიცდის. ხშირად გარშემო მყოფთ იმორჩილებს მოქმედების სისწრაფით. არიან „წყნარი" კაკლის ხის ნიშნით დაბადებულებიც.

ცდილობს არ ჰქონდეს უფერული ცხოვრება. არ ეშინია რისკის და არ უყვარს კომპრომისები. გაკვალულ გზებით არ დადის. ჰყავს ბევრი მეგობარიცა და მტერიც. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს და ცდილობს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და განკერძოებულობა. ზოგჯერ შეუძლებელია არ შეამჩნიოთ მისი განსაკუთრებულობა.

კაკლის ხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: დაკვირვებულობა, გაბედულება, ორგანიზატორული ნიჭი.

კაკლის ხის ნიშნით დაიბადნენ: კანტი, ეკატერინე II, ელიზავეტა II (ინგლისელი), შექსპირი, პაგანინი, კოლუმბი, დოსტოევსკი.

ჟასმინი
(1.05—14.05; 3.11—11.11)

მოძრავი, ცოცხალი და გულღია ჟასმინი ყველას იზიდავს თავისუფალი და გულითადი საუბრით. როცა მოისურვებს უმალ ექცევა ყურადღების ცენტრში.

სწორედ მისგან ელიან განმუხტოს დაძაბულობა ადამიანთა ურთიერთობებში. ყველას წინაშე წარდგება მხიარული, გაწონასწორებული და ყოველგვარი ცხოვრებისეული პრობლემებისაგან თავისუფალი. მხოლოდ ყველაზე ახლობლებმა იციან, როგორი მგრძნობიარეა და

გულგატეხილი. ის დაბადებით პესიმისტია და ყოველნაირად ცდილობს არ გამოამჟღავნოს ეს.

ვერასოდეს შეატყობ იმას, რასაც სხვა ადვილად იმჩნევს კარგად ესმის დიპლომატიის უპირატესობა და აქვს სხვებთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარების უნარი. სამწუხაროდ, ამ თვისებებს ნაკლებად ამჟღავნებს საკუთარ ოჯახში. სახლში ის ეძიებს თავისუფლებასა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მოვალეობანი გულს უმძიმებენ, მაგრამ მაინც ყოველთვის ასრულებს დაკისრებულ საქმეს.

პასუხისმგებლობა არ აკლია, მაგრამ ეს ზოგჯერ ცუდ ხასიათზე აყენებს. ჟასმინთან ქორწინება არც ისე სასურველია, მით უფრო რომ ადვილად ვარდება სასოწარკვეთილებაში. უყვარს ბავშვები და მათთან თავს კარგად გრძნობს. ცხოვრებისაგან გულგატეხილს მხოლოდ ბავშვები ეიმედება. საკმაოდ რთულ საკითხებს ხსნის უბრალოდ და მარტივად. მისთვის სიხარული და კმაყოფილება ბავშვებს მოაქვთ.

ჟასმინი არ არის მატერიალისტი, მაგრამ ხშირად უზრუნველყოფილია. არ გაურბის არავითარ სამუშაოს, მის ინტელექტუალობასა და ხალას აზრებს დიდად აფასებენ მისი უფროსები.

ჟასმინის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: კრიტიკული გონება, ინტელექტუალობა, ფანტაზიასთან შერწყმული ინტუიცია.

ჟასმინის ნიშნით დაიბადნენ: მაკიაველი, სენკევიჩი, ფროსტი, მარტინ ლუთერ კინგი.

წაბლის ხე

(15.05—24.05; 12.11—21.11)

წაბლის ხე ძალიან ლამაზია, დეკორატიულიც კი, მაგრამ არ ცდილობს თავისი მომხიბვლელობით გარშემო მყოფთა დამორჩილებას. უყვარს სივრცე, საკუთარი ცხოვრებითა და ძალით. აქვს სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა და პროტესტს უცხადებს ყოველგვარ დარღვევას.

ყოველნაირად ყველა საშუალებით ცდილობს გაიტანოს თავისი სიმართლე ისე, რომ შედეგებზე არც იფიქროს. ვერ იტანს ანგარიშიანობას ამა თუ იმ ტაქტიკურ და დიპლომატიურ ხრიკებს, რის გამოც ხშირად უმხედრდება ადამიანებს. მეტისმეტად მოუქნელია ურთიერთობებში, ამიტომ ხშირად უხდება სამუშაოს გამოცვლა და მუდამ გულგატეხილია. წაბლი ძალზე მგრძნობიარეა და თუ რამე აწყენინეს, დიდხანს ვერ ივიწყებს.

მართალია ჟინიანია, მაგრამ ჯიუტი არ არის. შეუძლია იყოს წინდახედულიც. რის წყალობითაც თავისუფალია მატერიალური პრობლემებისაგან. მორალის საკითხში პირდაპირ პურიტანელია, მისდევს პურიტანიზმს. მოულოდნელი მისგან ის არის, რომ მიდრეკილება აქვს კარგი ცხოვრებისადმი. ზოგჯერ მოგეჩვენებათ, თითქოს ელტვის სიმარტივეს, მაგრამ ეს გამოწვეულია საკუთარი თავისა და სხვებისადმი უნდობლობით.

წაბლის ხე ერთობ თავიხებურია ურთიერთგაგებაში. მას ხშირად არაკეთილსინდისიერ ადამიანად მიიჩნევენ, რაც შესაძლებელია, გამოწვეულია მისი მისწრაფებით, რომ დაადანაშაულოს სხვები. სიყვარულისგან ბევრს ითხოვს, თვითონ კი მხოლოდ ერთხელ უყვარდება ნამდვილი სიყვარულით და ამიტომ იშვიათად არის ბედნიერი. მოთხოვნილება სიყვარულისა და ამავე დროს, შიში იმის გამო, რომ შეიძლება ის არ უყვარდეთ, ურთულებს დამოკიდებულებას პარტნიორთან. მისი კომპლექსები ხშირად თავს იჩენს გამომწვევ ქცევებში, რაც გაუგებარია გარშემო მყოფთათვის.

აქვს მახვილი და კონკრეტული გონება, რომელიც დაკვირვებებს ემყარება. დაჯილდოებულია სისწრაფითა და სიზუსტით, ამასთანავე მეოცნებეა და ფილოსოფიური აზრებით დატვირთული. მისი ცხოვრება ბევრად არის დამოკიდებული გარემოცვაზე. მისი ნიჭი სრულ განვითარებას მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ ახლობლების თანაგრძნობა და ყურადღება არ მოაკლდება.

წაბლის ხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: გაბედულება, რეალიზმი, გამჭრიახობა, ორგანიზატორული ნიჭი.

წაბლის ხის ნიშნით დაიბადნენ: ვოლტერი, რუსო, ბალზაკი, პიერ კიური, ლომონოსოვი, სტივენსონი.

კოპიტი
(25.05—3.06; 22.11—1.12)

მშვენიერი, ძლიერი ხეა. სასიამოვნოდ გამოიყურება. აქვს კარგი სილუეტი, ელეგანტურია და თავისუფალი მოძრაობაში. თავმომწონეა. მასთან მუდმივად ცხოვრება ძნელია. აქვს მკვირცხლი ხასიათი და ერთობ მომთხოვნია. ცდილობს, რომ ყველა მისთვის ზრუნავდეს. იფიქრონ და იცხოვრონ ისე, როგორც მას მოსწონს, გააკეთონ ის, რაც მას სურს. ესწრაფვის დამოუკიდებელ ცხოვრებას, მაგრამ არც ისე კარგად ეგუება ამას.

არაფრად აგდებს ცხოვრებისეულ სირთულეებს, რაც, ერთი შეხედვით, გაფიქრებინებთ, რომ უპასუხისმგებლოა და უნებისყოფო. მაგრამ ეს ყველაფერი ერთი შეხედვით. მან ძალიან კარგად იცის, რა სურს და რა არ უნდა. თავმოყვარეა, ყველა იმ საქმეში, რაც მის პირად წარმატებას და კეთილდღეობას ეხება.

პირადი ბედნიერების მოპოვებისათვის ბრძოლაში ეგოისტია. შეუძლია მიზნისაკენ მიმავალ გზაზე გადათელოს ყველა, ვინც კი ხელს შეუშლის. თუმცა ეგოისტია, ძუნწი არ არის, პირიქით იგი გულუხვია.

ეს ჭირვეული პიროვნება სიყვარულში სავსებით განსხვავებულ თვისებებს ამჟღავნებს. ფრთხილია, წინდახედული და მტკიცე. აქ მას უმართლებს კიდევაც. შეუძლია შეარჩიოს კარგი პარტნიორი, იშვიათად ცდება და დიდ ძალას ხარჯავს, რათა კარგად მოაწყოს ოჯახური ცხოვრება. ხშირ შემთხვევაში ამ მიზანს აღწევს. მისი გონება, პირველ რიგში, ინტუიციას ემყარება. ორიგინალურია და ფანტაზიით მდიდარი. გამჭრიახია ისევე, როგორც ცირცველი, ტირიფი და კაკალი. უყვარს, გაერთოს წინასწარმეტყველებით. თავისი ნათქვამის ასრულება მის გონებასა და გამჭრიახობას კიდევ უფრო აძლიერებს.

კოპიტი ბედს ეთამაშება. მაგრამ იმდენად ძლიერია, რომ არსად დაიკარგება.

კოპიტის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი ნიშნებია: ინტელექტუალობა, სწრაფვა სინთეზისადმი, ინტუიცია, ფანტაზია.

კოპიტის ნიშნით დაიბადნენ: დე გოლი, ჯონ კენედი, მარკ ტვენი.

რცხილა

(2.12—11.12; 4.06—13.06)

ლამაზი ხეა, მაგრამ აკლია მომხიბვლელობა. ახალგაზრდობაში ხშირად ძალიან ლამაზია, რასაც წლებთან ერთად თანდათანობით კარგავს. შემწყნარებელია გარშემო მყოფთა მიმართ. ესთეტიკურია. მეტ ყურადღებას უთმობს ფორმას, ვიდრე შინაარსს. პირველ რიგში დაინტერესებულია საკუთარი უპირატესობით.

უყვარს დისციპლინა და მორჩილება. ოცნებობს პატივსა და ჯილდოებზე. ვერ იტანს სხვათა უპირატესობას. ყველაზე მეტად მოსწონს, როცა დადგენილ წესებს ემორჩილება და ამიტომაც იშვიათად იჩენს ინიციატივას. გადაწყვეტილების მიღებისას მუდამ ფრთხილობს შეცდომა არ დაუშვას. აქვს პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის გრძნობა. არ უყვარს კანონებიდან გადახვევა და მიყვება გაკვალულ და ნაცად გზებს. ახალ იდეებს სიფრთხილით ეკიდება, არ უყვარს გამოთქმა „ჩემთვის სულერთია“.

სიყვარულში წესრიგიანი, გრძნობასაც პასუხისმგებლობით ეკიდება. საყვარელი და სასიამოვნო პარტნიორია. მაგრამ თუ მის წინაშე დადგა არჩევანი — ან სიყვარული, ან კანონი, უყოყმანოდ მეორეს არჩევს.

რცხილის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: ინტელექტუალობა, ინტუიცია, ფანტაზია, არტისტიზმი.

რცხილის ნიშნით დაიბადნენ: კორნელი, თომას მანი, ხაჩატურიანი, შუმანი, დისნეი, მარია სტიუარტი, რობერტ კოხი.

ლეღვი

(14.06—23.06; 12.12—21.12)

არ გამოირჩევა სილამაზით, მაგრამ არც შეუმჩნეველი რჩება. თავაზიანია და აქვს გამოკვეთილი ნაკვთები, ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი კომპლექსით. არის სიტუაცია, როცა თავს მეტისმეტად უხერხულად გრძნობს. ითხოვს სივრცესა და სითბოს. ცუდ პირობებში

ჭკნება, ვერ იტანს სიძნელეებს, მოწყენილია და დარდით სავსე ხმება. ასეთ პირობებში მისი დამცველი სისტემა სუსტდება და რომ არ დაიღუპოს დიდ ყურადღებას საჭიროებს.

გამოირჩევა ოჯახური გრძნობით. სურს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს ახლობლებთან მაშინაც კი, როცა ისინი ამას არ იმსახურებენ, ითხოვს სტაბილურობას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ბევრ რამეში საკმაოდ ცვალებადია.

ემოციურია და შემწყნარებელი, რის გამოც ხშირად სწირავს სულიერ სიმშვიდეს, და ცხოვრებისეულ სიხარულს, მით უფრო, რომ დიდად ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცდუნებას.

თუმცა ყოველთვის არ არის საამისო ხასიათზე, მუდამ ცდილობს, შეასრულოს ყოველდღიური მოვალეობანი. სანდოა. მუშაობს მონდომებით, თუმცა შინაგანად ზარმაცია, იმპულსურია და კეთილი, მაგრამ მთელი ცხოვრება იბრძვის საკუთარ სისუსტესთან.

ლეღვი რეალისტია და საქმიანი. ეს ხე ერთგვარ მარაგს წარმოადგენს ახლობლებისათვის. მას კარგი ნაყოფი აქვს. თუ ლეღვს ბაღში დარგავ და კარგად მოუვლი, არ წააგებ. მასთან ქორწინება ღირს, მაგრამ სასწაულს ნუ ელოდები, ის არ იქნება რომანტიკული შეყვარებული. უბრალო გრძნობებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე „რაღაც ფანტაზიებს“. ყოველი უკომპლექსო ხე მას კარგად შეეგუება. მაგრამ! უფრთხილდი: ლეღვის ხეს სულ პატარა რამ ეწყინება ხოლმე!

ლეღვის ხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: იმპულსურობა, პრაქტიკული ნიჭი, დაკვირვებულობა, რეალიზმი, ორგანიზატორული უნარი.

ამ ხის ნიშნით დაიბადნენ: ჰაინე, ბეთჰოვენი, ბრანდტი, გარსია-ლორკა, სტრავინსკი.

მუხა
(21.3)

სიცოცხლით სავსეა, ძლიერი და ლამაზი. მას არ ახასიათებს სისუსტე. აქვს დიდებული და ღირსებით სავსე მიმოხვრა. სოლიდური შეხედულებით ხალხის პატივისცემას იმსახურებს. აბსოლუტურად

ჯანმრთელია, ეს მისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ვერ იტანს სისუსტესა და ავადმყოფობას. შეიძლება ადვილად შეუღონდეს გული. ძალზე გაბედულია. მაგრამ გაბედულება მაჩვენებელია არა მისი სულიერი სიძლიერისა, არამედ მეტისმეტი სიამაყისა. არ უნდა ჩათვალონ ლაჩრად, რადგან დაძაბულ სიტუაციაში მოქმედებს უფრო აქტიურად, ვიდრე მოეთხოვება. თავდაჭერილია, ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხელს არ იღებს. ყოველთვის აღწევს დასახულ მიზანს. მის ასეთ პრინციპულობას უარყოფითი მხარეც აქვს. მუხა მოუქნელია და თავისი პრინციპულობა ხშირად აყენებს უსიამოვნებას. მეტს მიაღწევდა, ოდნავ მაინც რომ ყოფილიყო გარკვეული დიპლომატიაში. სრულიად დამოუკიდებელია. მისი მოქმედება ხშირად თვითნებობამდე მიდის, თუმცა პატივს სცემს სხვის დამოუკიდებლობასაც. თბილი და სტუმართმოყვარეა. ერთგული მეგობარია, მაგრამ სიყვარულში ცვალებადია, ახალ-ახალი გატაცებების მსხვერპლია. თვითონ კი დარწმუნებულია, რომ ეს სიყვარული მისთვის სამუდამოა. ზოგი მუხა ქორწინების მერე რამდენადმე მოჭკვიანდება ხოლმე.

მყარად მდგარი ისევ განაგრძობს სიტუაციების გართულებას. არ ცდილობს დამშვიდებას და არ მოსწონს, თუ კი ვინმე ამას შეეცდება. კონსერვატორია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში შეუძლია იმოქმედოს უანგაროდ. ყოველთვის პირად გამორჩენაზე ფიქრობს და მთელი ყურადღება საკუთარ პრობლემებზე აქვს გადატანილი, სხვისი საქმე მას არ აწუხებს.

როდესაც თავისი კონკრეტული საქმეებით არის გატაცებული, აზროვნებს კარგად და საქმის შესატყვისად. ითვლება მოქმედების კაცად, თუმცა ინტუიცია აკლია. ის ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ყოველგვარ გარემოებაში საკუთარი ინტერესების ერთგული რჩება, ახლობლებს კი საკმაოდ უზრუნველყოფს.

მუხის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: გაბედულება, ზუსტი მოქმედება, პრაქტიკული ნიჭი, რეალიზმი, დაკვირვებულობა, ორგანიზატორული უნარი.

მუხის ნიშნით დაიბადნენ: ბახი, ბენიტო ხუარაზი.

ARYI
(24.6)

მოქნილია და არისტოკრატული, საყვარელი და პაეროვანი. მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა, ბოროტად არ იყენებს სხვათა თავაზიანობას. ზრდილობიანი და თავშეკავებულია. არავის ახვევს თავს განწყობილებას, არც სურს და არც ითხოვს რამეს, პურიტანულად (ხნეობის დამცველი ადამიანი) თავმდაბალია, მაგრამ ყოველთვის ელეგანტური. არ უყვარს სხვისთვის მორალის კითხვა. გამოირჩევა ზომიერებითა და მოთმინებით. ერთადერთი, რის ატანაც არ შეუძლია, არის უხამსობა. მისთვის უცხოა ფუფუნება და მოჩვენებითობა. არ ახასიათებს მიმბაძველობა, სიამოვნებით იცხოვრებდა სოფელში, მაგრამ შეუძლია შეეგუოს ყოველგვარ ადგილს, ოღონდაც ჰქონდეს მშვიდად მუშაობის პირობები. კოხტა, კოპწია გარეგნობის მიუხედავად, არყის ხე იზრდება შრომაში და უყვარს კიდევაც მუშაობა.

მორიდებული და თავაზიანი ხასიათი განაპირობებს სიმშვიდისადმი მის ლტოლვას. სენტიმენტალურია და მხურვალე გრძნობები მისთვის სრულიად არ არის უცხო. არყის ხე ლოიალურია და ერთგული, შეუძლია სახლში შექმნას სიმყუდროვისა და ოჯახური ბედნიერების ატმოსფერო. ხდება, რომ ქორწინებაში წინდაუხედაობას იჩენს, მაგრამ არასოდეს არ ნანობს.

ყველაზე დამახასიათებელი არყის ხისათვის ინტელექტუალობაა. დიდია მისი წარმოსახვისა და გამომგონებლობის უნარი. სამუშაოს შემოქმედებითად უდგება.

შემოქმედებითად აზროვნების და ამ აზრების ცხოვრებაში განხორციელების უნარი შერწყმული მის შრომისმოყვარეობასთან, ძლევს ყოველგვარ სიძნელეს.

შეუძლია იმუშაოს ყველა დარგში, მაგრამ დიდ წარმატებებს მხოლოდ ხელოვნებაში აღწევს. გულდახურულობა მისი ერთადერთი ნაკლია. არ ხიბლავს მაღალი წრის ცხოვრება და გავლენიან პირებთან ურთიერთობა. არყის ხე ხშირად ბედნიერია. ძალიან ცოტას ითხოვს ცხოვრებიდან. მისთვის საკმარისია ახლობლის სითბო და კარგი ბიბლიოთეკა.

არყის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია:
რბილი ხასიათი, სინთეზი, ინტუიცია, ფანტაზია.
არყის ნიშნით დაიბადნენ: გუტენბერგი, მატეიკო, სტრელეცკი.

ზეთისხილი
(23.09)

არ არის დიდი, ზოგჯერ სილამაზისა და შეუხედაობის ზღვარზეა აკლია მშვენიერება. ხშირია რევმატიზმით დაავადების შემთხვევა, რის გამოც ვერ იტანს უმზეობას. დინჯი და მშვიდია. არ არის აგრესიული და ცდილობს არ გაირთულოს ცხოვრება, მომთმენია, აქვს საკუთარი შეხედულებები, რომელთაც ზოგჯერ ხმამაღლაც გამოთქვამს. არასოდეს ერევა სხვის საქმეში.

ზეთისხილი იმდენად თავაზიანი და ზრდილობიანია, რომ შეიძლება მოგეჩვენოთ, თითქოს მისთვის ყველაფერი სულერთი იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის, პირიქით, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიმართოთ დახმარებისათვის.

ღიმილი თითქმის არ ცილდება სახიდან, ნაწილობრივ თავშეკავებულობის წყალობით, უფრო კი იმიტომ, რომ უაზრობად მიაჩნია ნერვების აშლა. უნარი აქვს სიმშვიდე და უშფოთველობა სხვასაც გადასდოს.

თუმცა კეთილი და გულიანია, მაგრამ იმდენი ნებისყოფა კი გააჩნია რომ არ დაუშვებს მისი სიკეთით ვინმემ ბოროტად ისარგებლოს.

ზეთისხილი გამოირჩევა სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობით. ყველას თანაუგრძნობს, შეუძლია შევიდეს სხვის მდგომარეობაში, გულდასმით მოუსმინოს. ამ დროს საერთოდ არ ახსოვს საკუთარი თავი. ამას წინასწარ შეგუებულია. ყველაფერს უანგაროდ აკეთებს, არ ცდილობს ვინმეზე შთაბეჭდილების მოხდენას. ამის გამო უყვართ და აფასებენ კიდევაც.

შეყვარებული ზეთისხილი ცდილობს, არ იყოს ეჭვიანი. პატივს სცემს პარტნიორის დამოუკიდებლობას, თუმცა ამის გამო უთქმელად იტანჯება. ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდის, რომ შეიძლება უარი თქვას საკუთარ სიყვარულზე. ყველაფერი ეს სულაც არ აიხსნება სისუსტითა და უმწეობით. უბრალოდ ზეთისხილისათვის მთავარია სიმშვიდე.

გამოირჩევა დიდი ინტელექტით, ბევრს ფიქრობს, უყვარს კითხვა და გამუდმებით ზრუნავს, გაიფართოვოს ცოდნის ჰორიზონტი. ყოველთვის იქცევს ყურადღებას, როცა ამას ცდილობს. არაიშვიათად აღწევს დიდებას. მიეკუთვნება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც

ირგვლივ სიმშვიდესა და ბედნიერებას აფრქვევენ. და ყველგან კარგ სახელს ტოვებენ.

ზეთისხილის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: მსჯელობის უნარი, ანალიტური გონება, მიდრეკილება დედუქციისადმი.

ზეთისხილის ნიშნით დაიბადა იმპერატორი ავგუსტინე.

წიფელი
(21—22.12)

ტანადი და ლამაზია. ღრმა მოხუცებულობას აღწევს ისე, რომ არ კარგავს ახალგაზრდულ თვისებებს. ინარჩუნებს კარგ ფიგურას, მოხდენილ სილუეტს, ჰაეროვნებასა და მოქნილობას მოძრაობისას, ყოველთვის მოვლილია და კოპწია.

თუ გარემოება ხელს უწყობს, აღწევს წარმატებას თითქმის ყველა სფეროში. მოხერხებულობას და მოქნილობას ამჟღავნებს ყველა სიტუაციაში. აქვს უამრავი გეგმა, რომელსაც წარმატებით ასრულებს, ერთხელ არჩეული გზიდან არ გადაუხვევს. საკუთარ ცხოვრებას ყოველთვის კარგად იწყობს.

ზოგჯერ გულუხვობას იჩენს, თუმცა, ჩვეულებრივ, ანგარიშიანია. არ უყვარს ქონების დანიავება და მას ეკონომიურად ხარჯავს.

წიფელი წესრიგიანია. აქვს ბევრი სოლიდური თვისება, ყველაფერს აწონ-დაწონის, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში არასოდეს ჩაიგდებს თავს. სიყვარულში აკლია ფანტაზია. იდეალური პარტნიორია. სურვილი აქვს, ჰყავდეს შვილები, იყოს ოჯახის უფროსი, უყვარს, როცა კარგად ატარებს შვებულების დღეებს, მოწიფულობის ასაკში შეიძლება შეემთხვეს რაიმე სათავგადასავლო ამბავი, უფრო იმ მიზეზით, რომ სურს დაუმტკიცოს საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ ის ძველებურად მხნედაა და ასაკი ვერ ჯაბნის.

ინტელექტუალურია, გამოირჩევა ორგანიზატორული ნიჭით და ჯანსაღი განსჯით. მატერიალისტია. უფრო სიმდიდრეზე ფიქრობს, ვიდრე იმაზე, რომ იყოს ბედნიერი.

წიფელის ნიშნით დაბადებულთა უმთავრესი თვისებებია: დაკვირვებულობა, სიზუსტე, ორგანიზატორული ნიჭი, რეალიზმი.

წიფელის ნიშნით დაიბადნენ: პუჩინი, სტალინი.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ

(ზოდიაქოს ნიშნით)

თხის რქა:	22 დეკემბერი — 20 იანვარი
მერწყული:	21 იანვარი — 18 თებერვალი
თევზი:	19 თებერვალი — 20 მარტი
ვერძი:	21 მარტი — 20 აპრილი
ხბო:	21 აპრილი — 21 მაისი
ტყუპები:	22 მაისი — 21 ივნისი
კიბო:	22 ივნისი — 22 ივლისი
ლომი:	23 ივლისი — 23 აგვისტო
ქალწული:	24 აგვისტო — 23 სექტემბერი
სასწორი:	24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი
ღრიანკალი:	24 ოქტომბერი — 22 ნოემბერი
მშვილდოსანი:	23 ნოემბერი — 21 დეკემბერი

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ

(22 დეკემბერი — 20 იანვარი)

დედამიწის ნიშნით. არის სატურნის მფარველობის ქვეშ. აქვს ჯიუტი ხასიათი, გახსნილი გონება. თხის რქა მორალურად და ფიზიკურად ყველაზე ამტანი და მტკიცეა, საიდუმლოს შეგინახავთ. ცხოვრებაში რეალისტია. თავს არ არიდებს მუშაობას, იბრძვის წარმატების მისაღწევად. თანდათანობით, ბეჯითად უახლოვდება მიზანს.

დიდი მოთმინების და შეუპოვრობის წყალობით ყველა დაბრკოლებას გადალახავს. არაფერს და არავის შეუძლია აუბნიოს თავგზა და გადაახვევინოს არჩეული გზიდან.

თხის რქა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაისახავს მიზანს და მზად არის მიყვეს მას მთელი ცხოვრების განმავლობაში. ასევეა შრომაშიც: წინასწარ გაითვალისწინებს, რა სჭირდება და რისთვის. ყველაფერს თვითონვე აწესრიგებს, რათა მერე წვრილმანებისათვის დრო არ დაკარგოს. მისგან გამოვა მრეწველობის ნებისმიერი დარგის საუკეთესო მუშა. იქნება, აგრეთვე წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე.

ამ ნიშნით დაბადებულს პატივისცემით ეპყრობიან. გულჩახვეულია და ადვილად ვერ დაუახლოვდებით. შეუძლებელია, გული ვინმეს გადაუხსნას. თხის რქა აფასებს ტრადიციებს. რესპექტაბელური და სტაბილურია. გარკვეული მიზნის გარეშე არ ღებულობს გადაწყვეტილებას. არ მიდის რისკზე. არ ახასიათებს იმპულსურობა. მოჩვენებითი ქედმაღლობის მიუხედავად, შინაგანად იტანჯება მარტოობის გამო და უნდა გარშემო მყოფთა სიმპათია დაიმსახუროს. მგრძნობიარეა და მორცხვი, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს. მისი ტანჯვის მიზეზი სიამაყეა.

თხის რქა გამოირჩევა ბრწყინვალე გონებითა და შესაშური მეხსიერებით, მაგრამ მიდრეკილია კონსერვატიზმისა და პედანტიზმისადმი. მას შეუძლია იყოს კარგი ინჟინერი, ადმინისტრატორი, სწავლული, პოლიტიკოსი, ეკონომისტი.

მისი ცხოვრების მეორე ნახევარი უკეთესი იქნება პირველზე. ქორწინდება გვიან, თუ საერთოდ გადაწყვიტა ცოლის მოყვანა. ამ ნიშნით ბერბიჭად იბადება უმეტესობა.

თხის რქის ნიშნით დაბადებული, ასაკის მომატებასთან ერთად ლამაზდება და მომხიბვლელი ხდება. 35 წლის ასაკში ის ბევრად უფრო მომხიბლავია, ვიდრე 18 წლისა. მასთან არშიყობა ძნელია. ზღვარს არასოდეს გადავა და არც სხვას მისცემს ამის უფლებას. ამ ტიპის ქალებს უყვართ დამოუკიდებლობა. ისინი კარგი დირექტორები, მასწავლებლები, ექიმები და მდივნები არიან. ამ ნიშნით დაბადებულ მამაკაცთა მსგავსად, ისინიც სერიოზულები არიან და არავის აპატიებენ შეურაცხყოფასა და ღალატს.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: არამყარია თხის რქის ქორწინება ვერძთან, სასწორთან, კიბოსთან. ჰარმონიულ კავშირშია ქალწულთან, ხბოსთან, ღრიანკალთან და თევზთან. დიდი ფიზიკური

ლტოლვის მიუხედავად, მშვილდოსანთან მისი ქორწინება იშვიათია. თხის რქასა და ხბოს შორის დიდი სიყვარული და ურთიერთგაგებაა. შეუპოვარ და ამტან თხის რქას შეუძლია გამოასწოროს ჭირვეული და ზარმაცი ხბო.

თხის რქას ტყუპებთან უჭირს ურთიერთობა და მათი კავშირი თითქმის არ არის ხანგრძლივი. თხის რქასა და კიბოს შორის ადვილად მყარდება მეგობრული დამოკიდებულება, რომელსაც ურთიერთპატივისცემა უდევს საფუძვლად. ლომთან მყარი კავშირი ძალიან იშვიათად აქვს, ამიტომ მათ შორის მხოლოდ მეგობრობა და თანამშრომლობაა სასურველი, ქალწულის ხასიათი ბევრ რამეში ემთხვევა თხის რქისას და მათ შორის შესაძლებელია ბედნიერი ქორწინება. სასწორთან ქორწინებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. დიდად განსხვავებული თვისებების გამო ძალზე იშვიათად ახერხებენ მეგობრობასაც კი. ღრიანკალი და თხის რქა ორივე ამბიციურია, ორივეს უყვარს შრომა და ამ საერთო ინტერესების საფუძველზე ქორწინება შესაძლებელია. თუ ქორწინება მოხდა მშვილდოსანსა და თხის რქას შორის, მშვილდოსანი გამოასწორებს თხის რქის პედანტურ ხასიათს. ამავე ნიშნით დაბადებულთან თხის რქას შეუძლია იცხოვროს მეგობრულად, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ისინი ერთმანეთს განიზიდავენ. მერწყულთან ქორწინება იშვიათად არის ბედნიერი, უფრო სასურველია მათი მეგობრობა და თანამშრომლობა. არაჩვეულებრივად ბედნიერი გამოდგება თხის რქის ქორწინება თევზთან. ამის საფუძველს იძლევა მათი სულიერი და ინტელექტუალური მსგავსება, აგრეთვე, ფიზიკური ურთიერთლტოლვა. ოღონდ ზოგჯერ თხის რქის გულჩახვეულობა აღიზიანებს ნაზსა და მგრძნობიარე თევზს.

მერწყული

(21 იანვარი — 18 თებერვალი)

ჰაერის ნიშნით, მფარველობენ სატურნი და ურანი. არის ემოციური და მგრძნობიარე. მერწყულს მფარველი პლანეტებიდან პირველი — სატურნი განაგებს მის ბედს, რომელიც მერწყულისათვის ყოველთვის არ არის კეთილი. ეს სევდიანი მოგონებების, მელანქოლიისა და აუხდენელი ოცნებების პლანეტაა.

პლანეტა ურანი, პირიქით სწავლულთა სულისჩამდგმელი, აღმაფრთოვანებელი და მოქმედების პლანეტაა, ასეთი პლანეტების მფარველობის ქვეშ მოქცეულ მერწყულს წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს: ხან მეოცნებეა, ხან კი აქტიური და ენერგიული, მერწყულის ნიშნით დაბადებულნი ხალხს ხიბლავენ თავიანთი ადამიანურობით, ისინი იზიარებენ სხვის მწუხარებას და ცდილობენ დახმარება გაუწიონ უბედურებაში ჩავარდნილთ. ყოველ მერწყულში ზის ადამიანი-გამომგონებელი, რომელიც გატაცებულია განუხორციელებელი იდეებით. ამასთანავე, ის მეოცნებეა და ფანტაზიორი. ამ ნიშნით დაიბადნენ: ედისონი, გალილეი, ჟიულ-ვერნი. მერწყულისათვის უცხოა პედანტიზმი: სძულს რუტინა (ჩამორჩენილობა, შიში, მოსალოდნელი ცვლილებისა და სიახლისადმი). აქვს უმოქმედობისა და სიზარმაცის პერიოდები. სამაგიეროდ, ურანის ზემოქმედებისას ერთი თვის საქმეს ერთ კვირაში ასრულებს. არამყარია. ზოგჯერ ეჭვი ეპარება საკუთარ თავში და ძალიან განიცდის ამას. მაგრამ ეს ეჭვი მალე ეცვლება სიმშვიდითა და ენთუზიაზმით. მერწყული თავმდაბალია და თავდაჭერილი. იშვიათად შეაწუხებს ვინმეს თხოვნით. მას შეუძლია იყოს შესანიშნავი მეცნიერი, განსაკუთრებით ატომური ფიზიკისა და ასტრონომიის დარგებში. მისგან შეიძლება დადგეს, აგრეთვე, ბრწყინვალე არქიტექტორი, ლიტერატორი, მსახიობი. მისი ცხოვრება ყოველთვის არ იქნება ბედნიერი, მაგრამ არც უფერული და ერთფეროვანი. ის გამოცდის ყველაფერს — სიმდიდრესა და სიღარიბეს, ბრწყინვალე გამარჯვებასა და კატასტროფებს, საინტერესო შეხვედრებსა და სასოწარკვეთილებებს. ზოგჯერ მოეჩვენება, რომ იღუპება, მაგრამ ბედი გადაარჩენს.

ქალი — მერწყულები: ძალზე მომხიბვლელები არიან. თითოეულში ერთბაშად რამდენიმე ქალი ცხოვრობს, რაც მათ ანიჭებს განცდათა გამას. ეს ქალი ცვალებადი ბუნებისაა და ისინი, ვინც მას ხშირად ხვდებიან, არასოდეს მოიწყენენ მასთან. როგორც ამ ნიშნით დაბადებულ მამაკაცებს, ქალებსაც უყვართ მუშაობა, თუმცა ვერ იტანენ მკაცრ დისციპლინას. მერწყული ყველანაირ საქმეს მომხიბვლელად და ელვარედ აკეთებს. ელეგანტურია, კარგად ცეკვავს, ლაპარაკობს საინტერესოდ. მალე თხოვდება, მაგრამ იშვიათად არის ბედნიერი. მეტს გასცემს, ვიდრე თხოულობს.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია კავშირი ტყუპებთან, სასწორთან და მშვილდოსანთან. აყალმაყალს ვერ ასცდება ლრიანკალთან, ხბოსთან და ლომთან. მერწყულს შეიძლება დაუკავ-

შირდეს ვერძი. ეს ქორწინება შობს შესანიშნავ ბავშვებს. ჰარმონიული კავშირი ექნება ტყუპებთან. კიბოსთან მისი ქორწინების საფუძველი იქნება ურთიერთპატივისცემა. მიუხედავად მერწყულისა და ლომის ურთიერთლტოლვისა, ისინი სხვადასხვაგვარად უყურებენ სამყაროს და მათი კავშირი მყარი არ იქნება. ქალწულსა და მერწყულს შორის დიდი ფიზიკური ლტოლვაა, მაგრამ ვერც ისინი ასცდებიან ჩხუბს. მერწყულს იზიდავს სასწორი. მათი კავშირი ბედნიერი იქნება.

თევზი

(19 თებერვალი — 20 მარტი)

წყლის ნიშნით, მფარველობენ იუპიტერი და ნეპტუნი. აქვს იდუმალი ხასიათი და გამძაფრებული ინტუიცია. ნეპტუნი ანიჭებს ამ ნიშნით დაბადებულებს კონკრეტულ ხასიათს: მშფოთვარეა, განუწყვეტლივ ებრძვის საკუთარ თავს. იუპიტერი თევზს კარგი ბედით და სიბრძნით ასაჩუქრებს. ამ წინააღმდეგობრივი ზეგავლენის გამო თევზი ხშირად განიცდის სულიერ ტანჯვას, მიუხედავად მშვიდი გარეგნობისა სულ ღელავს და შფოთავს. ეს ჰუმანურობისა და თავგანწირულობის სიმბოლოა. განვითარებულ გონებასთან და ძლიერ სკეპტიციზმთან ერთად ისინი ფაქიზი სულით გამოირჩევიან. ინტუიცია ლოგიკაზე მეტად აქვთ განვითარებული და ხშირად გარშემო მყოფთ აოცებენ ნათელმხილველობით, თუმცა თავად ამას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ამ ნიშნით დაბადებულებს უყვართ კომფორტი და სიმყუდროვე. სტუმართმოყვარენი და ხელგაშლილები არიან. ხშირად მოიწყენენ ხოლმე. თუ მათი ბავშვობა წარიმართება ნორმალურ პირობებში, ისინი სამართლიანები, გულითადები და გულწრფელები გამოვლენ. კარგი მახსოვრობა აქვთ. მიდრეკილნი არიან მეცნიერებისადმი, ასევე არიან კარგი მუსიკოსები, მხატვრები და სკულპტორები.

ქალი — თევზი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობითა და სიტურფით. ეს ქალები მეტად მომხიბველელები არიან. შენატრიან ფუფუნებას, კომფორტს. მათი განწყობილება და ჯანმრთელობა დამოკიდებულია მთვარის ფაზის ცვლილებაზე. თუ სავსე მთვარისას სასიცოცხლო ძალები და ენერგია ჭარბადაც აქვთ, ახალი

მთვარის გამოჩენისას ისინი როგორღაც იქანცებიან და აპათიაში ვარ-
დებიან. მათი შინაგანი ცხოვრება მდიდარია. თუმცა მათი წარსული
ყოველთვის არ არის უმწიკვლო, მაგრამ ისინი კარგი ცოლები და
დედები ხდებიან მოხერხებულობისა და მოქნილი ბუნების წყალობით.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება. ქორწინება ჰარმონიულია
ხბოსთან, კიბოსთან და თხის რქასთან. თევზს ძლიერ იზიდავს ვერძი,
თუმცა იცის რომ მათი ხასიათები დიდად განსხვავდება. რის გამოც
მათი ქორწინება არც ისე სასურველია. დიდი მიდრეკილება აქვს
ტყუპებისადმი, მაგრამ მათი ქორწინება ბედნიერი იქნება, თუ ორივე
მხარე გამოიჩენს დიდ მოქნილობას. კიბოსთან სასურველია მეგობ-
რობაც, თანამშრომლობაც და ქორწინებაც. ლომსა და თევზს შორის
მიუხედავად ურთიერთ სიმპათიისა და ლტოლვისა ქორწინება არ არის
სასურველი, თევზს ზოგჯერ აღიზიანებს ლომის იმპულსურობა და
სწრაფვა.

დიდ სირთულეებს აწყდება თევზი მშვილდოსანთან ურთიერთობ-
აში. მათ შორის ბედნიერი კავშირი ძალზე იშვიათია. მყარი კავში-
რისათვის ერთმანეთისადმი ფიზიკური ლტოლვა საკმარისი არ არის.
ქალწულსა და თევზს შორის არის სიმპათიები, მაგრამ ნაკლებად აქვთ
ერთმანეთისადმი ფიზიკური ინტერესი. ასევე შეიძლება ითქვას სას-
წორთან მიმართებაში, მიუხედავად ურთიერთპატივისცემისა, თანა-
მშრომლობისა და მეგობრობისა. მყარი და ჰარმონიული იქნება ქორ-
წინება ღრიანკალთან. ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო თევზსა და
თხის რქას. ეს ნიშნები მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ, არის შესაძ-
ლებლობა ქორწინება მათ შორის ბედნიერი გამოდგეს. მერწყულთან
არ იქნება ჰარმონიულ კავშირში. თევზთან იშვიათად შეიძლება კარგი
ურთიერთობის დამყარება.

ვერძი
(21 მარტი — 20 აპრილი)

ცეცხლის ნიშნით. მფარველობს მარსი. აქვს ძლიერი და მბრძანებ-
ლური ხასიათი. ვერძის ნიშნით დაბადებულები გამოირჩევიან ძალი-
თა და ენერგიით. აქვთ ხელმძღვანელობის ნიჭი. ამ ნიშნით დაბადე-

ბულ ქალისა და მამაკაცის საერთო თვისებებია: ოპტიმიზმი, პატიე-მოყვარეობა, იმპულსურობა და მიდრეკილება გაზვიადებისადმი.

მამაკაცები გამოირჩევიან აგრესიულობით, ხშირად არიან უტაქ-ტონი, ანგარიშს არ უწევენ სხვათა ინტერესებსა და სურვილებს. უყ-ვართ მოქმედება, აქვთ სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა. თავისი მოუთმენლობისა და არადიპლომატიურობის გამო ვერძი ხში-რად ვარდება არასასურველ სიტუაციაში. ვერძის ცხოვრების მთავარი აზრი შრომაშია. იგი დაჯილდოებულია დიდი ნებისყოფით, გამბედა-ობითა და სწრაფი რეაქციით. შეიძლება გამოვიდეს კარგი ექიმი, სარ-დალი, ჟურნალისტი, ადმინისტრატორი. მაგრამ ამაში ხელს უშლის მოუქნელობაც და ისიც, რომ აკლია სიმკაცრე.

მამაკაცი — ვერძი თითქმის ყოველთვის კარგად და პატიოსნად შრომობს. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ძლიერი ჩანს, სუსტი ჯანმრთელობისა და ნერვული სისტემის პატრონია. ადვილად ბრაზ-დება და ასეთ დროს უხეში და თავშეუკავებელია. მამაკაცი — ვერძი მძიმე ხასიათის გამო ხშირად ვერ არის კარგი პარტნიორი, აქ ხომ ყველაფერი დამოკიდებულია ტაქტსა და დიპლომატიაზე.

ქალი — ვერძი. ამ ნიშნის ქალს თითქმის ყოველთვის აქვს პრო-ფესია. ადვილად ეუფლება მამაკაცის სპეციალობებსაც. ცდილობს იუფროსოს ოჯახში.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია ქორწინება ლომთან, ტყუპებთან, მშვილდოსანთან. ეს ნიშნები სიმშვიდითა და ფილოსოფიური მიდგომით აწყნარებენ ვერძს. დიდი ფიზიკური ლტოლვა აქვს მერწყულისა და სასწორისადმი. არარეკომენდირებუ-ლია ქორწინება თხის რქასთან, კიბოსთან, თევზთან, ღრიანკალთან. ცივად არის განწყობილი ხბოსადმი.

ხბო

(21 აპრილი — 21 მაისი)

დედამიწის ნიშნით. მფარველობს ვენერა. აქვს წინააღმდეგობრი-ვი ხასიათი. ემოციურია. სიძლიერესა და ფხიზელ გონებას დედამი-წის ნიშანს უნდა უმადლოდეს. ვენერა სოლიდურსა და პრაქტიკულ ხბოს ანიჭებს მოქნილობას, კომფორტის სიყვარულს, მგრძნობიარო-

ბასა და მცონარობას. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ზეგავლენა ართულებს ხბოს ბუნებას. თუმცა ესწრაფვის მატერიალურ კეთილდღეობას, ამასთან ერთად, მფლანგველია. მოსწონს სიმყუდროვე, წესრიგი და ამავე დროს ხშირად თვითონვეა უსუფთაო და უწესრიგო. მიისწრაფვის ფუფუნების, ზეიმურობისა და სიკეთისაკენ. მას ყველგან შეუძლია ნახოს სიხარული, დედამიწიდან დაჯილდოებულია ამოუწურავი ძალით. გამოირჩევა საღი ინსტინქტით.

ხბო ჭირვეულია. ჯიუტია წვრილმან საქმეებში, მაგრამ საერთოდ, ხათრიანი, მომთმენი და მშვიდია. უყვარს მეგობრობა თანამდებობის მქონე და გავლენიან პირებთან. საზოგადოებაში ელეგანტური და მიმზიდველია, მაგრამ, ბავშვურად ჭირვეული ხასიათის გამო ხშირად უხდება დავა რაღაც წვრილმანებზე. ამ ნიშნით დაბადებულთ უყვართ ხელოვნება და არქიტექტურა. ისინი კარგი დირექტორები, მზარეულები და მკერავები არიან.

ქალი — ხბო. ვენერა ამ ნიშნის ქალებს ანიჭებს ქალურობას. უყვართ ლამაზი ნივთები, ყვავილები, კაბები, მსუბუქი საქმელები და ღვინო. ისინი აკოტრებენ თაყვანისმცემლებს. ეჭვიანობენ, თავად კი საკმაოდ მსუბუქი ჭკუისანი არიან და არც ისე იშვიათად ღალატობენ საყვარელ ადამიანს.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: ჰარმონიულად იცხოვრებს ქალწულთან, თხის რქასთან, კიბოსთან, თევზთან, არასასურველია მისი კავშირი ლომთან, ღრიანკალთან, მერწყულთან. ხბოსთან ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ ხშირად იკამათებენ. ასევე იქნება ტყუპებთან.

ტყუპები

(22 მაისი — 21 ივნისი)

ჰაერის ნიშნით. მფარველობს მერკური. აქვთ გაურკვეველი ხასიათი. გაორმაგებული ბუნება. არიან ჭკვიანები, ცნობისმოყვარენი. მრავალმხრივია მათი ინტერესი. ადვილად ითვისებენ ენებს და სწრაფად ეგუებიან სიტუაციას. ეს ცნობისმოყვარე ადამიანები გამოირჩევიან მომხიბვლელობით, დიდი ტემპერამენტითა და მოულოდნელი

რეაქციებით. ტყუპები ადვილად ღიზიანდებიან. არიან ნერვიულები და ახასიათებთ საკუთარი თავისადმი ურწმუნოება. იოლად ერევათ ავადმყოფობა.

თუ ამ ნიშნით დაბადებული ინტელიგენტია, მაშინ ის ძნელად ეგუება გარშემო მყოფთ. ნერვასტენია და ხშირად იტანჯება სხვადასხვა მანიით. გენიოსთა და ტალანტთა დიდი ნაწილი ტყუპების ნიშნით არის დაბადებული; ეს ეხება, როგორც მეცნიერების სფეროს, ასევე ლიტერატურასა და ხელოვნებას. მათ ძნელად შეიყვარებ. ცდილობენ თავი აარიდონ ყველას, ხოლო ვისაც უყვართ, ტოვებენ გაურკვეველ მდგომარეობაში, შეუძლიათ სიყვარული, მაგრამ იშვიათად იქცევიან ალერსიანად.

მოსწონთ როცა ვიღაცა ზრუნავს მათზე. მარტოობის შიშს ისინი ხშირად თვითმკვლელობამდე მიჰყავთ, უპირატესობას ანიჭებენ უინტერესო ადამიანებს. საჭიროებენ თანაავტორობას. მათთვის უფრო ადვილია იდეების მიწოდება, ვიდრე განხორციელება, მიდრეკილება აქვთ ფილოსოფიისა და მათემატიკისადმი.

ქალი — ტყუპები. შესანიშნავი მეგობარია, ჭკვიანი, ცოცხალი, გონებამახვილი. მასთან ვერ მოიწყენ. ადვილად ეგუება საზოგადოებას და ყოველგვარ თემაზე საუბრობს. უყვარს დამოუკიდებლობა, თითქმის ყოველთვის აქვს პროფესია. იქნებოდა კარგი ადმინისტრატორი, კომერსანტი. კარგად უმეგობრებს და დაეხმარება ქმარს.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: ჰარმონიულად იცხოვრებს ხბოსთან, სასწორთან, მერწყულთან, ლომთან. არასასურველია მათი კავშირი თევზთან, ქალწულთან, მშვილდოსანთან. ხბოსადმი განწყობილია სიმპათიით, აქვს ლტოლვა ვერძისადმი. ბედნიერად იცხოვრებს თავისივე ნიშნით დაბადებულთან.

კ ი ბ ო

(22 ივნისი — 22 ივლისი)

წყლის ნიშნით. მფარველობს მთვარე. გულგახსნილი და მეოცნებეა. კიბო ყველაზე იდუმალი, გამოუცნობი ნიშანია ზოდიაქის ყველა ნიშანთა შორის. მასზე ბატონობს მთვარე, რომელიც გავლენას ახდენს

შის სულიერ სამყაროზე და ულრმავებს გრძნობებს იმდენად, რომ ირგვლივ მყოფთ უცნაური ეჩვენებათ. ამ ნიშნით დაბადებულებს ნაზი ნერვული სისტემა და კარგად განვითარებული ინტუიცია აქვთ.

მამაკაცი — კიბო ხშირად არის ჰიპნოზიორი ან მედიცინის მუშაკი. ცხოვრობს მხოლოდ მისთვის გასაგები კანონით, მისთვის უცხოა ლოგიკა. რაც სხვას არაფრად მიაჩნია, ის მას ტრაგიკულად განიცდის. ამის გამოა, რომ ხშირად აღიზიანებს გარშემო მყოფთ და კონფლიქტშია მათთან, თუმცა ზოგს სიამოვნებს, როცა იცავს და მფარველობს ასეთი ბუნების ადამიანს. მათში სიბრალულს იწვევს კიბოს ფსიქიკური სისუსტე და არაამქვეყნიურობა, ამ ნიშნით დაბადებული წესრიგიანია, ერთგული მეგობარი და საინტერესო მოსაუბრეა.

კიბოს უყვარს ბუნება. თავისი ხასიათის გამო სამსახურში ზოგჯერ წინააღმდეგობას აწყდება. მაგრამ აქვს კარგი თვისებები: მახვილი ინტუიცია, მოთმინების უნარი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. მოაზროვნეა, შეუძლია გახდეს კარგი მეცნიერი, მუსიკოსი, კეთილსინდისიერი მუშაკი.

ქალი — კიბო. მასზე შეიძლება იგივე ითქვას, რაც ამავე ნიშნის მამაკაცზე. ეს ქალი სენტიმენტალურია და შეუძლია თავგანწირვა, ის ქმრის ერთგულია და ამასთანავე სამაგალითო დედა. აქვს მოვალეობის დიდი გრძნობა. იგი იოლად ჩაიდენს საგმირო საქმეს და, ამასთან ასევე იოლია მისთვის დარჩეს ჭირვეულ ქალად.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: განსაკუთრებით სასურველია ხბოსთან, ღრიანკალთან, ქალწულთან. და თევზთან კავშირი, არასასურველია სასწორთან და თხის რქასთან. აქვს ვერძისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობა და იდეები. კიბოსათვის ვერძი მეტად იმპულსურია. მაგრამ ისინი მაინც ელტვიან ერთმანეთს. იმისათვის რომ მათი კავშირი არ დაირღვეს, ორივემ მუდმივად უნდა აკონტროლოს საკუთარი ხასიათი. ტყუპებთან ექნება სულიერი მეგობრობა. კიბოს ლომი სიძლიერით იზიდავს. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც კარგი თანამშრომლობა და მეგობრობა, ასევე ბედნიერი ქორწინებაც. კიბოს თხის რქაც იზიდავს, მაგრამ ისინი თითქოს სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ. ურთიერთლტოლვას განიცდიან კიბო და ღრიანკალი. კიბოს არ მოსწონს მეტისმეტად დამოუკიდებელი მშვილდოსანი. პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული მერწყულისადმი, ჰარმონიულია მისი მეგობრობაც და სიყვარულიც თევზთან.

ლ ო მ ი

(23 ივლისი — 23 აგვისტო)

ცეცხლის ნიშნით. მფარველობს მზე. ამიტომაც ლომი ზოდიაქოს ცენტრალური ფიგურაა. ის ელავს, ლივლივებს. აქვს მბრძანებლური ხასიათი. ძლიერია და იყენებს კიდევაც ამ სიძლიერეს. მაგრამ მისი ხასიათის ძირითადი მთავარი თვისება სიკეთეა. ლომი არ ცდილობს მოახდინოს ეფექტი. ყოველთვის ბუნებრივია, საერთოდ მოსწონს ბუნებრივობა. მის გვერდით მყოფი როგორღაც არასრულფასოვნად გრძნობს თავს. ლომის იმედი შეგიძლიათ იქონიოთ ნებისმიერ სიტუაციაში.

ლომი იმპულსური და ტემპერამენტიანია. აქვს უდიდესი შინაგანი ძალა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა, პატივმოყვარეა. მიამიტობისა და ინფანტილურობის წყალობით ადვილად ხვდება სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ფსიქოლოგიური ალღოს არქონას ხშირად მიყავს შეცდომებამდე, ზოგჯერ კი — ნამდვილ ტრაგედიამდე. ბუნებით მხიარულია და იშვიათად, რომ ცუდ გუნებაზე დადგეს. ეჯავრება გამცემლობა.

ლომი ერთგული მეგობარია, გულუხვია, უყვარს სიმდიდრე და ფუფუნება. არაყაირათიანობასა და მფლანგველობას იქამდე მიყავს, რომ ხშირად სიღარიბეში კვდება. ამ ნიშნით დაბადებულებს შეუძლიათ ქონდეთ ყველანაირი პროფესია, მაგრამ უმეტესად ისინი თანამდებობის პირები არიან.

ქალი — ლომი. სიყვარულში წრფელია, იმპულსურია და გულუხვი. სიამოვნებს როცა ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავს, მაგრამ სიამაყე არ აძლევს ნებას, იქონიოს შემთხვევითი კავშირები. არაფერი სწამს ქალების მეგობრობისა და ცდილობს უმეტესად, მამაკაცებთან იმეგობროს. ბევრს თხოულობს იმისაგან, ვინც უყვარს და არავითარ შემთხვევაში არ პატიობს ღალატს. კომპრომისზე არ წავა, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ პარტნიორს წრფელად უყვარს არ ქორწინდება. ამასთან, აუცილებლად მოძებნის თავის შესაფერს. სამაგალითო დედა და დიასახლისია.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: არასასურველია ქორწინება ხბოსთან, მერწყულთან, ღრიანკალთან. სასურველია — ტყუპებთან, სასწორთან, მშვილდოსანთან. ვერძთან ბევრი აქვს საერთო და მათ შორის ადვილად ებმება სიყვარულის ძაფები, მიუხედავად ლტოლვი-

სა არამყარი კავშირი ექნება ხბოსთან. ეგოცენტრულ ლომს აღიზიანებს ხბოს სიჯიუტე. ქალწულთან მის ურთიერთობას ართულებს ქალწულის ყველაფრისადმი კრიტიკული მიდგომა და არატემპერამენტულობა. ტემპერამენტის მხრივ საერთოს პოულობს მშვილდოსანთან. ორთავე გულგახსნილი და უშუალოა. თხის რქასთან უჯობს მხოლოდ თანამშრომლობა და მეგობრობა. საეჭვოა ლომის კავშირი ღრიანკალთან.

ქალწული
(24 აგვისტო — 23 სექტემბერი)

დედამიწის ნიშნით. აქვს პრაქტიკული გონება. ქალწულის ნიშანი არის ნიშანი რეალობისა, ლოგიკისა და გარკვეულობისა. ამ ნიშნით დაბადებულები მოითხოვენ ყველაფერში თანამიმდევრულობასა და სიზუსტეს. არ ყვებიან საკუთარ ვნებებს. წესრიგის სიყვარული ხშირად ექცევათ მანიად. დაჯილდოებულნი არიან ანალიტიკური გონებით, კარგი მუშაკები გამოდიან. დაჰყვებათ პოლიტიკისა და ეკონომიკის ნიჭი, მიდრეკილება მეცნიერებისადმი. ეს ხალხი გამუდმებით იფართოებს და იღრმავებს ცოდნას. დიდხანს ცოცხლობენ, სარგებლობენ პატივისცემით, მაგრამ ხშირად უხდებათ ადამიანებთან კამათი თავიანთი პედანტი და წვრილმანი ბუნების წყალობით.

ქალი — ქალწული. ამ ნიშნის ქალები მომხიბვლელები არიან, მაგრამ აკლიათ ტემპერამენტი. უყვართ მსუბუქი თავისშექცევა მამაკაცებთან. ბოლო მომენტში კი უკან იხევენ. პირდაპირ იტანჯებიან მორცხვობის გამო, მაშინაც კი, როცა შეუძლიათ ეს დაფარონ. ეგოისტია და ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ურთიერთობას ახლობლებთან.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: არასასურველია ქორწინება ხბოსთან, ღრიანკალთან, კიბოსთან. ბევრი რამ აქვთ საერთო კიბოსა და ქალწულს, მაგრამ ქალწულის რაციონალობა ტკივილს აყენებს კიბოს მგრძნობიარობას. ადვილად მყარდება მეგობრობა ქალწულსა და ლომს შორის. შესაძლებელია, ამასთანავე, ჰქონდეთ ფიზიკური ურთიერთლტოლვა. კონფლიქტშია სასწორთან. ქალწულისადმი საერთოდ,

ოშვიათად განეწყობიან სიმპათიით. ღრიანკალი იზიდავს ქალწულს. ტემპერამენტის სხვადასხვაობის მიუხედავად შესაძლებელია მათ შორის კავშირი, ოღონდ ისინი ძალზე განსხვავებულად ხედავენ ცხოვრებას. ქალწული ელტვის მერწყულს. მაგრამ მათი კავშირი არამყარია.

სასწორი
(24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი)

ჰაერის ნიშნით. მფარველობს ვენერა. აქვს ნათელი გონება და ფაქიზი რბილი ხასიათი. ამ ნიშნით დაბადებულები გამოირჩევიან გაწონასწორებულობით. ვენერა გულუხვად აჯილდოებს მათ სიყვარულის ნიჭით, ელეგანტურობითა და მოხდენილობით. ავადმყოფობისა და უბედურების დროსაც კი ისინი ადვილად ნახულობენ ჰარმონიას ცხოვრებაში. სასწორს არ უყვარს ჩხუბი, უსიამოვნებანი და გართულებები. მისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია სიმშვიდე. უფრო ხშირად ბედი ანებივრებთ. მორიდებულობის, თავაზიანობისა და გულკეთილობის გამო ყველას უყვარს ისინი. შესანიშნავი ადვოკატები, დიპლომატები, ვაჭრები, მსახიობები და ადმინისტრატორები არიან.

ქალი — სასწორი. ვერსად შეხვდებით ქალურობის ასე უდიდესი ნიშნით დაჯილდოებულებს. ვენერა ანიჭებს მათ მომაჯადოებლობას, ალერსიანობასა და ოდნავ ჭირვეულობას. გვიანობამდე ნებივრობს ლოგინში, უყვარს სამკაულები, მორთულობა, ნუგბარით პირის ჩატკბარუნება. მათთვის მთავარია სიყვარული, შეიყვარონ და თვითონაც უყვარდეთ, — აი, ერთადერთი ოცნება. არ მოსწონთ როცა საყვედურობენ, უმნიშვნელო წაკინკლავებაც კი მათ რისხვასა და ცრემლებს იწვევს. ნებიერი და ეგოისტი სასწორი, ამავე დროს ალერსიანი და ბავშვივით გულკეთილია.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია სასწორი დაუკავშირდეს ტყუპებს, ლომს და მშვილდოსანს, მერწყულს და ვერძს. არასასურველია მისი კავშირი თხის რქასთან, კიბოსთან და ხბოსთან, მაგრამ ამ სასწორის ხასიათმა იქნებ დაძლიოს ბედის ჭირვეულობა. თხის რქასთან რეკომენდირებულია თანამშრომლობა, ხოლო თევზთან — მეგობრობა.

ღრიანკალი
(24 ოქტომბერი — 22 ნოემბერი)

წყლის ნიშნით. აქვს ძლიერი ხასიათი და საინტერესო ცხოვრება. ღრიანკალს მფარველობს ორი მთავარი პლანეტა: ძლიერი და მკაცრი მარსი და ძლევამოსილი ნეპტუნი. ეს ორმაგი გავლენა განაპირობებს მის ორბუნებრიობას. ღრიანკალი იბრძვის, იტანჯება, თავს მსხვერპლად სწირავს, მაგრამ შეუძლია აღდგეს ფერფლისაგან. არის კონტრასტული, ტემპერამენტიანი, მომხიბვლელი, მაგრამ ამასთან მკაცრიც.

მისთვის უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენს არსებობა. ერთი შეხედვით ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ მიაღწიოს წარმატებას: არის ენერგიული, სიცოცხლით სავსე. ძლიერი, მაგრამ ბევრი მტერი ჰყავს. ფხუკიანი და გამაღიზიანებელი ხასიათის გამო, ღრიანკალი ხშირად ანთხევს შხამს, რომელსაც უპირველესად, საკუთარი თავისკენ მიმართავს. მასში არის რაღაც უჩინარი და იდუმალი. მაშინაც კი, როდესაც გულგახსნილი გვეჩვენება, სინამდვილეში გულდახურული და დაძაბულია. მისთვის ეს თავდაცვის საშუალებაა. მუდმივად ეჩვენება, რომ ვიღაც კრიჭაში უდგას და ემუქრება. ამიტომ მუდამ მზად არის თავდაცვისათვის. თუ მართლა ესხმიან თავს, მის მრისხანებას საზღვარი არა აქვს.

მუშაობაში და მოვალეობის შესრულებისას ამჟღავნებს რკინის ნებისყოფას, არასოდეს ეძებს ხსნას ილუზიებში, პირველივე შეხვედრისას აღმოაჩენს ადამიანის სუსტ მხარეს. ნამდვილი მებრძოლია, მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობაში წესრიგიანი და პატიოსანია. იშვიათად უახლოვდება ვინმეს, რადგან ბუნებით ინდივიდუალისტია. მისთვის ძვირფასია დამოუკიდებლობა. მათგან შესანიშნავი ექიმი-დიაგნოსტიკები ან ქირურგები გამოდიან, არიან აგრეთვე, — ბრწყინვალე გამომძიებლები და ადვოკატები. ბევრი გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე: (რომელი, დე გოლი, მონტჰომერი) ამ ნიშნით არიან დაბადებულნი.

ქალი — ღრიანკალი. ორგვარი ტიპის არის: ორივეს აქვს მტკიცე ხასიათი, პირველი ტიპის ქალს ახასიათებს ფარული ტემპერამენტი. ხასიათით მოგვაგონებს მამაკაცს და ყველაფერი, რაც ითქვა მამაკაცი-ღრიანკალზე მასზეც ვრცელდება, აქვს მამაკაცური გონება და ამო-

უწურავი ენერგია. ამ ნიშნის ქალი ადვილად ვერ პოულობს თავისი გემოვნების შესაფერ პარტნიორს. მისი მტკიცე ხასიათი იზიდავს სუსტ, პასიურსა და გაუბედავ მამაკაცებს, მაგრამ, სანაცვლოდ, ასეთი მამაკაცები ვერასოდეს მიიპყრობენ ღრიანკალის ყურადღებას. თუ კი მოხდა და ქორწინებით დაუკავშირდა რომელიმე მათგანს, შეეცდება შეუქმნას კარიერა. ამ ტიპის ქალს ანთებული თვალები და დაბალი ხმა აქვს. მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ჩაცმულობას და არც კოპწიაობას.

მეორე ტიპის ქალი მგრძნობიარეა და კეკლუცი, ცნობისმოყვარე და ხარბი. ეს ძალიან საშიში ქალია! ყველგან, სადაც კი გამოჩნდება, შეაქვს არეულობა. უბედურებას ატეხს თავს მასზე შეყვარებულ მამაკაცებს: მიყავს ისინი სასოწარკვეთილებამდე, ხშირად კი თვითმკვლელობამდე. ხშირად თვითონვე ხდება საკუთარი მოუთოკავი ვნებების მსხვერპლი.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია ქორწინება თევზთან, თხის რქასთან, ქალწულთან. მერწყულთან, ლომთან და ვერძთან კავშირს მოაქვს უბედურება. ღრიანკალისა და ვერძის დიდი ურთიერთლტოლვა არ არის საკმარისი მათი ქორწინებისათვის. თავს ვერ აარიდებენ კონფლიქტებს, რომელიც ორივე მხარის აგრესიულობის გამო წარმოიშობა. ღრიანკალი და ხბო ერთმანეთს ჰგვანან ტემპერამენტითა და მესაკუთრული ხასიათით, რაც ხშირად იწვევს კამათს. ამ ქორწინებით დაბადებული ბავშვები გამოირჩევიან სილამაზითა და ნიჭიერებით. ტყუპებთან შეიძლება დაამყაროს სულიერი და ფიზიკური ჰარმონია, მაგრამ ურთიერთობას ართულებს ღრიანკალის მესაკუთრული და ტყუპების ცვალებადი ბუნება. კიბოს შეუძლია ღრიანკალს შეუქმნას ინტიმური და გულითადი ატმოსფერო, რაც ასე მოსწონს და ჭირდება მას. ამიტომ ღრიანკალსა და კიბოს კავშირი მუდმივი და ბედნიერია. მიუხედავად ლომისა და ღრიანკალის დიდი ფიზიკური ურთიერთლტოლვისა, მათი კავშირი მალე ირღვევა. ღრიანკალსა და სასწორს შორის რეკომენდირებულია თანამშრომლობა და არა ქორწინება. სასწორის რბილი ხასიათი არ მოსწონს ღრიანკალს, სასწორს კი აშინებს ღრიანკალის მგზნებარე ბუნება. ქალწულთან ექნება მტკიცე და ბედნიერი კავშირი. მერწყულთან თავდაპირველად დიდი უკმაყოფილება ექნება, დროთა განმავლობაში კი მათი კავშირი შეიძლება განმტკიცდეს და იღბლიანიც გამოდგეს, თუმცა მერწყულის ცივი ტემპერამენტი არ აკმაყოფილებს ღრიანკალს.

ყოველმხრივ სასურველია თევზთან კავშირი, ოღონდაც ღრიანკალმა არ უნდა შეურაცხყოს თევზის სიმართლისმოყვარეობა და ფაქიზი გრძნობა.

მშვილდოსანი
(23 ნოემბერი — 21 დეკემბერი)

ცეცხლის ნიშნით. მფარველობს იუპიტერი. აქვს გაწონასწორებული ხასიათი. ფილოსოფიური ბუნებისაა. იუპიტერი — ბედნიერებისა და სიკეთის პლანეტაა და მფარველობს მშვილდოსანის ნიშანს. ძისი სიმბოლოა ლამაზი და მრავალმხრივი უხილავი კენტავრი. კენტავრის მრავალმხრივობა განაპირობებს მშვილდოსნის ორ სახეს. ერთი მათგანი ძალიან განვითარებულია, მეორე ტიპის მშვილდოსანს აღიზიანებს ცივილიზაცია. გამოირჩევა დიდი სასიცოცხლო ძალით, აქტიურობით, წარმატება აქვს ქალთა საზოგადოებაში, და, საერთოდ, შეუძლია მოხიბლოს ხალხი. ის მამაცია, თავდაუჭერელი, უხეში, უყვარს ფათერაკები, ოცნებობს გამარჯვებებზე, ეს მეზღვაურის, ჯარისკაცის, ავანტურისტის, მაწანწალისა და ყაჩაღის ტიპია. მშვილდოსანის მეორე ტიპი სწავლულია, პოლიტიკოსი და მოაზროვნე. ესეც მებრძოლია, მაგრამ მისი ბრძოლის ველია ლაბორატორია, კაბინეტი, კათედრა ან ტრიბუნა. პირველი ტიპის მსგავსად მიდრეკილია მოგზაურობისადმი, რისკისადმი და ავანტურისადმი, მაგრამ ამ სურვილს გულში ინახავს. შეუძლია იყოს შესანიშნავი არქეოლოგი, ეთნოგრაფი, გამომძიებელი და ფოტოგრაფი. მხიარული, კეთილი ხასიათისაა, მაგრამ ზოგჯერ ეუფლება მიზნის მიუღწევლობით გამოწვეული სევდა. სამოქმედოდ დედამიწაც ეპატარავება და კარგად თვითონაც არ იცის რა უნდა. ის იშვიათად ცოცხლობს ღრმა სიბერემდე და ასევე იშვიათად კვდება საკუთარ სარეცელზე.

ქალი — მშვილდოსანი. მამაკაცთა მსგავსად ამ ნიშნის ქალებიც ორი ტიპისანი არიან. პირველი ტიპის ქალს ყმაწვილ-კაცური ხასიათი აქვს: ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს მოძრაობა და სპორტი. ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებას ძნელად ეგუება. მიუკარებელი, ხუშტურიანი და დამოუკიდებელია, სიმარჯვის, სიმკვირცხლის და

პრაქტიკულობის წყალობით ყოველგვარ პროფესიაში აღწევს წარმატებებს.

მეორე ტიპი კეთილშობილია, გონიერი. თავისუფალი ყოველგვარი ცრურწმენისაგან. უყვარს წიგნები, ხელოვნება, გამოჩენილი ადამიანები. ყველაფერს აკეთებს ბრწყინვალედ, ორიგინალურია და ექსტრავაგანტური.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება: სასურველია ქორწინება ქალწულთან, თევზთან, ტყუპებთან. ხბოსა და მშვილდოსანს შორის პირველივე შეხვედრისას ჩნდება სიმპათია და სიყვარული. მათ ქორწინება ჰარმონიული იქნება. მშვილდოსანი დიდ სწრაფვას იჩენს ვერძისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ აქვთ საერთო, მშვილდოსნისა და ვერძის კავშირი არასასურველია. მშვილდოსნის მეტისმეტი დამოუკიდებლობა მიზეზია კიბოს დიდი წუხილისა, თუმცა მშვილდოსანი გამოირჩევა იმ სასიცოცხლო ძალებით, რაც ასე მოსწონს და იზიდავს კიბოს. სიწრფელე, იმპულსურობა და პატიოსნება აახლოებს მშვილდოსანს ლომთან, ბევრი საერთო აქვს ტემპერამენტისა და ხასიათის მსგავსების მხრივ, სასურველია მათი კავშირი. მიუხედავად ქალწულისა და მშვილდოსნის დიდი ფიზიკური ურთიერთლტოლვისა, მათი კავშირი განწირულია დასარღვევად. მშვილდოსანი და სასწორი ადვილად ქორწინდებიან. ეს ქორწინება მყარი და ბედნიერია. ურთიერთპატივისცემაა მშვილდოსანსა და ღრიანკალს შორის. სასურველია მათი მეგობრობა და თანამშრომლობა. თხის რქასა და მშვილდოსანს აქვთ საერთო ინტერესები. თხის რქის სერიოზულობა ჰარმონიაშია მშვილდოსნის მკვირცხლ ხასიათთან. ქორწინება ბედნიერი გამოდგება, თუ კი წარმოიშვა ფიზიკური ურთიერთლტოლვა. მერწყული და მშვილდოსანი გამოირჩევიან სიმკვირცხლითა და აქტიურობით, ქორწინება ჰარმონიულია. უკმაყოფილების ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს მშვილდოსნის ცვალებადი ბუნება. მშვილდოსანსა და თევზს შორის დიდი წინააღმდეგობაა. მათი კავშირი იშვიათად არის ბედნიერი.

იაპონური და ჩინური ეროსკოპი



მაიმუნი	მამალი	ძაღლი	ღორი	ვირთხა	ხარი
1920	1921	1922	1923	1924	1925
1932	1933	1934	1935	1936	1937
1944	1945	1946	1947	1948	1949
1956	1957	1958	1959	1960	1961
1968	1969	1970	1971	1972	1973
1980	1981	1982	1983	1984	1985
1992	1993	1994	1995	1996	1997

ვეფხვი	კურდღელი	დრაკონი	გველი	ცხენი	ცხვარი
1926	1927	1928	1929	1930	1931
1938	1939	1940	1941	1942	1943
1950	1951	1952	1953	1954	1955
1962	1963	1964	1965	1966	1967
1974	1975	1976	1977	1978	1979
1986	1987	1988	1989	1990	1991
1998	1999	2000	2001	2002	2003

იაპონური ჰოროსკოპი

იაპონიაში და, საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში მიღებულია 12 წლიანი (დროის) ციკლი. 12 წლის განმავლობაში ყოველი წელი ატარებს ამა თუ იმ ცხოველის ნიშანს. ყოველ წელს დაბადებულს აქვს თანდაყოლილი თვისებები, რაც განსაზღვრავს მის ბედს. ეს კალენდარი ძალიან პოპულარულია აღმოსავლეთში. საჭიროა მხოლოდ დაბადების წელის ცოდნა და მოცემულ კალენდარში სულ იოლად იპოვით თქვენს ნიშანს, შეძლებთ შესაბამის დანაყოფში ამოიკითხოთ რაც გაინტერესებთ, როგორც თქვენი, ასევე თქვენი ნაცნობების ბედის შესახებ. ყოველი დანაყოფის ბოლოს ჩამოთვლილია ადამიანთა სამი ჯგუფი (ცხოველთა სახელებით).

ა) პირველ ჯგუფში ჩამოთვლილებთან სასურველია მეგობრობა და ქორწინება;

ბ) მეორე ჯგუფში ჩამოთვლილები შეგეფერებიან მეტ-ნაკლებად.

გ) მესამე ჯგუფში მყოფები კი ნამდვილად არ გამოგადგებიან, პირიქით, შეიძლება უბედურებაც კი მოგიტანონ.

მაიმუნის წელი

ამ წელს დაბადებულები არასაიმედო და წინააღმდეგობრივი ადამიანები არიან. გონიერები, გამჭრიახები, მარდები და ორიგინალურები — ადვილად წყვეტენ რთულ პრობლემებს, მზად არიან ყოველნაირი მოღვაწეობისათვის. ისინი მალემრწმენნი არიან, მათი ადვილად დარწმუნებაც შეიძლება და გადარწმუნებაც. მოუთმენლები არიან და ცდილობენ ყველაფერი მაშინვე, იმავე წუთში გააკეთონ. უბრალო დაბრკოლება ხასიათს უფუჭებთ და გეგმებს უფუშავთ. ბევრი მათგანი გაუბედავია. ეს ტემპერამენტიანი და თავნება ხალხი უცებ აენთება, მაგრამ სიბრაზე ასევე უცებ გადაუვლის ხოლმე. მაიმუნის წელიწადს დაბადებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, გამოირჩევიან საღი აზროვნებით, ბევრ მათგანს შეუძლია მიაღწიოს დიდებას, თუ ვინმე წინ არ გადაეღობა.

ა) დრაკონი, ვირთხა;

ბ) კურდღელი, ცხვარი, ძაღლი, მაიმუნი;

გ) გველი, ღორი, ვეფხვი.

მამლის წელი

ეს ღრმად მოაზროვნე ადამიანები დაჯილდოებული არიან საკუთარი ღირსების შეგნებით. თავიანთი საქმის ერთგულნი ცდილობენ შეასრულონ ისეთი სამუშაოც, რომლის გაკეთების უნარი არც შესწევთ. მარცხი ძალიან აღონებთ. ზოგჯერ ამჟღავნებენ ეგოცენტრულობას. უცებ ვერ შედიან კონტაქტში. ეჭვი არასოდეს ეპარებათ თავიანთ სიმართლეში და ხშირად არიან კიდეც მართლები. არაიშვიათად გულდახურულები და მარტოსულებია. გარეგნულად თითქოს გაბედულნი, მტკიცე ბუნებისანი ჩანან, მაგრამ გვარიანი მშიშარები არიან. მათ გემებს რეალიზება არ უწერიათ, აქვთ გრძნობათა მკვეთრი აღმავლობისა და, პირიქით, დაცემის შეგრძნება. მათ წარმატებას სწრაფად ცვლის წარუმატებლობა. ისინი შეიძლება იყვნენ ეგოისტები, მაგრამ მეტისმეტად გულწრფელებია და შეუძლიათ სასო-

წარკვეთილების ქამს გაბედულად იმოქმედონ, როგორც წესი, ყოველთვის საინტერესო ხალხია.

ა) ხარი, გველი, დრაკონი;

ბ) ვირთხა, მამალი, ძაღლი, კურდღელი;

გ) ვეფხვი, ცხენი, მაიმუნი, ცხვარი, ღორი.

ძაღლის წელი

საუკეთესო ადამიანური თვისებებით — ერთგულებითა და პატიოსნებით გამორჩეული ეს ადამიანები იმსახურებენ ნდობას. მათ შეუძლიათ საიდუმლოს შენახვა. თუმცა რამდენადმე ეგოისტები, ეგოცენტრულები და მეტისმეტად ჯიუტები არიან. დიდად არ დაგიდევენ სიმდიდრეს, მაგრამ ფული ყოველთვის აქვთ. შეიძლება იყვნენ არაემოციურები და ნაკლებად კონტაქტიანები. ყველაფერს კრიტიკულად აფასებენ. გამოირჩევიან ენაკვიმატობით. ყოველთვის იციან, რისთვის იბრძვიან და ყოველთვის სამართლიანობის მხარეზე დგანან. მიჰყავთ საქმე წარმატებით, აბოლოებენ და იმარჯვებენ კიდეც. არიან შესანიშნავი ხელმძღვანელები.

ა) ცხენი, ვეფხვი, კურდღელი;

ბ) ვირთხა, გველი, მაიმუნი, ძაღლი, ღორი;

გ) დრაკონი, ცხვარი.

ღორის წელი

ღორის წელს დაბადებულებს ახასიათებთ სიმამაცე და თავგანწირვის უნარი. რასაც კი მოეკიდებიან, აკეთებენ გულისხმიერად, მთელი მონდომებით. გამოირჩევიან პატიოსნებითა და ვაჟკაცობით. სხვებთან ძნელად შედიან კონტაქტში, სამაგიეროდ, მცირერიცხოვანი მეგობრების ბოლომდე გატანა შეუძლიათ და არასოდეს არ ტოვებენ მეგობარს გაჭირვებაში. სიტყვაძუნწი, მაგრამ ძალიან ცოდნისმოყვა-

რენი არიან, ბევრს კითხულობენ და უამრავი ინფორმაცია მოეპოვებათ. სწრაფად ბრაზდებიან, მაგრამ არ უყვართ ჩხუბი. ყურადღებას იჩენენ მათთვის სასურველი პირებისა და ნაცნობების მიმართ. ოჯახურ საქმეებს ყოველთვის შეუფერხებლად ვერ აწყობენ და ცდილობენ აღმოფხვრან კონფლიქტები, ვერ იტანენ ხანგრძლივ უთანხმოებას. ისინი არ უშინდებიან მათ წინაშე მდგარ რთულ პრობლემებს, თუმცა მოქმედებენ წუთიერი აღტყინებით.

ა) კურდღელი, ცხვარი;

ბ) ვირთხა, ვეფხვი, ხარი, დრაკონი, მამალი, ძაღლი, ღორი;

გ) გველი.

ვირთხის წელი

ამ წელს დაბადებულები გამოირჩევიან სასიამოვნო გარეგნობით, მიმზიდველობით, მიზანსწრაფულობითა და შრომისმოყვარეობით. მთელი ცხოვრება აგროვებენ ქონებას, მომჭირნეობენ და ცდილობენ, ფული გადაინახონ. მომჭირნეობა მხოლოდ დიდი გრძნობის დროს ავიწყდებათ. გულუხვობას იჩენენ მათთან, ვინც უყვართ. პედანტობამდე აკურატულები არიან. ბევრ რამეში ამჟღავნებენ ალოგიკურობას, არიან პატივმოყვარეები, ყოველთვის ყველაფერს ასწრებენ და ცდილობენ თავისი გაიტანონ, აღწევენ კიდეც ამას. აკლიათ გარეგნული თავშეკავება და ადვილად ბრაზდებიან. საერთოდ პატიოსნები და გულგახსნილები არიან, მაგრამ ზოგიერთ მათგანს უყვარს ჭორაობა.

ა) დრაკონი, მაიმუნი, ხარი;

ბ) გველი, ვეფხვი, ძაღლი, ღორი, ვირთხა;

გ) ცხენი.

ხარის წელი

ხარის წელს დაბადებულები სანდოები, სიტყვაძუნწები და მომთმენები არიან, მაგრამ დროდადრო იჩენენ ექსცენტრულობას და ადვილად გამოდიან მოთმინებიდან. ამ დროს მათ მძვინვარებას საზღვა-

რი არა აქვს და უნდა მოერიდოთ. საერთოდ, გამოირჩევიან სიტყვა-ძუნწობით, ზოგჯერ მშევრმეტყველები ხდებიან. აქვთ შესანიშნავი გონებრივი და ფიზიკური მონაცემები. რბილი ხასიათის მიუხედავად ზოგჯერ წარმოუდგენლად ჯიუტობენ. არ უყვართ წინააღმდეგობა. ზოგიერთი მათგანი სიყვარულს უყურებს, როგორც სპორტს, რაც იწვევს ახლობლებთან მათ უთანხმოებას.

ა) გველი, მამალი, ვირთხა;

ბ) დრაკონი, კურდღელი, მაიმუნი, ღორი, ხარი;

გ) ცხვარი.

ვეფხვის წელი

ვეფხვის წელიწადს დაბადებულები მგრძნობიარენი არიან, საერთოდ წინდახედულნი, ზოგჯერ ამჟღავნებენ გულფიცხობას. იმსახურებენ პატივისცემას, მაგრამ ხშირად მოსდით კონფლიქტები უფროსობასთან და ხელმძღვანელობასთან. არაიშვიათად იღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, ოღონდ, როცა მოგვიანებით ხვდებიან ამას, ღირსებისდაგვარად აფასებენ,.

ა) ცხენი, დრაკონი, ძაღლი;

ბ) ვირთხა, ხარი, კურდღელი, ვეფხვი, ცხვარი, მამალი, ღორი;

გ) გველი, მაიმუნი.

კურდღლის წელი

ამ წელს დაბადებული ინდივიდუალისტი, ნიჭიერი და პატივმოყვარეა. გამოირჩევა სათნოებით და თავშეკავებულობით. აქვს უნაკლო გემოვნება. იმსახურებს საერთო აღტაცებასა და ნდობას. მატერიალური თვალსაზრისით კარგად მიუდის საქმე. ხანდახან წაიჭორაავებს, მაგრამ აქაც ტაქტიანია. არ არის ბოროტი. ვინც უყვარს, იმის

მიმართ თავაზიანი და ყურადღებიანია, რასაც ვერ ვიტყვით ახლო ნათესავებთან მის დამოკიდებულებაზე. არასოდეს კარგავს თვითკონტროლს და მეტად გერგილიანია. კეთილსინდისიერებასთან ერთად ახასიათებს პედანტობაც. ხანდახან მელანქოლიაშიც ჩავარდება ხოლმე. შეუძლია იყოს მშვენიერი მოთამაშე, მაგრამ იშვიათად თამაშობს. არის წინდახედული და კონსერვატიული.

ა) ცხვარი, ხარი, ძაღლი;

ბ) ვირთხა, კურდღელი, დრაკონი;

ბ) მამალი.

დრაკონის წელი

დრაკონის წელიწადს დაბადებული ადამიანები გამოირჩევიან მშვენიერი ჯანმრთელობით და ენერგიით. ადვილად იგზნებიან. ზოგჯერ ჯიუტნი და უკმეხნი არიან. არიან ემოციურებიც, პატიოსნები, გაბედულები და ზოგჯერ თავნებებიც. მათი ნდობა შეიძლება. თავიანთ აზრს ყოველთვის ასაბუთებენ. სხვადასხვა უნარით დაჯილდოებულებს არ უყვართ ფულის გასესხება და საჯაროდ გამოსვლა. გულჩვილობისა დი ლმობიერების გამო ხშირად აჯაბნინებენ საკუთარ თავს სხვას, ოღონდ ცოტა ხნით. სწრაფად ასწორებენ შეცდომებს, ქორწინდებიან ადრეულ ასაკში, წინაალმდეგ შემთხვევაში საერთოდ ოჯახის გარეშე რჩებიან. სარგებლობენ გარშემო მყოფთა სიყვარულით.

ა) ვირთხა, გველი, მაიმუნი, მამალი;

ბ) ვეფხვი, ცხენი, ცხვარი, ღორი, დრაკონი;

გ) ძაღლი.

გველის წელი

გველის წელს დაბადებულები რთული და გამოუცნობი ხალხია. გამოირჩევიან თანდაყოლილი სიბრძნითა და სიტყვაძუნწობით. საქმეები ყოველთვის კარგად მიუდით, მაგრამ ხშირად ძუნწობას იჩე-

ნენ. არიან ეგოისტები, უყვართ სახელ-დიდება და ხშირად უბრალო შეკრებებშიც კი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდებიან იმის გამო, რომ სხვის რჩევას არ უჯერებენ და მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობიან. გარეგნულად მშვიდები შინაგანად მგზნებარენი არიან. საერთოდ, გამოირჩევიან შინაგანი და გარეგნული მომხიბვლელობით. ძლიერ განიცდიან წარუმატებლობას, ზოგჯერ ოჯახურ ცხოვრებაში ამყღავნებენ ქარაფშუტობას, რითაც ირთულებენ ოჯახურ ყოფას.

ა) ხარი, მამალი;

ბ) ვირთხა, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ცხვარი;

გ) ვეფხვი, ღორი.

ცხენის წელი

ეს არის პოპულარული ხალხი. გამოირჩევიან მხიარული ხასიათით. იციან ფულის მოხმარება. არიან გონიერები და გამჭრიახები, თუმცა ზოგჯერ მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობენ. ხელეწიფებათ ყოველგვარი საქმე, ყურადღებას იქცევენ თვალშისაცემი ჩაცმულობითა და ბუნებრივი მოქცევით. აქვთ თვითდაჯერება. ცხენის წელს დაბადებულ კაცებს უყვართ ქალები. ყველაფერს ივიწყებენ, როდესაც საქმე გრძნობებს ეხება. სამსახურებრივი მოვალეობის გამოკლებით ყველაფერს სულითა და გულით აკეთებენ, უყვართ გართობა და დიდი შეკრებები, მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა. არიან დამოუკიდებლები და იშვიათად უჯერებენ სხვის რჩევას. მოქმედებენ საკუთარი თვალსაზრისის შესაბამისად.

ა) ვეფხვი, ძაღლი, ცხვარი;

ბ) დრაკონი, გველი, მაიმუნი, მამალი, ღორი;

გ) ვირთხა.

ცხვრის წელი

ამ წელს დაბადებულები მიდრეკილებას იჩენენ სიტყვაკაზმული ხულოვნებისადმი (ლიტერატურა). ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ, რომ მათ უფრო ადვილად გამოსდით ყველაფერი. ვიღრე სხვებს, მაგრამ ისინი ხშირად უმწეონი არიან. ახასიათებთ მორცხვობა, პესიმიზმი, გაუბედაობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად გამოტანა. არიან მორწმუნენი. მათგან ბელადები იშვიათად გამოდიან. არ გამოირჩევიან მკვერმეტყველებით. უყვართ თავიანთი საქმე. ფული საკმაოდ აქვთ, იტაცებთ კარგი ცხოვრება. არიან კეთილმოსურნეები, ჰაეროვნები და აქვთ კარგი გემოვნება.

ა) კურდღელი, ღორი, ცხენი;

ბ) ვეფხვი, დრაკონი, გველი, ცხვარი;

გ) ხარი, ძაღლი.

ჩინური ჰოროსკოპი

ვირთხა
(აგრესიულობა)

ვირთხა დაბადებულია აგრესიულობის ნიშნით. ერთი შეხედვით მშვიდი, გაწონასწორებული და მხიარული ჩანს, მაგრამ არ ერწმუნოთ. ამ მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა იმალება მღელვარება და აგრესიულობა. საკმარისია კარგად გაიცნოთ, რომ მასში აღმოაჩენთ ნერვულ, მშფოთვარე და ქოლერიკულ ტემპერამენტის ადამიანს.

ვირთხა არეულ-დარეულობის გამომწვევია. ზოგჯერ მანიაკიც კი. ყოველ შემთხვევაში, უყვარს სკანდალი. ის იკრებს მეგობრებს და გატაცებით ჭორაობს. არ თაკილობს ენამწარობას და ამიტომ ნაცნობები გაცილებით მეტი ჰყავს, ვიდრე ნამდვილი მეგობრები. არასოდეს არავის ენდობა. თავის საზრუნავს არავის აბვევს თავზე. ცდილობს, ყველასაგან და ყველაფრიდან გამონახოს სარგებელი. ამ კუთხით ბოროტად იყენებს თავის საშიშ მომხიბვლელობასაც.

ვირთხა მუდამ თავის პატივშია, ასევე გამუდმებით მომავლის შიშშია და სულ ცდილობს იცხოვროს ეკონომიურად, რათა სიბერეში უზრუნველყოფილი იყოს.

ქალ — ვირთხას ამავე მიზეზით ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მიდრეკილება ქონების დაგროვებისაკენ, რაც ხშირად სრულიად არ არის საჭირო. ყოველ საქმეში სარგებელს ეძებს და მომჭირნეობს.

ვირთხას განვითარებული აქვს წარმოსახვის უნარი და შეიძლება იყოს შემოქმედი, უფრო ხშირად კი შესანიშნავი კრიტიკოსი. არ წააგებთ თუ მის რჩევას ყურად იღებთ, თუმცა ზოგიერთმა ვირთხამ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ეს თვისება, რასაც მთელი რიგი უსიამოვნებანი მოჰყვება. არაფერს ერიდება საკუთარი სიამოვნებისათვის. ეს წვრილმანი მეშჩანი, პატიოსნებას იჩენს იმ საქმეში, რომელსაც თვითონ მოჰკიდებს ხელს და მიჰყავს კიდევაც ის ბოლომდე, თუ კი ეს საქმე თავიდანვე არ არის ჩასაფუშად განწირული. მას შეუძლია მოაწყოს თავისი ცხოვრება კარგად და მოიხმაროს კიდე-

ვაც, თუ დათრგუნავს თავის თანდაყოლილ უკმაყოფილებასა და მეტისმეტ მომთხოვნელობას. ყოველი ვირთხა ამჯობინებს, ეშმაკობით გაიტანოს თავი და არა შრომით. სარგებლობს სხვისი შრომით და მათ ხარჯზე ბევრ რამეს აღწევს. უარეს შემთხვევაში მას შეუძლია გახდეს გენიალური პარაზიტი. სიზარმაცე და უსაფრთხოდ ყოფნის სურვილი ზოგიერთ მათგანს ჩინოვნიკებად, „კანცელარიის ვირთხებად“ აქცევს. შეუძლია წარმატებას მიაღწიოს პოლიტიკაში. ან გახდეს პოპულარული მსახიობი. ის გონებრივ სამუშაოს უფრო ხალისით ეკიდება, ვიდრე — ფიზიკურს. სამწუხაროდ, ვირთხა ღანაზოგ ფულს უცებ ხარჯავს. იგი საკუთარ თავს არაფერზე არ ეუბნება უარს. ფულს უანგაროდ არავის ასესხებს. და მაინც, წამგლეჯი მეტისმეტად სენტიმენტალური პიროვნებაა! ვირთხა დიდსულოვანია მხოლოდ იმის მიმართ, ვინც უყვარს, თუნდაც ეს ცალმხრივი იყოს. ასე გამოხატავს ვირთხა საკუთარ თავს სიყვარულში.

ვირთხა გურმანია, ლოთი და მგრძნობიარე მოთამაშე.

ის კარგ არჩევანს გააკეთებს, თუ ბედს დრაკონს დაუკავშირებს. დრაკონი შემატებს მას ძალას, თვითონ კი კრიტიკულ გონებას უწილადებს. ხართან ურთიერთობა ამშვიდებს და თავს უშიშრად იგრძნობს. მაიმუნი აჯადოებს და, თუ მოესურვება, დასცინის კიდევაც. ვირთხა ყოველნაირად უნდა ერიდოს ცხენს. ეგოისტი და დამოუკიდებელი ცხენი ვერ იტანს ვირთხის მესაკუთრულ ბუნებას. მოხდება ნამდვილი კატასტროფა თუ მამაკაცი ვირთხა დაქორწინდა ქალ-ცეცხლოვან ცხენზე. ამ საშიშროებას რამდენადმე ამცირებს ის რომ ცეცხლოვანი ცხენის წელი 60 წელში ერთხელ დგება.

ვირთხის სიცოცხლის მეორე ნახევარი მშფოთვარეა. მთელი რიგი წარუმატებლობის შემდეგ დაკარგავს მიღწეულ მდგომარეობას, ხოლო ბედნიერებას — სენტიმენტალურობის გამოისობით. სიცოცხლის მესამე პერიოდი, სიბერე ექნება მშვიდი იმდენად, რამდენადაც, დამოკიდებულია იმაზე, თუ წელიწადის რომელ დროსაა დაბადებული ვირთხა — ზამთარში თუ ზაფხულში. ზაფხულში დაბადებული ვირთხა იძულებული იქნება გამუდმებით იზრუნოს საჭმელზე და თავიდან აიცილოს უნებლიე ფათერაკი, რაც შეიძლება დასრულდეს ცხით ან კიდევ სიკვდილით, რომელიც გამოწვეული იქნება უბედური შემთხვევით.

ხარი
(სამუშაო, ოჯახი, სამშობლო)

მომთმენი და ჩუმი, თავდაჭერილი და დინჯი, შეუმჩნეველი და გაწონასწორებული, ზუსტი და მეთოდური ხარი გამოირჩევა ოდნავ პროვინციული გარეგნობითა და ორიგინალური გონებით. უნარი აქვს გულახდილობისათვის განაწყოს თანამოსაუბრენი. ეს არის მისი წარმატების ძირითადი კოზირი. იგი წინასწარ ჭერეტს მოვლენებს და. ალბათ, ამიტომაც უყვარს მარტოობა.

ხარი შეიძლება გახდეს ფანატიკოსი, სექტანტი. შოვინისტია და ზოგჯერ პირმოთნე. ამის გამო მას ხშირად აკრიტიკებენ. მიუხედავად მშვიდი გარეგნობისა ის ფიცხია. თავდაჭერილია, თუმცა შინაგანად მუდმივად შთაგონებულია რაღაცით. იშვიათად განრისხდება, მაგრამ მისი მრისხანება შემაძრწუნებელია. სჯობს არ გაუწიოთ წინააღმდეგობა ამ დროს, თორემ დიდ საფრთხეში ჩაიგდებთ თავს. მიუხედავად მშვენიერი იერისა, ის ჯიუტია და ვერ იტანს მისი წამოწყებული საქმის ჩაფუშვას. საერთოდ, სიტყვაძუნწია, მაგრამ თუ აუცილებელია, შეუძლია ენამჭევრობაც.

ხარს ეჯავრება ყველანაირი სიახლე; ახალ წესებს შეუძლიათ პირდაპირ შეურყიონ სულის სიმშვიდე. ის ერთი იმათგანია, ვინც დასცინის პიკასოს, ჯაზს, მინი-კაბას და მოდურად დავარცხნილ თმას და არაფრით არ გააჭაჭანებს მსგავს რამეს საკუთარ ოჯახში ან ახლობლების წრეში. უყვარს მბრძანებლობა. მის ცხოვრებაში მთავარ როლს ოჯახი თამაშობს. მტკიცედ იცავს ყოველგვარ ტრადიციებსა და პირობითობას.

ამ ნიშნის ქალს შეიძლება გაეწიოს ანგარიში იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებს ჩაიცვას გარემოებათა შესაფერისად. მაგრამ მისგან არ მოველოდეთ ჩაცმულობაში სიახლესა და ფანტაზიას.

ხარი ნამდვილი მუშაა, რომელსაც თავის ოჯახისათვის სიკეთე მოაქვს. მისი სახლში ყოფნა მოასწავებს, რომ აქვს საკუთარი საქმე და მუშაობს. შეეფერება თავისუფალი პროფესია. შეუძლია შეასრულოს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაო, იყოს კარგი ხელმძღვანელი. განსაკუთრებით ეხერხება სოფლის მეურნეობაში მუშაობა.

კომერციაში და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ცუდად ერ-
ევა.

ქალი — ხარი ზრუნავს საკუთარ კერიაზე. ის შესანიშნავი და
უურადღებიანი დიასახლისია და ხშირად მთელ ოჯახს წარმართავს.

სამწუხაროდ, ხარი იშვიათად უგებს გარშემო მყოფთ. ის პირწა-
ვარდნილი სექტანტია. მაგრამ უყვარს საკუთარი ოჯახი და ეამაყება
შვილები. ყოველგვარი ტაქტის გარეშე იყენებს თავის ძალაუფლებას
იმ მოტივად, რომ ის ოჯახის უფროსია.

ხარი სიყვარულს სერიოზულ საქმედ არ მიიჩნევს. ის შეიძლება
იყოს ერთგული, მოსიყვარულე, მგრძნობიარე, მაგრამ არასოდეს იქ-
ნება რომანტიკოსი, ეჯავრება სასიყვარულო ფლირტი და სიყვარულ-
თან დაკავშირებული პრობლემები. ყველაფრის სათავედ თვლის
ცხოვრებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას. ასეთი თვალით
უყურებს ცოლ-ქმრულ ურთიერთობასაც.

ხარი არ არის ეკვიანი, მაგრამ კბილებით იცავს ოჯახის სიწმინ-
დეს. თავად ერთგულია, თუმცა ამისათვის განსაკუთრებულად არ
აფასებენ.

ბავშვობა და ახალგაზრდობა არაფრით გამორჩეული არ ექნება.
ცხოვრების მეორე პერიოდში შეხვდება სიძნელეებს, მეორე ნახევ-
რის მხრიდან მისი თანამგზავრი მოისურვებს ერთფეროვნების დარ-
ღვევას და რომანტიკას დაუწყებს ძებნას, რასაც საკუთარ სახლში
ვერ იპოვის. თუ ასეთ შემთხვევაში ხარი საკუთარი გონივრების
წყალობით თავს ვერ მოერევა, დაიმსახურებს ანტიპათიას და გარ-
შემო მყოფთ თავის წინააღმდეგ განაწყობს.

ხარი ბუნებით მუშაა და მეოჯახე და ვერ ხვდება, რაოდენ განს-
ხვავდება მისი და მის გარშემო მყოფთა შეხედულებები ერთმანეთი-
საგან. ცხოვრების მესამე პერიოდში კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს
წააწყდება, მაგრამ თუ დასძლევს მათ, ექნება მშვიდი სიბერე.

იდეალური იქნება ხარის ქორწინება მამალთან. ეს ორი კონსერ-
ვატორი შესანიშნავად იცხოვრებს ერთად. კარგად წავა საქმე ვირ-
თხასთანაც. ხარზე შეყვარებული ვირთხა სიკვდილამდე მისი ერთგუ-
ლი დარჩება. გველი ყოველთვის არ გამოიჩენს ხარისადმი ერთგუ-
ლებას, მაგრამ საიმისო ჭკუა კი ეყოფა, რომ დამალოს გრძნობები
და არ მიატოვოს ხარი. სამწუხაროდ, ხარი გველთან მშვიდობას ვერ
პოვებს. ხარს ბიბლავს მაიმუნი, მაგრამ მასთან წარმატების მისაღწე-
ვად დაჭირდება ფანტაზია და წარმოსახვის უნარი. ხარი უნდა გაფრ-

თხილდეს თხასთან. ჭირვეული და ქარაფშუტა თხა ხასიათის წამდაუწუმ ცვალებადობით საქმეს დრამამდე მიიყვანს.

ხალხური სიბრძნის თანახმად ხარმა არ შეიძლება იცხოვროს ვეფხვთან. მათ შორის მუდმივი ბრძოლა გაჩაღდება და ვეფხვი იძულებული იქნება დატოვოს ოჯახი, ან საერთოდ გაქრეს ხარის მხედველობის არედან. ხარი ვეფხვზე ძლიერია და მასზე იმოქმედებს მანამ, სანამ არ მოსპობს. დედა ხარი ვერ გამონახავს საერთოს შვილ-ვეფხვთან. მემკვიდრე დატოვებს სახლს.

დასასრულს ვიტყვით, რომ ზამთარში დაბადებული ხარი უფრო ბედნიერია. მას ნაკლები სამუშაო აქვს. ზაფხულში დაბადებულს არ ექნება ამოსუნთქვის საშუალება. მთელი წელიწადი გაუჩერებლად უნდა იმუშაოს.

ვეფხვი
(ენერგია)

ვეფხვი ფრონდერია, არადისციპლინირებული, აქვს ფიცხი ხასიათი. ყოველთვის წინააღმდეგობაშია ჩინით უფროსთან. ვეფხვი ის მასალაა, რომლიდანაც იჩეკებიან რევოლუციონერები და ბელადები.

საუბედუროდ, როგორც ყველა უფროსი, არ იმსახურებს იმ ნდობას, რასაც მისდამი ამჟღავნებენ. ვეფხვის მოწოდებაზე: „წინ!" ადამიანებს დაფიქრება მართებთ, რადგან ვეფხვს შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს სხვები. დიდმა რისკმა შეიძლება დააკარგვინოს განსჯის უნარი და გაუცნობიერებელ მოქმედებამდე მიიყვანოს.

ძნელია თავი დააღწიო მის მიმზიდველობას, ნამდვილი ძალაუფლება პრესტიჟს მატებს. არ უყვარს თავის დადანაშაულება, მაგრამ ყურად იღებს როცა სხვები ცდილობენ, თავი იმართლონ. ვეფხვს პატივს სცემენ. ვერავინ გაუბედავს სიმართლის პირში მიხლას მაშინაც კი, როდესაც ცდილობენ მის განადგურებას. მორიდებულნი არიან მასთან ურთიერთობაში და ერთგვარად თაყვანსაც სცემენ.

თუ თავს ძალას დაატანს და დაფიქრებით იმოქმედებს, ამასთანავე, გაითვალისწინებს სხვის გაფრთხილებას, დიდ წარმატებას მიაღწევს. ბუნებით მებრძოლია, ძლიერი და ფიცხი, საქმისათვის შეუძ-

ლია თავიც გაწიროს. შეუპოვარი და ჯიუტი, კამათის მოყვარე და მეწვრილმანე გამუდმებულ კონფლიქტებშია. წვრილმანებში ეგოისტია, მაგრამ დიდ საქმეებში უანგარო. ვიწროშუბლიანი ვეფხვი იოლად არავის ენდობა. იგი ყოველთვის წინ მიიწევს. ეჯავრება დამყაყებული ხელისუფლება, იერარქია და კონსერვატიზმი. პარადოქსულია, მაგრამ მან შეიძლება თავი შეიკავოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო როცა რაიმეს გადაწყვეტს, ხშირად უკვე დაგვიანებულია. ვეფხვი შეიძლება გახდეს მხედართმთავარი ან საწარმოს ხელმძღვანელი. არ არის გამორიცხული იქცეს საშიშ დამნაშავედ, ყველა საქმეს, რომელიც დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან, ხალისით აკეთებს.

იგივე ითქმის ქალ-ვეფხვზეც. ის მზად არის უთანასწორო ბრძოლა გამოუცხადოს რომელიმე წესს ან კანონს. ვეფხვის ინტერესების საგანს არ წარმოადგენს ფული, მაგრამ შეუძლია შეიქმნას კარგი პირობები.

ვეფხვი არაჩვეულებრივი მოქმედებისა და გამონაკლისი ბედის მქონე ადამიანია. ის მებრძოლია, მგრძნობიარე, ემოციური და დიდი წამოწყებებისა და ძლიერი სიყვარულის უნარი აქვს. მაგრამ მას იშვიათად უმართლებს სიყვარულში. ქალ—ვეფხვს შეიძლება ჰქონდეს სასიყვარულო თავგადასავლები, რომლებიც ხშირად მისთვის არასასურველად წარიმართება.

ვეფხვს შეუძლია თავისი ცხოვრება პატიოსან ცხენს ან დრაკონს დაუკავშიროს. დრაკონი მას ძალასა და სიფრთხილეს შემატებს. შეიძლება კავშირი დაამყაროს ძაღლთან, რომელიც პირსა თუ ლხინში მის გვერდით იქნება. ვეფხვი უნდა ერიდოს გონიერ გველს, რომელიც ვერ გაუგებს მას. ვეფხვი უნდა გაექცეს, მისთვის მეტისმეტად ეშმაკ მაიმუნს, რადგან მასთან მუდამ საშიშროება ელის. ასევე არ შეიძლება ენდოს მას მეგობრობაში და საქმიან ურთიერთობებში. მოქნილი, ჭკვიანი და არაკეთილსინდისიერი მაიმუნი ვეფხვს ყოველთვის გააცუცურაკებს. არ არის რეკომენდირებული მისი კავშირი ხართან, რადგან ხარი ვეფხვზე ძლიერია და დაუყოვნებლივ ესხმის თავს, რათა გაანადგუროს. თუ კი ისინი ერთ სახლში არიან ვეფხვი ყოველთვის იძულებულია დატოვოს ოჯახი.

რაც შეეხება კატას, მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. ხალხი ამბობს: კატა ხეზე იმისთვის მიძვრება, რომ იქიდან ვეფხვს აწყენინოს, რომელსაც ხეზე ცოცვა არ შეუძლია. ხეზე მყოფი კატა პირში

ახლის მოწინააღმდეგეს ყოველგვარ სისაძაგლეს, თუმცა თუ მოინ-დომებენ შეუძლიათ მათ გაუგონ ერთმანეთს, რადგან ერთი ჯიშისა-ნი არიან.

ცხოვრების პირველი ფაზა ვეფხვისათვის მშვიდი და იოლი იქ-ნება. მეორე — მგზნებარე და მშფოთვარეა. მან უნდა მოაგვაროს მთელი რიგი პრობლემები: ფინანსური, ცოლ-ქმრული, პირადი ურ-თიერთობები, ოჯახური და ვერც ერთ მათგანს გვერდს ვერ აუვლის. თუ ამ ფაზაში ყველა ეს პრობლემა ვერ მოაგვარა, ისინი მესამე ფაზაშიც გაყვებიან და მაინც ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, თუ ის სიბერემდე იცოცხლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდის დაიბადა ვეფხვი — დღისით თუ ღამით. ღამით, განსაკუთრებით შუა-ღამით, დაბადებული ვეფხვი დაზღვეულია ყოველგვარი ფათერაკი-საგან. მისი ცხოვრება ნაკლებად ქარიშხლიანი იქნება, ვიდრე დღი-სით დაბადებული ვეფხვისა. ეს უკანასკნელი მგზნებარეა, დაუოკე-ბელი და მუდამ თანა სდევს საშიშროება. თუმცა ესეც შედარებითია. როგორც წესი, არც დღისით და არც ღამით დაბადებულ ვეფხვს არ უწერია მშვიდობიანი ცხოვრება, თანაც, ვერ ვიტყვით, რომ მას ეს. არ მოსწონდეს — მგზნებარე, ქარიშხლიანი ცხოვრება და რისკზე წასვლის სიყვარული მუდამ თავის ნებაზე ათამაშებს მას.

ეს კაცი სიკვდილის მატარებელია, მაგრამ ექნება წარმატებები. არავის უმართლებს ვეფხვისნაირად. აზიელებისათვის ვეფხვი შესა-ნიშნავი ნიშანია, დედამიწის სიძლიერის განმასახიერებელი და ადა-მიანის სიცოცხლის დამცველი ემბლემაა.

ვეფხვი სახლში უნდა ერიდოს სამ უბედურებას: ქურდებს, ცეცხლს და მატყუარებს, მაგრამ თუ სახლში ორი ვეფხვია, ერთი მათგანი აუცილებლად უნდა წავიდეს!

კატა (კურდღელი)
(მშვიდი ადამიანი)

კატა ყოველთვის რბილად, თათებზე ეცემა. ქუდბედიანია, თავ-მოყვარე. სასიამოვნო კომპანიონი, თავმდაბალი, თავდაჭერილი, სათ-ნო და მისი ეს თვისებები ყველასათვის ცნობილია. კარგი მოლაპა-

რაკეა, აფასებს საკუთარ თავს, მაგრამ ამ ღირსებებთან ერთი ნაკლიც აქვს. შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი, მაგრამ არც მთლად მეორეხარისხოვანი, მეტისმეტად ზერელეა და მისი კარგი თვისებებიც ზედაპირულია. უყვარს ხალხში ყოფნა და მათაც მოსწონთ კატა. იგი ეთაყვანება მაღალ საზოგადოებას და ზოგჯერ წაუჭორავებს კიდეც, მაგრამ ამას ტაქტიანად, ფრთხილად და დახვეწილად აკეთებს.

უყვარს სტუმრების მიღება და სახლში ყველაფერი რიგზე აქვს. ზოგიერთისათვის ის სნობია. კატა პედანტია.

ქალ — კატას უყვარს თავისი კულტურის წარმოჩინება და ეს თვითონვე ანიჭებს დიდ სიამოვნებას. თავის გამოჩენის მიზნით სპეციალურად შეისწავლის ხოლმე ამა თუ იმ საკითხს. არადა ამავე დროს წარმოდგენა არა აქვს უმთავრესზე, რაც ამ საკითხს უკავშირდება.

კატა თითქმის არ კარგავს წონასწორობას. მშვიდი და აუღელვებელია. მასში სენტიმენტალური მეტია, ვიდრე ნამდვილი მგრძნობიარობა. სულ პატარა პირადი უსიამოვნება ისე მოშლის ხოლმე, როგორც სხვას დიდი უბედურება. ომი და შიმშილობა მხოლოდ მაშინ აღელვებს, როდესაც ეს პირდაპირ მას ეხება. თუ ტანჯვის მიზეზი აქვს, იტანჯება ისე ძლიერ, რომ შეიძლება მოკვდეს კიდევაც. კატა უბრალო რამეზე ატირდება, მაგრამ სწრაფადვე წყნარდება, ამ ნიშნის ქალთა მომხიბვლელობის მთავარი კოზირია მელანქოლია.

კატა კონსერვატორია. სძულს ყველაფერი, რასაც შეუძლია მისი ცხოვრება შეაფერხოს. ყველაზე მეტად ესწრაფვის კომფორტს და უსაფრთხოებას, მაგრამ ამისათვის თადარიგს არ იჭერს. ასეთი სიფრთხილისათვის ხალხი პატივს სცემს და ენდობა.

ფინანსურ ურთიერთობაში ილბლიანია. კატის მოქნილობის წყალობით არ წააგებს ის, ვინც მასთან კონტრაქტს დადებს, კარგი სპეკულიანტია. ამ საქმისადმი განსაკუთრებულ უნარს იჩენს. მიაღწევს წარმატებებს ვაჭრობაში. გამოირჩევა კარგი გემოვნებით. შეუძლია გახდეს ანტიკვარული მაღაზიის მფლობელი. მისგან. აგრეთვე, კარგი იურისტი და დიპლომატი გამოვა. დიპლომატი იმ პირობებში, როდესაც სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ქალი — კატა კარგად მოერგება მოღვაწეობის ისეთ სფეროს, სადაც საჭიროა გემოვნება, სტუმართმოყვარეობა და თავის გამოჩენა. პოლიტიკოსისათვის ზედმიწევნით სასურველია ცოლად შეირთოს

კატის ნიშნით დაბადებული ქალი. ეს ქალი ბევრს შემატებდა მას თავისი კეთილშობილებითა და, ამავე დროს, უბრალოებით.

ალერსიანი და დაუზარებელია კატა იმათ მიმართ, ვინც უყვარს, მაგრამ ის ადვილად შორდება ახლობლებს, თუ კი ეს მეგობრებისათვის იქნება საჭირო. მას არა აქვს ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. მშობლებსა და შვილებს ხშირად უცხოსავით ეპყრობა. უპირატესობას ანიჭებს თავის მიერ არჩეულ მეგობრებს. ამ ნიშნის ქალის დედობრივი ინსტინქტი ძალიან ორგანულია, მაგრამ ის თავის მოვალეობას ყოველთვის ასრულებს.

კატა აფასებს თხის არტისტულ გემოვნებას და კარგად ეგუება მასთან თანაცხოვრებას. იგი კომფორტს შეუქმნის თხას და მის ჭირვეულობას არაფრად ჩააგდებს. კარგად იგრძნობს თავს ძაღლთან და კიდევ უფრო უკეთესად ღორთან, მამლის ბაქიაობას კატა ვერ იტანს, ხოლო ვირთხას ჭირიანივით გაურბის.

ვეფხვთან მისი დამოკიდებულება დაძაბული იქნება. ნაკლებად ძლიერ კატას ყოველთვის შეუძლია დაუძვრეს მასზე ბევრად ძლიერ ვეფხვს და თამაშიდან სუფთად გამოვიდეს. ისინი ერთნაირი ჯიშისანი არიან და ამიტომაც კატას არ ეშინია ვეფხვის.

კატა ცხოვრების სამივე ფაზას მშვიდად გაატარებს მხოლოდ ერთი პირობით: არ უნდა მოხვდეს განსაკუთრებულ სიტუაციაში და დრამატულ ამბებში. ომები, რევოლუციები, კატასტროფები მისი საქმე არ არის. არ სურს იყოს ვინმეს მოწინააღმდეგე, რადგან თუ შეწინააღმდეგება ვერ შეძლო, შეიძლება თავი მოიკლას ან სამშობლოდან გაიქცეს.

აზიელები ალმაცერად უყურებენ კატას. ამბობენ, კუდიანები კატებად იქცევიანო. ევროპაში მას ცოცხლად წვავდნენ, როგორც ეშმაკთან წილნაყარს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი არ იმსახურებს ასეთ რეპუტაციას. აი, ეგვიპტეში კი კატა ღმერთად მიაჩნდათ. მათი შეხედულებით, ღმერთს, ჯადოქარს და ადამიანს აქვთ სუსტი მხარეები, რომელიც შეიძლება საშიშ ძალად გადაიქცეს!

დრაკონი

(„რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის“)

დრაკონი ჯანმრთელია, სიცოცხლით სავსე და აქტიური, გულგახსნილი და სუფთა, როგორც ოქრო. არ არის წვრილმანი და ენამწარე. არ ეხერხება პირფერობა და ელემენტარული დიპლომატიაც კი. თუმცა არც კეთილი ღორიეთ გულუბრყვილოა, მაგრამ მიმნდობია და ყოველთვის შეიძლება მისი მოტყუება. დრაკონი მგრძნობიარეა. ხშირად ტყუილუბრალოდ შფოთავს. აქვს მისწრაფება სრულყოფილებისაკენ და ამიტომ მომთხოვნია, როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ. ის მეტისმეტად ბევრს ითხოვს, მაგრამ კიდევ უფრო მეტს თვითონ აკეთებს.

ფიცხია, თავშეუკავებელი და ზოგჯერ ენაც უსწრებს. მაგრამ მისი დარიგება უნდა მიიღოთ, რადგან შეუძლია კარგი რჩევა მოგცეთ.

ენთუზიასტია. ადვილად იხიბლება. ამაყია. აქვს მრავალმხრივი ნიჭი, ინტელექტი. ამტახია და დიდსულოვანი. ვავლენიანია და ბევრი უჯერებს.

მთელი ცხოვრების განმავლობაში არაფერი გაუჭირდება. — ყველა საქმეში ბედი სწყალობს. რა კარიერაც უნდა აირჩიოს, — ექიმის, მსახიობის, პოლიტიკოსის, თუ მებრძოლის — ყველა სფეროში გამოიჩენს თავს. თუ კი თავს გაწირავს დიდი საქმისათვის მიზანს ყოველთვის მიაღწევს. სამწუხაროდ, ასეთივე წარმატებით შეუძლია ხელი მოჰკიდოს ცუდ საქმეს და აქაც გამარჯვებული გამოვიდეს!

დრაკონი იშვიათად შეიყვარებს ვინმეს. თვითონ კი ბევრს უყვარს. სასიყვარულო გატაცებებისა და ტანჯვისაგან დაზღვეულია, მაშინ როცა თავად შეიძლება გახდეს დრამის ან სასოწარკვეთის მიზეზი. ამ ნიშნის ქალებს სიყვარულში წარმატება უწერიათ, ხშირად სთხოვენ ხელს.

დრაკონი ახალგაზრდობაში იშვიათად ირთავს ცოლს, ზოგიერთი საერთოდ უცოლოდ რჩება. მოსწონს თავისუფალი ცხოვრება. ეს უხდება მას, მარტოობაში თავს უფრო ბედნიერად გრძნობს.

შეუძლია კარგად იცხოვროს ვირთხასთან. უზომოდ შეყვარებული ვირთხა მისგან გულგრილობასაც იტანს. რა თქმა უნდა, ვირთხა ისარგებლებს ყველაფრით, რასაც დრაკონი მოიტანს ოჯახში და თა-

ვადაც დაეხმარება ანალიტიკური გონებითა და ფულისადმი სიყვარულით. ასევე შეიძლება ითქვას გველის შესახებაც. ბაქია მამალიც გამონახავს საერთო ენას დრაკონთან. მამალი სიამოვნებით აკენკავს დრაკონის წარმატების ნამცეცებს. როგორც სიყვარულში, ასევე მეგობრობაშიც მაიმუნი შეავსებს მას. ის დრაკონს ეშმაკობით მიეშველება, დრაკონი კი სიძლიერეს შემატებს მაიმუნს. მათ ჭირდებათ ერთმანეთი, ოღონდ ეს გაცნობიერებული აქვს მხოლოდ მაიმუნს. მასთან დრაკონი ყურადღებით უნდა იყოს, რადგან ყველა სხვა ნიშანთა შორის მხოლოდ მაიმუნს შეუძლია დასცინოს. დრაკონის სიამაყეს არბილებს მაიმუნის იუმორი.

მამაკაც-დრაკონს ხშირად გველის სილამაზე ხიბლავს და ამით ამაყობს კიდევაც. ვეფხვთან კავშირი სიმშვიდეს არ უქადის. მაგრამ იგი ყველაზე მეტად უნდა მოერიდოს მშფოთვარე და პესიმისტ ძაღლს, რომელსაც დრაკონის არ სჯერა.

ცხოვრების პირველ ფაზაში დრაკონს აქვს პატარა სიძნელეები იმ მიზეზით, რომ ახლობლებისაგან ბევრს თხოულობს. მეორე ფაზაში მისი არტისტული ტემპერამენტის წყალობით პრობლემების წრე კიდევ უფრო ფართოვდება.

დრაკონს ხშირად ეუფლება გრძნობა, რომ გარშემო მყოფნი ვერ უგებენ. სინამდვილეში მისით აღტაცებულები არიან და უჯერებენ, რამდენადაც ცოტა საფიქრალი ექნება, იმდენად დიდი იქნება მისი წარმატებები. მას ხშირად აწუხებს უკმარისობის გრძნობა. მაგრამ ის ბედნიერად იცხოვრებს მესამე ფაზაში. ცხოვრების ეს ფაზა მოუტანს ყველაფერს, რასაც ინატრებს. დრაკონის ნიშანი გამარჯვებისა და ზეციური ძლიერების ნიშანია. მას აქვს ყველაზე კეთილმყოფელი ასტროლოგიური გავლენა. ეს სიცოცხლისა და განვითარების სიმბოლოა. დრაკონს თან დაჰყვება ოთხი რამ: სიმდიდრე, სიკეთე, ჰარმონია და სიცოცხლის ხანგრძლივობა.

დრაკონი სულ ანათებს, ბრწყინავს. მისი ელვარებისაგან შეიძლება დაბრმავდეთ კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. სინამდვილეში დრაკონი რეალურად არ არსებობს. ის პარადებისა და კარნავალებისათვის არის გაჩენილი.

თავის სურვილების შესაბამისად ის ამოანთხევს ცეცხლს, ოქროსა და წყალს და ისინი შესანსლავენ მას დღესასწაულის შემდეგ. მაგრამ დრაკონი მომავალი ზეიმისათვის ფენიქსივით აღდგება ფერფლიდან. იგი ქიმერული არსებაა.

გველი

(სიბრძნე)

თუ ევროპის ქვეყნებში გველი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, აზიაში, პირიქით, ძლიერ დაფასებულია თავისი სიბრძნის, გამჭრიახობისა და ნებისყოფის წყალობით. კაცი — გველი სენტიმენტალურია და მომხიბვლელი. აქვს იუმორის გრძნობა. ქალი — გველი ლამაზია და ხშირად სარგებლობს ამ სილამაზით. იაპონიაში ქალს კომპლიმენტად შემდეგ სიტყვებს ეუბნებიან: „ძვირფასო, თქვენ ნამდვილი გველი ხართ“ ეს კომპლიმენტი დასავლეთის ქვეყნებში სულ სხვაგვარად ჟღერს.

გველი იცვამს ლამაზად, ოღონდ ოდნავ გადაპრანჭულად. ის რამდენადმე დენდია. ქალებს პირდაპირ დახვეწილი აქსესუარის მანია სჭირთ. არ უყვართ ყბედობა, სამაგიეროდ ბევრს და ღრმად ფიქრობენ. ეს ინტელექტუალი, ფილოსოფოსია, თუმცა ბრძენია, მაგრამ გონებაც რომ არ ჰქონდეს იოლად გავა შესანიშნავი ინტუიციის წყალობით. თუ განათლებულია, მისი ინტუიცია შეიძლება ნათელმხილველობად გადაიქცეს. გველი უფრო შთაბეჭდილებებს, გრძნობებსა და სიმპათიებს ენდობა, ვიდრე ფაქტებს, საკუთარ და სხვათა გამოცდილებას და რჩევებს. მას თითქოს მეექვსე გრძნობა აქვს.

მას დაწყებული საქმე გაბედულად მიყავს ბოლომდე. ძალიან განიცდის თუ საქმე ჩაუვარდა. თუმცა ბუნებით მშვიდია, მაგრამ გადაწყვეტილებას სწრაფად ღებულობს. მან შეიძლება დედამიწა გადაატრიალოს დასახული მიზნის მისაღწევად. ცუდი მოთამაშეა.

გველს არ უყვარს ფულის გასესხება, მაგრამ თუ კი სიმპათია აქვს ვინმესადმი, მას აუცილებლად დაეხმარება. შეუძლია მოემსახუროს ადამიანებს. ფულით კი იშვიათად ეხმარება ვინმეს. ვარდება უკიდურესობაში, კეთილი სურვილი ვინმეს დახმარებისა ისე გაიტაცებს, რომ ყველაფერი ავიწყდება, გველი ყველაფერს აზვიადებს. თუ ვინმეს დაეხმარა, ამის გამო ისევ თვითონ დაირცხვენს და არაფრით არ იფიქრებს, იქიდან რაღაც სარგებელი ნახოს. ინსტინქტი კარნახობს, მაგრად შემოეხვიოს ადამიანს და დაახრჩოს კიდევაც თუ ამას საჭიროდ თვლის. კარგად დაფიქრდით და ისე მიმართეთ გველს დახმარებისათვის, თორემ შეიძლება ინანოთ.

ფული გველს თავის შეუწუხებლად შემოსდის და რა წუთსაც დას-

ჭირდება მაშინვე იშოვის. ეს მან იცის, და ამიტომაც არ წუხს. სიბერეში შეიძლება ძალიან გაძუნწდეს.

გველი შეასრულებს ყოველგვარ სამუშაოს, თუ ეს არ უკავშირდება რისკს. ბევრსაც იმუშავებს, ოღონდ ბუნებით მაინც ზარმაცია.

სიყვარულში თავად ირჩევს პარტნიორს. მოუთმენელი და ეჭვიანია მაშინაც, როდესაც პარტნიორი უკვე აღარ უყვარს. გველი მას არასოდეს არ ტოვებს და არ აძლევს თავისუფლად ყოფნის ნებას. ამას აკეთებს უბრალო ჭირვეულობის გამო. ეს ეხებათ განსაკუთრებით მამაკაც-გველებს.

გველი, სულერთია, ქალი თუ კაცი, ესწრაფვის არაკანონიერ კავშირს. რის გამოც ხშირად იწეწავს ცხოვრებას. სასურველია დასძლიოს ეს ვნება და თუ ამას შესძლებს, ოჯახში იქნება ჰარმონია. ეს მისი სუსტი მხარეა. გველი ყველა გზას მოსინჯავს, რომ დააბას პარტნიორი, ერთ ასეთ საშუალებად მას ოჯახი მიაჩნია.

გველი ბედნიერი იქნება ხართან, რომელსაც ხალისით უთმობს პირველობას ოჯახში.

გველისა და მამლის ცოლ-ქმრობა და მეგობრობაც ორივესათვის სასარგებლოა, რადგან გველის ბრძოლა მამლის წინააღმდეგ ხელს უწყობს მათი უარყოფითი თვისებების გამოსწორებას. ღორი საცოდავია მასთან, მისი მუდმივი გატაცება გველით ერთგვარ პარალიზებას იწვევს მასში. გველი მთლიანად შეცვლის ღორს დარწმუნებული იმაში, რომ ამისათვის არავინ დასჯის. გველმა არ უნდა იცხოვროს ვეფხვთან, რომელიც მას გაანადგურებს.

გველის ცხოვრების პირველი ფაზა მშვიდად ჩაივლის. ყურადღებით უნდა იყოს ბოლო ფაზაში, რადგან ამ დროს მისმა სენტიმენტალურმა და მგზნებარე ხასიათმა შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს. არადა მას შეიძლება ჰქონოდა წყნარი სიბერე. ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე, ზაფხულშია დაბადებული თუ ზამთარში, ამინდსაც კი აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა. მისთვის სასურველია კარგი ამინდი. ეშინია სიცივისა და უამინდობის. მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრად უფრო ბედნიერი იქნება, თუ თბილ ტროპიკულ ქვეყანაში დაიბადება, თბილ დღეს და არა დეკემბრის ცივ ღამეს. გველის ბედი იმდენად დამოკიდებულია ამაზე, რომ ქარიშხლიან დღეს გაჩენილ გველს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში საშიშროება ელის.

ცხენი
(პატიოსანი ადამიანი)

ცხენი წარმოსადეგია და კარგი აგებულება აქვს. უყვარს სანახაობანი, თეატრი, კონცერტი, შეკრებები, სპორტული შეჯიბრებანი, — მოკლედ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია თავყრილობასთან. ხშირად გატაცებულია სპორტით და სპორტსმენიცაა. უხვად არიგებს კომპლიმენტებს, მხიარული, ლაქლაქა და სიმპათიურია, ზოგჯერ — პოპულარულიც.

ცხენმა პოლიტიკაში შეიძლება მიაღწიოს წარმატებას, რაც მას დიდ კმაყოფილებას მოუტანს. მას ამაში ბადალი არა ჰყავს; უყვარს და შეუძლია ხალხის მართვა. მისი გონება უცებ ამოიცნობს რისი თქმა სურთ ადამიანებს და თვითონ დაასწრებს ხოლმე. ცხენს გონებასთან ერთად ფიზიკური შრომის უნარიც შესწევს. იგი უფრო მოქნილია, ვიდრე ინტელიგენტური. თავი ისე უჭირავს, თვითდაჯერებული ვეგონებათ, სინამდვილეში კი ნაკლებად აქვს შინაგანი რწმენა და ამას აცნობიერებს კიდეც.

ცხენს ცხელი სისხლი აქვს. ადვილად გამოდის წონასწორობიდან და ხშირად კარგავს იმას, რასაც თავისი ცნობილი გაქნილობით მიაღწია. ვინც ერთხელ მაინც ნახავს განრისხებულ ცხენს, აღარასოდეს ენდობა მას. ცხენის მრისხანებაში არის რაღაც აულაგმავი, თავაწყვეტილი. თუ ცხენს უნდა მიაღწიოს წარმატებას, უნდა დაძლიოს საკუთარი თავი.

ცხენი ეგოისტია. დაუფიქრებლად გადათელავს ვინც წინ გადაეღობება და ოდნავადაც არ იგრძნობს სინდისის ქეჯნას. ცხენი ძალზე პატივმოყვარეა. ეგოცენტრულია და უფრო ხშირად მხოლოდ საკუთარი პრობლემებით არის დაინტერესებული, მაშინაც კი თუ ეს პრობლემები სხვის საქმეს გადაეხლართა. ბუნებით ძალიან დამოუკიდებელია. ყურს არ ათხოვებს სხვის რჩევას. ისე იქცევა, როგორც მოეხუშტურება. სასურველია ახალგაზრდობაშივე დატოვოს ოჯახი და თავისი ცხოვრებით იცხოვროს. ამას იგი სიამოვნებით იზამდა, მაგრამ ვერ თმობს ოჯახურ სიმყუდროვეს.

როდესაც ცხენი შექმნის ოჯახს, აქ მისი ყოფნა სასიკეთოა, რადგან საკუთარ ოჯახში თვითონ არის მთავარი ფიგურა და ეს ძლიერ მოსწონს. აქ ყველა მის ირგვლივ ტრიალებს და ყოველნაირად ცდი-

ლობენ რაიმეთი ასიამოვნონ. ასეთი დამოკიდებულება იმით არის გამართლებული, რომ ის ოჯახის მფარველია. მისი სახლიდან წასვლით ქვეშით ნაგები ხუხულასავით ირღვევა ოჯახური ბედნიერება.

თუმცა ეგოისტი ცხენი შრომობს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის და თავის გამოჩენისათვის, მაგრამ შრომის ნაყოფით სარგებლობს ყველა. ცხენი ინდივიდუალისტია და მუშაკი, მოქნილია ფულის შოვნაში და კარგი ფინანსისტია. სამწუხაროდ, ცვალებადი ხასიათის გამო სწრაფად სწყინდება თავისივე წამოწყებული საქმე.: სამუშაო იქნება ეს, სიყვარული თუ სხვა რამ. მოგვიანებით კვლავ შეუდგება ამ საქმეს ადრინდელი გულმოდგინებით. ყოველგვარ პროფესიას შეიფერებს, თუ იძულებული არ იქნება ამის გამო მარტო იყოს და წინასწარ განჭვრიტოს ყოველივე. ცხენის სურვილია, იყოს ყურადღების ცენტრში და ისმენდეს მისი მისამართით ნათქვამ საქებარ სიტყვებს.

საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში ცხენი სისუსტეს ამჟღავნებს. სიყვარულის გულისათვის ყველაფერს დათმობს, შეყვარებული ცხენის ვნება იმდენად დიდია, რომ სხვა დანარჩენის მიმართ გულგრილი ხდება. ამიტომ ხშირად განწირულია მარცხისათვის, მიუხედავად ბევრი უდავოდ კარგი თვისებისა. თუ მოახერხებს დაძლიოს ეს სისუსტე და გონებას გრძნობებზე გაამარჯვებინებს, იქნება ბედნიერი.

ცხენს შეუძლია თავისი ცხოვრება თხას დაუკავშიროს. თხა და ცხენი ერთად გადაევლებიან ყოველგვარ უფსკრულს. თხის ჭირვეული და ცვალებადი ხასიათი ჯაბნის ცხენის ეგოიზმს. ურიგო კავშირი არ ექნება ვეფხვთან და ძაღლთან. ეს უკანასკნელი, დაბრმავებული უდიდესი საქმეების გადაწყვეტითა და გრანდიოზული პერსპექტივებით არ მიაქცევს ცხენის ცვალებად გრძნობებს ყურადღებას და დაკავებული იქნება საკუთარი საქმეებით. ცხენმა არაფრით ბედი არ უნდა დაუკავშიროს ვირთხას, მითუმეტეს თუ ცხენი ქალია და ითვლება ცეცხლოვან ცხენად. მათი კავშირი დრამამდე მივა.

პირველი და მეორე ფაზა ცხენის ცხოვრებისა მშვიდი იქნება, ახალგაზრდობაში შეიძლება დატოვოს ოჯახი და ამას მოჰყვება უსიამოვნებანი. სიყვარულიც ქარიშხალივით გადაუვლის. ცხოვრების მესამე ფაზა მშვიდობიანია.

არ შეიძლება ვილაპარაკოთ ცხენზე, და არ ვახსენოთ ცეცხლოვანი ცხენი; ისინი იბადებიან 60 წელიწადში ერთხელ (1906, 1966,

2026) ამ ცხენს შეუძლია ყოველი კარგი და კეთილი საშინელებად გადააქციოს. ცეცხლოვანი ცხენის წელიწადი არასასურველია ყველა სახის ცხენისათვის და, აგრეთვე, მათი ოჯახებისთვისაც: უბედურება, კატასტროფა და ავადმყოფობა მოაქვს მათთვის ამ წელს. ცეცხლოვანი ცხენის წელიწადში გაჩენილებს ისეთივე თვისებები აქვთ, როგორც ჩვეულებრივ ცხენს, მაგრამ ეს თვისებები, კარგიც და ცუდიც, უფრო გაღრმავებულია. უფრო შრომისმოყვარე და უფრო მოქნილი, ერთდროულად უფრო ეგოისტი და უფრო თავშეუკავებელი იქნება. შეყვარებულ ცხენს მგზნებარე ტემპერამენტი უკიდურესობებისაკენ უბიძგებს. ხალხური რწმენა ამტკიცებს, რომ ცეცხლოვანი ცხენი იწვევს უსიამოვნებებს იქაც, სადაც დაიბადა და იქ, იმ ოჯახშიც, რომელსაც თვითონ შექმნის.

ცეცხლოვანი ცხენის ცხოვრება გაცილებით არაჩვეულებრივი და მოულოდნელობებით სავსე იქნება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცხენისა. მას შანსი აქვს გახდეს ცნობილი, მაგრამ სიკეთით თუ ბოროტებით — ეს უკვე ღმერთმა იცის.

თხა (ცხვარი)

(ჰირვეული)

ელეგანტური და არტისტული თხა შეყვარებულია ბუნებაზე. მას შეეძლო ნიშანთა შორის ყოფილიყო ყველაზე მომხიბვლელი, რომ არა პესიმიზმი, მშფოთვარება და აბეზარობა. ყოველთვის წუწუნებს. უკმაყოფილოა თავისი ბედის. ყველას თავს აბეზრებს ჰირვეულობით. მიმტაცებელია, მაგრამ ამას თვითონ არ აღიარებს. არადისციპლინირებულია და სისტემატურად იგვიანებს. არა აქვს დროის შეგრძნება, რაც აუტანელს ხდის. მას მოსწონს სხვის ხარჯზე ცხოვრება, სხვათა გამოყენება. ამით თავიც კი მოაქვს. თხა არ არის დამოუკიდებელი. ადვილად ეგუება ყოველგვარ ცხოვრებას, თუ თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

მორცხვია, ქალური, ზოგჯერ ნაზიც. უყვარს წუწუნი, ჩივილი. მოსწონს, როდესაც ჭკუას არიგებენ, ხელმძღვანელობენ, რჩევას აძლევენ. თვითონ ვერასოდეს ხვდება, რა გზა აირჩიოს და ყოველთვის სხვაზეა დამოკიდებული. შეიძლება ვთქვათ, რომ ის გამოუსწორებე-

ლი პესიმისტია. აქვს დახვეწილი მანერები, მაგრამ ძალიან ჭირვეულია. ხშირად რელიგიურია, გარდა ამისა, გატაცებულია ყველაფერი ფანტასტიკურითა და ზებუნებრივით, ოკულტიზმითა და ჰოროსკოპებით. თხა კეთილი და ყოჩაღი ჩანს. უყვარს ქველმოქმედება: დაუზარებლად უნაწილებს ქონებას ღარიბებს, მაგრამ რასაც უნაწილებს ყოველთვის მას არ ეკუთვნის. თხას არა აქვს მესაკუთრული ბუნება, ხალხური სიბრძნე ამბობს, რომ კარგ საძოვარზე მყოფი თხა დამჯერეა და მშვიდია ცუდ საბალახოზე მყოფ თხასთან შედარებით. ეს უკანასკნელი გამუდმებით კიკინებს და წუწუნებს. თხის ცხოვრება იმდენად მასზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც სხვებზე. ის ემორჩილება ბრძანებებს. ამიტომ, რაც უნდა მოხდეს, მისი მოთავე თხა არასოდეს იქნება. თხის არაკეთილსინდისიერებამ შეიძლება გამოიწვიოს არევდარევა. მას არა აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, უინიციატივოა და უნებისყოფო. ხელმძღვანელობის უნარი არ გააჩნია. დაბადებულია იმისათვის, რომ სხვას დაუჯეროს და თუ კარგი გავლენის ქვეშ მოხვდა, წარმატებას მიაღწევს ხელოვნების რომელიმე დარგში. აქვს გემოვნება და ტალანტი. შეუძლია იყოს კარგი სპეციალისტიც. კარგად შეასრულებს იმ სამუშაოს, რომელიც ერთდროულად მოითხოვს ტექნიკურ და არტისტულ მიდრეკილებათა შერწყმას. თხა ჭკვიანია, მაგრამ არასოდეს იჩემებს პირველობას, რაც მისთვის სულაც არ არის ცუდი. ფანტაზიით მდიდარ მის ბუნებას ესაჭიროება მტკიცე ნებისყოფა.

ტრადიციებმა და აღზრდამ მიგვაჩვია, რომ ადვილად მივუტევოთ ქალს სურვილი, იყოს დამოუკიდებელი. თხას სურს მშვიდი ცხოვრება, ოცნებობს მეცენატეობაზე, და ქორწინებაზე, რომელიც მას სიმდიდრეს მოუტანს. სიამოვნებით იცხოვრებს მდიდარ მშობლებთან. თხისგან შეიძლება გამოვიდეს კურტიზანი, სუტენიორი, დიდი მწერალი და შესანიშნავი მსახიობი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის გავლენას განიცდის და, აგრეთვე, მატერიალურ შესაძლებლობაზე.

მან თავი უნდა აარიდოს კომერციას. ვაჭრობაში არ გამოდგება. ზოგჯერ უთავბოლოდ საუბრობს. უჭირს აზრების გამოთქმა, ლაპარაკობს ხან ძალიან სწრაფად, ხან კი მეტისმეტად ნელა, ბორძიკით.

თხა არ უნდა წავიდეს ომში. იქიდან იგი გამარჯვებული ვერ მოვა. ის არა თუ მეთაურად, ჯარისკაცადაც არ ვარგა. თუ ბედმა უმუხთლა, შეიძლება რომელიღაც ხიდქვეშ დაასრულოს თავისი სი-

ცოცხლე. არ ექნება სერიოზული პრობლემები ჩაცმის, ჭამისა და კომფორტის მხრივ, რადგან უნარი აქვს, მიაგნოს იმ კარს, სადაც უნდა შევიდეს. ეცადეთ, გზა ჩაუკეტოთ თხას კარგად მოწყობილი სახლისაკენ, სადაც ხშირად იყრიან თავს მსახიობები, თორემ თავიდან ვეღარ მოიშორებთ. კომფორტი ესაჭიროება გუნება-განწყობილებისათვის, ხოლო მსახიობები — თავის წარმოჩენისათვის. თხა პირდაპირ ჭკუას კარგავს სოფლისათვის. მას ექნება სასიყვარულო პრობლემები და ამ მხრივ მისი ცხოვრება საკმაოდ ბობოქარია.

თუ თხა თავის ცხოვრებას დაუკავშირებს კატას, ღორს ან ცხენს, ყველაფერი რიგზე იქნება. ისინი უზრუნველყოფენ თხის მყუდროებას. კატას გაართობს მისი ჭირვეულობა. ღორიც აიტანს ამას. ეგოისტი ცხენი კი ყურადღებასაც არ მიაქცევს თხის ჭირვეულობას.

სხვა დანარჩენი ნიშანი დიდხანს ვერ გაუძლებს თხას. განსაკუთრებით ეს ითქმის ხარზე. მართალია, ხარი უზრუნველყოფს ოჯახში სიმყუდროვეს, მაგრამ თხისგანაც სანაცვლოდ ბევრს თხოულობს, თხა კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. რაც შეეხება თხისა და ძაღლის კავშირს როგორც სიყვარულში, ასევე მეგობრობაშიც იგი დასარღვევად არის განწირული. ორი პესიმისტი მუდამ უკმაყოფილო იქნება ერთმანეთის. საერთოდ, თხა არც ერთი ნიშნის პარტნიორს არ გადაყვება თან.

ცხოვრების მეორე ფაზაში შეურაცხყოფენ თხის გრძნობებს, დანარჩენ საქმეებში კი გაუმართლებს. გახსოვდეთ, თხას ესაჭიროება „კარგი საძოვარი", მატერიალური უზრუნველყოფა და მრჩეველები, რათა მიაღწიოს წარმატებას.

მაიმუნი

(ეშმაკობა)

მაიმუნი ნიშანთა შორის ყველაზე ხუშტურიანია. იუმორის კარგი გრძნობა აქვს, რისი წყალობითაც საზოგადოების სული და გულია, მაგრამ ყოველთვის ცბიერი და ეშმაკია. მაიმუნი გულღიაა და ქმნის ყოველმხრივ შემკული ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ის მეტად ანგარებიანია. თავისი მოჩვენებითი თავაზიანო-

ბითა და სითბოთი ყველას სიმპათიას იმსახურებს, მაგრამ თითქმის ყველა სძულს, თავს არავის უტოლებს.

მაიმუნი ინტელექტუალურია. დიდი მისწრაფება აქვს ცოდნისაკენ. ბევრს კითხულობს, ერკვევა თითქმის ყველაფერში და თვალყურს ადევნებს ყოველივე იმას, რაც მსოფლიოში ხდება. განათლებულია და გამოირჩევა შესანიშნავი გონებით, რომელიც საშუალებას აძლევს, დაიმახსოვროს ნახულის, წაკითხულის ან მოსმენილის უწვრილმანესი დეტალიც. საერთოდ უწესრიგო მაიმუნს ეს დიდად ეხმარება, აქვს წარმოსახვის დიდი უნარი. ამასთანავე, შეუძლია სწრაფად გადაწყვიტოს ურთულესი პრობლემები. ხოლო თუ ეს სასწრაფოდ არ გააკეთა, მაშინ საერთოდ ანებებს თავს. მაიმუნი საღი აზრითა და აღმაფრთოვანებელი მოქნილობით ატყუებს ხალხს. ის ახერხებს დასცინოს დრაკონსაც კი, რომელიც ყველაზე ძლიერი, ამტანი და მოქნილია. ვეფხვის მაგნეტიზმი არ მოქმედებს მაიმუნზე, პირიქით ეს უკანასკნელი დასცინის კიდევაც მას. დიპლომატ და ცბიერ მაიმუნს შეუძლია თავი დაიძვრინოს ყველაზე რთული სიტუაციებიდან. დამოუკიდებელია და ბუნებით ინდივიდუალისტი. მას ვერაფერს უკარნახებ და ვერც მის საქმეში ჩაერევი. თვითონ ირჩევს საკუთარ ვარიანტს. თუ მისი პირადი ინტერესები არაკეთილსინდისიერებასა და სიცრუეს მოითხოვენ უკან დაიხევს, ხოლო თუ დაუსჯელობის გარანტიაც აქვს, შეუძლია ცუდი საქმეები ჩაიდინოს, ამასთან მისი გამოჭერა სულაც არ არის ადვილი.

ზოგიერთი მაიმუნი თავისი ხასიათის წყალობით შეიძლება ქურდობამდეც მივიდეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველა მათგანი ქურდია და მატყუარა. მაიმუნი იმდენად მომხიბვლელია, რომ რაც უნდა დაგიშავოთ, ძლიერ ვერ გაუბრაზდებით. შეუძლია ხელოვნებაში თავი მოიწონოს. მაიმუნი კარიერისტია, ამისათვის ყველანაირი შანსი აქვს. მიუხედავად უარყოფითი თვისებებისა (პატივმოყვარეობა, სიცრუე, უწესრიგობა) ყველას იზიდავს მისი გამჭრიახი გონება.

მაიმუნი მოქნილობას იჩენს მასშტაბურ საქმეებში და ეშმაკობას — ფინანსურ გარიგებებში. მაიმუნი კარგად მუშაობს იმ სფეროებში, სადაც საჭიროა წარმოსახვა და ცოდნა. შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ყოველნაირ სარბიელზე. იქნება ეს პოლიტიკა, დიპლომატია, კომერცია თუ მრეწველობა: კიდევ მეტი გასაქანი ექნება იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს უმაღლეს განათლებას. მიუხედავად ზოგი-

ერთი ფინანსური გართულებისა, მაიმუნი შეძლებს შეიქმნას კარგი მატერიალური მდგომარეობა.

სიყვარულში ბედნიერებას ვერ პოვებს. ცუდი დამოკიდებულება ექნება თავის წყვილთან. მგზნებარე მაიმუნი ადვილად იპყრობს პარტნიორის გულს, მაგრამ სწრაფადვე ბეზრდება და ახალ სიყვარულს ეძებს. საუბედუროდ, ეს ძიება უშედეგოდ ჩაუვლის. მაიმუნს ძალიან მალე ბეზრდება თხა. სასოწარკვეთილების ჟამს მას იუმორი შველის. კიდევ მეტი, მაიმუნმა შეიძლება იცინოს თავის სატკივარზე და დასკვნაც გონივრული გამოიტანოს.

მაიმუნი კარგად შეეწყობა დრაკონს. იგი სარგებლობს დრაკონის სიძლიერით. თავად კი ეშმაკობით ეხმარება. ისინი კარგი კომპანიონები იქნებიან საქმეშიც, თუმცა მაიმუნი სულ იმის ცდაშია, მოატყუოს დრაკონი. რეკომენდირებულია მისი კავშირი ვირთხასთან. მაიმუნით მოჯადოებული ვირთხა ყველაფერს აიტანს და სიცოცხლის ბოლომდე ეყვარება ის, თუმცა მაიმუნი ასეთივე სიყვარულით არ უპასუხებს. მაიმუნი ვეფხვს დასცინის, მაგრამ მასთან მაინც სიფრთხილე მართებს. ყველა სახის კავშირი მათ შორის, შეხლა-შემოხლითა და დავიდარაბით დამთავრდება, რამაც მაიმუნი შეიძლება ვეფხვის ლუკმად აქციოს. ვინც უნდა იყოს მისი თანამგზავრი, მაიმუნი მუდამ ესწრაფვის მრავალშვილიანობას.

ცხოვრების პირველი პერიოდი მაიმუნისათვის ბედნიერად ჩაივლის. მეორე პერიოდი მშფოთვარე იქნება; ამ პერიოდში ხშირად ჩაეფუშება გეგმები. მესამე პერიოდში მშვიდად იცხოვრებს, მაგრამ ემუქრება მარტოობა. შეიძლება უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქმნეს და მოკვდეს ოჯახიდან შორს.

მამალი

(ბაჭია, ბღენძია)

ვიეტნამელები მას „წიწილას“ უწოდებენ, რაც ძალიან არ მოსწონს თვითონ მამალს, მაგრამ ხარობს, როცა იაპონელები „მამლის“ სახელით იხსენიებენ, რადგან ამ ბღენძიას საკუთარი თავი სერიოზულ პიროვნებად მიაჩნია და თან პირფერობაც უყვარს. ის არ არჩევს გა-

მოთქმებს და ზოგჯერ ძალიან აგრესიულად იქცევა. ეს უბრალოდ არ ჩაუვლიდა, მოწინააღმდეგეები მათდამი ასეთ დამოკიდებულებას გულახდილობასა და ექსცენტრულობაში რომ არ უთვლიდნენ. ისინი არც ცდებიან, მამალი, მართლაც, ყოველგვარი მიკიბვმოკიბვის გარეშე ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, მაგრამ ეს გულახდილობა ერთგვარად ეგოიზმის გამოვლინებაა. მას სულაც არ ადარდებს სხვების გულისტკენა და მიაჩნია, რომ არ არის საჭირო ვინმეს დანდობა. ასეთი თვისება, რა თქმა უნდა, გზას გადაუღობავს დიპლომატიური კარიერისაკენ.

რაც შეეხება ექსცენტრულობას, ეს მხოლოდ მისი გარეგნული ნიშანია, ცხადია, უყვარს, როდესაც ამჩნევენ, და იცვამს იმგვარად, რომ ყველას ყურადღება მიიქციოს. სინამდვილეში მამალი ღრმა კონსერვატორია, პოლიტიკური თვალსაზრისითაც და საკუთარი თავის საზიანოდაც. ფიქრობს, რომ მართალია და აკეთებს იმას, რაც უნდა. არავის ენდობა, საკუთარი თავის გარდა. ამასთან ერთად გულუხვად იძლევა რჩევებს. ისე ჩანს, თითქოს მამალი თავგადასავლების მაძიებელია, მაგრამ არ დაიჯეროთ. მას თავი აბსურდული და განუხორციელებელი პროექტებით აქვს გამოტენილი. დიახ, ყველა ეს ოცნება აუხდენელია! მას უყვარს ოცნება, უყვარს თავისი თავი წარმოიდგინოს გმირად და ეს ხდება ოჯახურ სიმყუდროვეში, ფოსტლებში. ეს ფილოსოფოსი, თავისი ახლომხედველი აზრებით, იმპროვიზირების მოყვარეა.

მამალი საჭიროების შემთხვევაში სიმამაცეს იჩენს. საერთოდ, გამბედავია. იმდენად უშიშარია, რომ შეიძლება სიკვდილს ღიმილით შეხვდეს. მისგან კარგი მეომარი დადგება. ხალხი მას საინტერესო პიროვნებად სთვლის. მამალიც ყოველთვის ცდილობს, მოხიბლოს გარშემო მყოფნი. სინამდვილეში მეტისმეტად მკვეხარაა. ლაპარაკობს მეტს, აკეთებს ნაკლებს. გარეგნობით საზოგადოებაში უფრო მეტ ეფექტს ახდენს, ვიდრე ინტიმურ ურთიერთობებში. მიდრეკილია სიზარმაცისადმი. მიუხედავად ამისა, ის კარგი მუშაკია. უნდა მეტის გაკეთება, ვიდრე შეუძლია და ისეთ საქმეებს ეჭიდება, რაც მის შესაძლებლობას აღემატება, და თუ არ გამოუვიდა, ძალიან განიცდის.

მამალს აქვს აქტიურობის მიზეზი: შრომის გარეშე არაფერი მოსდის. უნდა იმუშაოს, რათა უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრება. თუ გაუმართლა, გამდიდრდება. ამასთან ერთად, შეუძლია ფული არაკეთილსინდისიერი გზითაც მოიპოვოს. ვიეტნამელები ამტკიცებენ, რომ მამალი ნისკარტითა და ბრჭყალებით უდაბნოშიც იპოვის ჭიას.

ეს არის მისი მუდმივი მოქმედების სიმბოლო. მაგრამ თუ ოცნებას და სიზარმაცეს მიეცა, შეიძლება გახდეს იმ მოხეტიალე ფილოსოფოსთაგანი, რომელიც ნაგვის გროვაზე იქექება. ამიტომ მამალმა გამუდმებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოლიოს საკუთარი თავი.

მამალი გამოდგება სოფლის მეურნეობაში და ისეთ სფეროებში, სადაც შესაძლებელობა იქნება ხალხთან შეჯახებისა. უყვარს მორთვა-მოკაზმვა. ბუნებით მფლანგველია და უცებ ანიავებს ყველაფერს, რასაც იშოვის. მამალს შეუძლია ფინანსურ გარიგებებში დიდ რისკზე წავიდეს. მეტისმეტ მეოცნებეობას ის ხშირად მიჰყავს კატასტროფამდე. მამალი ვერასოდეს იქნება ეკონომისტი.

სიყვარულშიც ძნელად მიაღწევს წარმატებას. მამალს ბრძოლა უწევს, რათა მოიპოვოს, შეინარჩუნოს სიყვარული. ხშირად პარტნიორს იმედს უცრუებს, რადგან ყოველთვის ვერ აღმოჩნდება მისი ოცნების შესაფერ დონეზე, მაგრამ მამალი სიყვარულში წრფელი იქნება.

მამაკაც-მამალს უყვარს ქალთა საზოგადოება; — მათთან თავის გამოჩენა და ნავარდი, მაგრამ ამაზე შორს ვერ წავა. იშვიათად არის შეგობრებთან, რადგან მამაკაცებს თავს აბეზრებს.

ქალ-მამალსაც ქალთა საზოგადოება მოსწონს და უპირატესობას ანიჭებს ისეთ პროფესიას, რომელიც მათთან კიდევ უფრო დააკავშირებს.

მამალი ბედნიერად იცხოვრებს მეოჯახე და კონსერვატორ ხართან, ასევე გველთან, რომელთანაც შეუძლია იფილოსოფოსოს. სიყვარულში გველი ანიჭებს მამალს სიბრძნეს, მაგრამ გველი უნდა გაფრთხილდეს, რათა მამალმა მეტისმეტი „ელვარებისათვის“ არ „ჩაუნისკარტოს“. რეკომენდირებულია დრაკონთან ქორწინება. მაგრამ ამისათვის საჭიროა შუამავალი, მეტადრე ქალი. უნდა მოერიდოს კატას!

კატას არ მოსწონს მამლის ბაქიაობა და, საერთოდ, ეჯავრება კიდეც.

მამალს ცხოვრების სამივე პერიოდში ექნება როგორც წარმატებები, ასევე წარუმატებლობაც; ეს ეხება ფინანსურ გარიგებებსაც და გრძნობებსაც. მამლის გზა სიღარიბიდან სიმდიდრემდე — და იდეალური სიყვარულიდან მის საზიზღარ გამოვლინებამდე მიდის. სიბერე ბედნიერი ექნება.

ხალხური სიბრძნის მიხედვით — ორ მამალს ერთ სახლში არ დაედგომება.

ძაღლი

(სიმართლე)

ძაღლი მოუსვენარია, მუდამ სადარაჯოზე დგას და არასოდეს ისვენებს. სულ ფხიზლად არის და რაღაცას ან ვიღაცას იცავს. ძაღლი უთქმელია, იშვიათად თუ გაამჟღავნებს თავის გრძნობებს. უკიდურესად ჯიუტია და იცის, რასაც აკეთებს. ხშირად ცინიკოსია და იძლევა უკმეხ და არასასიამოვნო შენიშვნებს. ძაღლი ყოველ დეტალს ჩაეკირკიტება და უყვარს, როგორც სამართლიანი, ასევე უსაფუძვლო კრიტიკა. განუწყვეტლივ ეძებს ჩხუბის მიზეზს. ძაღლი დიდი პესიმისტია, ის კარგს არაფერს ელოდება ცხოვრებისაგან.

მუდამ თამამად გამოდის ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. სკეპტიკოსია, მაგრამ კრიტიკული გონება, იუმორის გრძნობა. და სულის შეუდარებელი სიდიადე იფარავენ მას წვრილმანობისაგან. არ უყვარს ხალხის თავყრილობა. გრძნობებში ცივი ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებით. მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, აქვს ადამიანური ბუნების კეთილშობილური თვისებები: ლოიალურია, ერთგული და პატიოსანი, გამოირჩევა მოვალეობის დიდი გრძნობით, სანდოა, არ გიღალატებს, ძაღლი ყველაზე კარგად ინახავს საიდუმლოს, თავმდაბალია, არასოდეს გაგთქვამს.

მეტყველებს მარტივად, ზოგჯერ უჭირს აზრის ნათლად გამოხატვა. გამოირჩევა ღრმა გონებით და აქვს საუკეთესო სმენა. იმსახურებს ყველას ნდობას და ეს გამართლებულია, რადგან ძაღლი ყველაფერს გააკეთებს სხვებისათვის, რისი უნარიც შესწევს. მისი თავდადება სხვისადმი ზოგჯერ საკუთარი თავის უარყოფამდეც მიდის, ამიტომაც ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას.

რამდენადაც ცნობილია, სიმართლის დამცველები მუდამ ძაღლები იყვნენ, ყოველი უსამართლობა ძაღლის პროტესტს იწვევს. არ დაწყნარდება მანამ, სანამ მდგომარეობას არ გამოასწორებს. ძაღლი განიცდის ქვეყნად უბედურებას, ომს, უმუშევრობასა და შიმშილიანობას. სწუხს წარსულისათვის, დღევანდელობისა და მომავლისათვის. საბედნიეროდ, ძაღლი ცუდი საქმეებისათვის თავს არ გამოიდებს. ის

ფილოსოფოსია, მორალისტი, სწორი მიმართულების მქონე უანგარო პიროვნებაა.

ძაღლს აქვს ინტელექტუალური საწყისი მიუხედავად იმისა, ქუჩაში ცხოვრობს თუ ფუფუნებაში. იოლად გადის მატერიალური კომფორტის გარეშეც. და თუ სარგებლობს ამით, ფუფუნების მოთხოვნილება მაინც არ უჩნდება. ესეც არის, როდესაც ფული აქვს, თავისთვის უფრო ემეტება, ვიდრე სხვებისთვის.

ძაღლი კარგად უხელმძღვანელებს მრეწველობას, იქნება აქტიური საზოგადო მოღვაწე, მღვდელი, აღმზრდელი. იგი ყველა სარბიელზე პატიოსანი დარჩება. აქვს ხალხის მართვის კარგი უნარი, ყოველი საზოგადოება დაინტერესებულია მისნაირი ადამიანების დაწინაურებით, რადგან იშვიათად, რომ ვინმე მასავით მშრომელი და პირდაპირი იყოს.

ძაღლი სიყვარულშიც ჭკვიანი და პატიოსანია. მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე გაწამებულია სასიყვარულო პრობლემებით, რომლებიც გამოწვეულია მისივე მოუსვენრობითა და ცვალებადობით.

ძაღლი შეიძლება ბედნიერი იყოს ცხენთან, რადგან საშუალება ეძლევა დაიცვას ცხენის დიდი საქმეები. ვეფხვსა და ძაღლს ექნებათ დიდი, საერთო თავგადასავლები და ისინი მხარდამხარ იბრძოლებენ სამართლიანობისათვის. მაგრამ დროდადრო ძაღლი დაეტაკება ვეფხვს, რომელსაც დაუზარებლად, თავის გამოჩენის გარეშე დაეხმარება. ძაღლმა მხოლოდ გულთბილ კატასთან შეიძლება მოიპოვოს სიმშვიდე. ამაყი დრაკონი ვერ შეეგუება მის კრიტიკულ გონებასა და გამომწვევ მოქმედებას. თხის ჭირვეულობას კი თვითონ ძაღლი ვერ აიტანს. ის მიუხვდება და არ აპატიებს თხას ანგარებასა და ზერელობას.

ძაღლის ცხოვრების სამივე პერიოდი ცვალებადია. მოუსვენარი ბავშვობა, მძიმე ახალგაზრდობა, სკეპტიციზმით გაჟღენთილი მოწიფულობის ასაკი და აუხდენელზე დარდით სავსე სიბერე.

დღისით დაბადებული ძაღლი გაცილებით მშვიდია. ის მუდამ სადარაჯოზე დგას დაცქვეტილი ყურებით და იყეფებს მანამ, სანამ მოსული არ წავა. ასეთია „ძაღლური ცხოვრება“.

ღორი (გარეული ღორი)

(სიკეთე)

ღორში მთავარია რაინდული თვისება, თავაზიანია და მეტისმეტად წესრიგიანი. ღორი ცნობილია სიწმინდით. მიენდეთ მას ადვილად! არასოდეს გაგთქვამთ და არც მოგატყუებთ. მიამიტია, სანდო და უმწეო. ნუ ირწმუნებთ მის მოჩვენებით სისუსტეს, უბრალოდ, მშვიდობისმოყვარეა.

ღორს ცოტა მეგობარი ჰყავს, მაგრამ მათ სიცოცხლის ბოლომდე უერთგულებს, მას შეუძლია თავი დადოს მეგობრისათვის: ძალიან ყურადღებიანია იმათ მიმართ, ვინც უყვარს. ღორის წელიწადის ქალებს უყვართ გასაჩუქრება და პატარ-პატარა დღესასწაულების მოწყობა. ამ ნიშნის ქალი კარგი დიასახლისია. ღორს მკვირცხლი ხასიათი აქვს, თუ უყვარხართ, არასოდეს შეგეკამათებათ. მოკლედ, არ არის დავის მოყვარული და ოღონდ ჩხუბს გადარჩეს ყოველგვარ დათმობაზე წავა მაშინაც კი, როდესაც თავის სიმართლეში დარწმუნებულია. ბუნებით იმპულსური და პატიოსანი მუდამ დამარცხებული გამოდის იმის სასარგებლოდ, ვინც ნაკლებად მორიდებულია.

ღორი ყველა პროფესიას კეთილსინდისიერებითა და შრომისმოყვარეობით მოეკიდება. მგრძნობიარობის წყალობით შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ხელოვნების რომელიმე დარგში, კერძოდ, პოეზიასა და ლიტერატურაში. მაგრამ საქმე სხვანაირადაც შეიძლება დატრიალდეს, მისი ერთი ნაკლის გამო. ეს გახლავთ ის, რომ ყველა ღორს მისწრაფება აქვს „ტალახისაკენ“.

მატერიალური თვალსაზრისით, ის ყოველთვის მოიპოვებს ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმს. მუდამ ექნება სამუშაო და ფული, ამისათვის დიდი ენერგიის დახარჯვა არ მოუწევს. მთელი ცხოვრების მანძილზე გაუწევენ დახმარებას, რაც საშუალებას მისცემს ფინანსურად გამართული იყოს. ხალხური სიბრძნის თანახმად, ღორს ყოველთვის კარგად კვებავენ იმ მიზნით, რომ გასუქდეს და საახალწლოდ დაკლან. ამიტომ ღორს სიფრთხილე მართებს და არავის უნდა ენდოს. ბევრი ცდილობს, ბოროტად მოეპყრას.

გრძნობებშიც ასეთივე ბედისაა ღორი. ის ხშირად არის შეყვარებული, მაგრამ მოტყუებულიც. ქალი-ღორი კარგი დედაა. სჯობს თავისი ცხოვრება დაუკავშიროს კატას. ამით თავს დაიზღვევს ჩხუბისა

და კამათისაგან. უნდა მოერიდოს გველს, თორემ უცებ მოექცევა მისი გავლენის ქვეშ.

ღორს ადვილად აბრიყვებენ. მშვიდად ხვდება საკუთარ მარცხს და მოთმინებით იტანს სხვათა უარყოფით თვისებებს.

შეუძლია კარგად იასპარეზოს (სპორტულ სახეობებში), მაგრამ არასოდეს ამჟღავნებს შეჯიბრების სურვილს. იმდენად მიუკერძოებელია, რომ, რათა დარწმუნდეს თავის სიმართლეში, დაუსრულებლივ ფიქრობს, სწორად მოიქცა თუ არა, ამა თუ იმ შემთხვევაში. იჩენს ისეთ სიწრფელეს, რომ მოწინააღმდეგეებსაც არ აძლევს დაეჭვების საბაბს. ტყუის უკიდურეს შემთხვევაში და ისიც თავდაცვის მიზნით. ჭკვიანია, მაგრამ ეშმაკობის ნასახიც არ გააჩნია. ღორს აკლია გაწაფულობა. სრულებით არ ეხერხება მლიქვნელობა. თავის გამართლებისას იბნევა, ყოველთვის სჯერა, რასაც ეუბნებიან. ცდილობს დაასაბუთოს თავისი ნათქვამი.

ღორი მხიარულია საზოგადოებაში, ზოგჯერ ოდნავ თავგასული. იშვიათად ლაპარაკობს, მაგრამ თუ დაიწყო, ვერაფრით გააჩერებ, მანამ, სანამ სასაუბრო არ შემოელევა.

ღორი ინტელექტუალია, როგორც მაიმუნი. დიდი წყურვილი აქვს ცოდნისა. კითხულობს განურჩევლად ყველაფერს. ტოვებს ყველაფრის მცოდნის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს ასე არ არის. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ შევამოწმებთ მის ცოდნას. ეს ცოდნა არც ისე ღრმაა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. ღორი მატერიალისტია. ეპიკურელია, უყვარს ნებიერი ცხოვრება.

სათნოების მიღმა ღორი მალავს დიდ ნებისყოფასა და მბრძანებლურობასაც. როგორი პატიოსანიც უნდა იყოს ღორი თავის მოვალეობას ასრულებს და დასახულ მიზანს აღწევს იმ ძალით, რასაც ემყარება. დიდია მისი შინაგანი ძალა, არავის შეუძლია წინ აღუდგეს მას. ღორმა თუ გადაწყვეტილება მიიღო, ვერავინ შეაჩერებს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფერს კარგად აწონ-დაწონის. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყოყმანობს, მაგრამ არა. მან კარგად იცის, რაც უნდა. ზოგჯერ იმდენხანს ჭოჭმანებს, რომ საქმეს შეიძლება ავნოს კიდეც.

ღორი უნდა გაექცეს გველს, თორემ იგი ისე შემოეხვევა, რომ განძრევის საშუალებას არ მისცემს. თხა ბოროტად გამოიყენებს ღორის სიკეთეს.

ცხოვრების პირველი პერიოდი შედარებით მშვიდია. მეორე პერიოდში ექნება ოჯახური პრობლემები. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს ღორი საშველად არავის უხმობს, თვითონ ეძებს გამოსავალს. მას ვერავინ მიუხვდება განცდებს და ამან შეიძლება ავნოს კიდევაც. თუ ის დაბადებულია დღესასწაულამდე დიდი ხნით ადრე, შეუძლია აერიდოს უსიამოვნებებს, მაგრამ თუ დაიბადა რომელიმე დღესასწაულის ახლო დღეებში მეტი საშიშროება ელის, გახდეს სხვისი ლუკმა.

ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება

ცხრილი

ნიშანთა დასახელება	სიყვარული ქორწინება გვ. 84	ნიშნებისათვის ხელსაყრელი წლები გვ. 96	ნიშანთა მეგობრობა გვ. 110	ნიშანთა ხელსაყრელი ურთიერთობა გვ. 118
ვირთხა	84	96	110	118
ხარი	85	97	110	119
ვეფხვი	86	98	111	120
კატა	87	99	111	120
დრაკონი	88	100	111	121
გველი	89	102	112	122
ცხენი	90	103	112	123
თხა	90	104	113	123
მაიმუნი	91	105	114	124
მამალი	92	106	114	124
ძაღლი	93	108	115	124
ღორი	94	109	116	125

სიყვარული. ქორწინება

მამაკაცი ვირთხა

ქალი:

ვირთხა — ვირთხებს ძალიან უყვართ ერთმანეთი.

ხარი — ოჯახი მტკიცე ექნება. ვირთხა ცოლის ჭკუაზე ივლის, ხარი კი მისთვის დამახასიათებელი ერთგულებისა და პრაქტიკულობის წყალობით, ვირთხას ბედნიერებას მიანიჭებს.

ვეფხვი — ვეფხვი დიდ საქმეებზე ოცნებობს, ვირთხა კი ერთ ადგილს ტკეპნის და ხელს უშლის ცოლს.

კატა — ქალი მშვიდია, მაგრამ თუ ცდუნება მოერია, ქმარს ჩაყლაპავს, მათი ქორწინება არ არის სასურველი.

დრაკონი — რატომაც არა! დრაკონს უყვარს, როდესაც ეპირფერებიან, ამას კი შეყვარებულ ვირთხაზე უკეთ ვერავინ შეძლებს!

გველი — გველი ვირთხასთან ბედნიერი იქნება, მაგრამ მუდმივი ღალატით ქმარს უბედურს გახდის.

ცხენი — ცხენი დაუოკებელი გრძნობების პატრონია. მათი ოჯახი აუცილებლად დაირღვევა, ხოლო, თუ ეს ასე არ მოხდა, ელოდეთ რაიმე უფრო დიდ დანაშაულს. ამ კავშირს ყველანაირად უნდა ერიდოთ.

თხა — ბედნიერად იგრძნობს თავს, თუ ვირთხას ფულით გატენილი ჯიბე ექნება, მაგრამ ვირთხა ვერასოდეს შეეგუება თხის მსუბუქ საქციელს.

მაიმუნი — მაიმუნი ბედნიერი იქნება ვირთხასთან. ვირთხა იმდენად მოხიბლულია ცოლით, რომ ყველაფერს აპატიებს.

მამალი — თუმცა მამალს უყვარს ლაყბობა, მაგრამ საკმაოდ გააჩნია ღირსებებიც. ვირთხა აიტანს მას.

ძაღლი — საინტერესოა ეს კავშირი. ყველაფერი კარგად აეწყობა, თუმცა ვირთხა შინ იშვიათად გაჩერდება.

ლორი — ბედნიერი კავშირია. ვირთხა და ლორი კარგად გაუგებენ ერთმანეთს.

მამაკაცი — ხარი

ქალი:

ვირთხა — ათასგზის დიახ! ყველაფერი რიგზე იქნება, ვირთხას ეყვარება ქმარი.

ხარი — ორივე მატერიალისტი და კონსერვატორია. თავი მოაქვთ „დედობით" და „მამობით". ერთმანეთს შეეწყობიან.

ვეფხვი — მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. ხარი გაანადგურებს, მოსპობს ვეფხვს.

კატა — შეიძლება ყველაფერი კარგად წავიდეს. შეხამებული წყვილი არ არის, მაგრამ კატა მომთმენია და დიპლომატიური.

დრაკონი — ექნებათ კონფლიქტი. დრაკონს უყვარს თავის მოწონება და ამის გამო ხარი არ ენდობა მას.

გველი — თუ გველი მოახერხებს და დამალავს წუთიერ გატაცებებს, ყველაფერი კარგად იქნება. ყოველ შემთხვევაში, გველი ცდილობს ამას. მაგრამ ხარი თუ მიუხვდა...

ცხენი — ერთმანეთს ვერ გაუგებენ. დამოუკიდებელ და ტემპერამენტიან ცხენს ეშინია ხარის და სულ იტანჯება.

თხა — ხარი არ დაუშვებს, რომ რქები ატაროს. მათი ქორწინება არ შეიძლება.

მამალი — სრული თანხმობით იცხოვრებენ. მამალი მშვიდად გაიფხორება თავის ოჯახში.

ძაღლი — ძაღლი რევოლუციონერია, ხარი კი კონსერვატორი. სხვადასხვა იდეოლოგია აქვთ. ერთმანეთს ძნელად შეეგუებიან.

ლორი — ლორი გარდა სიმკაცრისა, ყველაფერს აიტანს, ამიტომ ადრე თუ გვიან აუჯანყდება ქმარს.

ᲙᲐᲪᲘ ᲕᲔᲤᲮᲕᲘ

ᲥᲐᲚᲘ:

ᲕᲘᲠᲗᲮᲐ — თუ ვირთხა შეეგუება ვეფხვის სასიყვარულო თავგადასავლებს, ისინი ბრილიანტის ქორწილსაც გადაიხდიან!

ᲮᲐᲠᲘ — მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. ხარი მოსპობს ვეფხვს.

ᲕᲔᲤᲮᲕᲘ — ორი ვეფხვი ვერასოდეს იგუებს ერთმანეთს.

ᲙᲐᲢᲐ — ნაძალადევი ურთიერთობა ექნებათ, მაგრამ ერთმანეთს უგებენ, ქალს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ქმარს. კიდევ მეტი, კატა დასცინის ვეფხვს.

ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘ — ორივე ძლიერია. დრაკონი დაჯილდოებულია განსჯის უნარითა და სიფრთხილით, რითაც სარგებლობას მოუტანს ვეფხვს.

ᲒᲕᲔᲚᲘ — გველი უნდა გაექცეს ამ ქორწინებას. ყოვლად უიმედოა მათი კავშირი. სიბრძნე და ენთუზიაზმი ერთმანეთს იშვიათად ეთვისებიან.

ᲪᲮᲔᲜᲘ — ცხენი დააკმაყოფილებს ვეფხვის დაუოკებელ ვნებას, თვითონ კი შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას, რადგან ვეფხვი ვერ იცლის მისთვის.

ᲗᲮᲐ — მრისხანების ჟამს ვეფხვმა შეიძლება შესანსლოს თხა. ერიდეთ მათ კავშირს.

ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ — ურთიერთობა გაუჭირდებათ, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია ამ კავშირში. მაიმუნი ხელს უწყობს ქმარს თავგადასავალთა ძებნაში.

ᲛᲐᲛᲐᲚᲘ — ვეფხვი ჩაგრავს ქალს. მამალი სრულიად უფუნქციოდ რჩება საკუთარ ოჯახში.

ᲫᲐᲚᲚᲘ — მათი კავშირი სასურველია, ერთნაირი იდეები აქვთ და ერთადაც იბრძვიან, თუმცა ამასობაში სიყვარული ავიწყდებათ.

ᲦᲝᲠᲘ — ღორი უგებს და პატივს სცემს ვეფხვს, მაგრამ ზოგჯერ უხდება ქმრისაგან თავის დაცვა.

მამაკაცი კატა

ქალი:

ვირთხა — მუდმივ საშიშროებაში იქნება, რადგან კატა ვერ ძლევს ვირთხის შესანსელის ცდუნებას.

ხარი — დასაშვებია. კატას შეუძლია აბუჩად აიგდოს ის, ვინც ეუფროსება.

ვეფხვი — მათი ცხოვრება იოლად ვერ აეწყობა. ვეფხვი რთული პიროვნებაა, კატა მოქნილია, მაგრამ ცოლს დასცინის და ძალიან აღიზიანებს.

კატა — ეს კავშირი შეიძლება გამოდგეს მხოლოდ მაშინ, თუ შვილებს არ იყოლიებენ.

დრაკონი — ქორწინება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში. ამასთან დრაკონი უნდა ეცადოს შეინარჩუნოს მხიარულება.

გველი — ისინი ერთმანეთის თვისებებს სიამოვნებით სწავლობენ.

ცხენი — შეეწყობიან, თუ კატამ არ დაქანცა ცხენი. საერთოდ კატა გაუგებს მას.

თხა — კატას მოსწონს თხის ფანტაზია. მათ არტისტიზმი აახლოებთ, კარგად იცხოვრებენ.

მაიმუნი — ისინი ერთად მშვენივრად გაატარებენ დროს, მაგრამ ამას ხშირად სხვის ხარჯზე მოიმოქმედებენ.

მამალი — კატა საკუთარ სახლში ვერ იტანს მამალს. მამალი სკანდალს უმართავს ქმარს და წამდაუწუმ გარბის სახლიდან.

ძაღლი — ძაღლის ყოველი მოქმედება აუტანელია კატისთვის. მათ ქორწინებას ომი მოჰყვება.

ღორი — შეეწყობიან ერთმანეთს თუ ღორი არ ეცდება ქმრის პირად საქმეებში იკირკიტოს.

ქალი:

ვირთხა — ვირთხა გამოადგება დრაკონს და დრაკონიც მადლიერი დარჩება მისი.

ხარი — ძალაუფლების გამო მუდამ იქნებიან კონფლიქტში, რაც დრაკონს თავს მოაბეზრებს.

ვეფხვი — დასაშვებია მათი კავშირი. დრაკონს ვეფხვზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ვეფხვი ყურად იღებს მის ცუდ რჩევებსაც კი.

კატა — დააკმაყოფილებს დრაკონის პატივმოყვარეობას. არც ერთს აკლია კეთილშობილება და დიპლომატიის უნარი. მათი ქორწინება სასურველია.

დრაკონი — სულ ქიშპში უდგებიან ერთმანეთს.

გველი — დრაკონი იამაყებს მომხიბვლელი მეუღლით, მაშინაც კი, როდესაც გველი თავის მშვენიერებას მეუღლის გარდა სხვასაც უწილადებს.

ცხენი — თავიდან ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ შემდეგ...

თხა — შესაძლებელია ეს კავშირი სასიკეთო გამოდგეს ერთი მხრივ, თხა დაეხმარება დრაკონს, მაგრამ ხელსაც შეუშლის.

მაიმუნი — ბრწყინვალე მრჩეველი იქნება, მეტისმეტად მიმნდობი დრაკონისათვის, თვითონ მაიმუნს კი ქმრის სახით საიმედო დამცველი ეყოლება.

მამალი — სასურველი ქორწინებაა. მამალი ეცდება დრაკონის წარმატებები გამოიყენოს, რათა თვითონაც წინ წავიდეს ცხოვრებაში.

ძაღლი — დიდი რეალისტია. კარგად იცნობს დრაკონის ბუნებას.

ღორი — აღფრთოვანებულია დრაკონით და ბედის კმაყოფილია, მაგრამ შეიძლება იმედგაცრუებული დარჩეს.

მამაკაცი გველი

ქალი:

ვირთხა — უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ამ რისკიან კავშირზე წასვლა. ვირთხა ბრმად ემორჩილება გველის სურვილებს.

ხარი — გველი ყოველგვარ ძალაუფლებას ცოლს გადააბარებს, თვითონ კი ერთობ თავმდაბალი იქნება. ეს ქორწინება რეკომენდირებულია.

ვეფხვი — ვეფხვს და გველს არაფერი აქვთ საერთო და არც მოსწონთ ერთმანეთი.

კატა — საშინაოდ გამოწყობილი, ღუმელთან მოფუსფუსე კატა ნეტარებაა გველისთვის.

დრაკონი — ამაყ დრაკონს სურს, რომ ყველა თავზე ევლებოდეს და თაყვანს სცემდეს. არ მოსწონს, როდესაც გველი გასაქანს არ აძლევს.

გველი — შესანიშნავი კავშირია. მსუბუქი ურთიერთობები. თავგადასავლები და მუდმივად იმისი ცდა, რომ ერთმანეთი გაანეიტრალონ, მუდამ თან ახლავს ამ ქორწინებას.

ცხენი — შეყვარებული ცხენი ერთგულია. მაგრამ თუ გველს არ უყვარს, ცხენი მიდის სახლიდან და მოღალატე გველი მარტოდ რჩება.

თხა — თუ გველი საკმაოდ მდიდარია, თხა შეიძლება მოჭკვიანდეს, მაგრამ მანამდე ბევრი რამ გადახდებათ თავს.

მაიმუნი — ამ კავშირს მხოლოდ გონიერება გადაარჩენს.

მამალი — ერთმანეთის ესმით, დროს ფილოსოფოსობაში კლავენ. ქორწინება სასურველია.

ძაღლი — გველი თავის ნებაზე იცხოვრებს. ძაღლი ისე ჰყავს მოჯადოებული, რომ ვერაფერს ამჩნევს.

ღორი — ეს ქორწინება, მოსალოდნელია, ტრაგედიით დამთავრდეს. გველმა შეიძლება გაგუდოს ღორი.

მამაკაცი ცხენი

ქალი:

ვირთხა — აქ ბევრი ემოციური პრობლემა იჩენს თავს და შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრდეს.

ხარი — ძალაუფლების მოყვარე ხარი ვერ იტანს ეგოისტ და დამოუკიდებელ ცხენს. ხარი დატოვებს მას.

ვეფხვი — მათი კავშირი სასურველია იმ შემთხვევაში, თუ ვეფხვი დაკავებულია თავისი „დიდი საქმეებით“, რომლებიც ბოლომდე უნდა გაიტანოს. ცხენი ამ დროს თავის ნებაზე „იჭენავებს“.

კატა — კარგად იცხოვრებენ ერთად. კატას სხვა არაფერი უნდა, გარდა იმისა, რომ თბილ კერიასთან ნებივრობდეს, მეგობრებით გარშემორტყმული.

დრაკონი — ცხენი მეტისმეტად ეგოისტია. დრაკონს კი თავად სურს, იქით ეფერებოდნენ და ელოლიავებოდნენ.

ბველი — თუ ბველი ცხენთან ცხოვრებით კმაყოფილია, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ის საკმაოდ კეთილგონიერია.

ცხენი — ორივეს გადაარჩენს საკუთარი ეგოიზმი.

თხა — ერთად არაფრით არ მოიწყენენ. ცხენს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება თხის სიყვარული და თხაც მშვიდად იქნება.

შაიმუნი — არ არის რეკომენდირებული მათი ქორწინება, რადგან ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს.

ძაღლი — თავისი იდეებით გატაცებული ძაღლი, ცხენს თავს არ მოაბეზრებს. იგი სრულებით არ არის ეჭვიანი.

ღორი — ეგოისტი ცხენი ბოროტად გამოიყენებს ღორის მიმნდობლობას და გააუბედურებს მას.

მამალი — მამალი დაიტანჯება თავნება ცხენთან.

მამაკაცი თხა

ქალი:

ვირთხა — მათ კავშირზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ხარი — ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ხარი კარს მოუხურავს თხას და არც ინანებს.

ვეფხვი — თუ საჭიროებამ მოითხოვა, ვეფხვი მშვენივრად გაუსწორდება თხას, მათი კავშირი მაინცდამაინც არ არის სასურველი.

კატა — შეუძლიათ უსიყვარულოდაც კარგად იცხოვრონ.

დრაკონი — მათი ერთად ყოფნა დაუშვებელია. დრაკონი მუდამ იმის ცდაშია, რომ ვინმე მოხიბლოს, თხის აღტაცება კი არც ისე ადვილია.

გველი — მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობა არ არის რეკომენდირებული, აქ გველს თავისი სიბრძნე მაინცდამაინც დიდ სამსახურს ვერ გაუწევს.

ცხენი — თუ ცხენი ღარიბია, ეს კავშირი არ უნდა მოხდეს. მდიდარ ცხენთან კი თხა სიამოვნებით იცხოვრებს.

თხა — საინტერესოა, რით გაიტანენ თავს სხვის იმედზე მყოფი თხები, მდიდარი მეცენატის „მოსვლამდე!"

მაიმუნი — მაიმუნი ისე არ გასულელდება, რომ თხასთან მუდმივი კავშირი შეკრას.

მამალი — მიუხედავად ილუზიებისა, ერთმანეთს ვერ შეეწყობიან.

ძაღლი — ორივე პესიმისტია. მათი ერთად ყოფნა ვერაფერი ხეირია.

ღორი — ღორი შეეგუება თხას, თუ ეს უკანასკნელი არ გადააჭარბებს, თუ არა და, ღორი ვერ აიტანს თხის მეტისმეტ ჭირვეულობას.

მამაკაცი მაიმუნი

ქალი:

ვირთხა — კარგი წყვილია. ვირთხა აღმერთებს მაიმუნს. ისინი ბედნიერად იცხოვრებენ.

ხარი — ხარს უყვარს ქმარი და მაიმუნსაც ჰყოფნის ჭკუა, რომ გაიადვილოს ცხოვრება ამ მეოჯახე კონგლომერატთან.

ვეფხვი — მათი კავშირი არც ისე კარგია. მაიმუნი აიყოლიებს ვეფხვს.

კატა — თუ კი მათი კავშირი ნაყოფიერი არ გამოდგა ოჯახი ბედნიერი ექნებათ.

დრაკონი — შესაძლებელია ერთად ცხოვრება. მაიმუნი კარგი კომედიანტია. დრაკონი მუდამ მოხიბლულია მაიმუნით, მაგრამ არ იმჩნევს ამას.

გველი — ოჯახს შექმნიან თუ გველი მოისურვებს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ღმერთზე და მაიმუნზეა დამოკიდებული.

ცხენი — ცხენი ნამდვილ გრძნობას ეძებს. მას ეჯავრება სიყვარულში ეშმაკობა და პირფერობა. ეს კავშირი არ გამოდგება.

თხა — ყველაფერი კარგად წარიმართება, თუ მაიმუნი ფულიანია.

მაიმუნი — მშვენივრად შეეწყობიან და ბედნიერადაც იცხოვრებენ.

მამალი — მაიმუნი მთელ ცხოვრებას მამლის დაცინვაში გაატარებს, მაგრამ მამალი ვერც კი მიხვდება ამას. ეს კი მთავარია.

ძაღლი — ძაღლი იდეალისტია. მაიმუნთან დაიტანჯება.

ღორი — მაიმუნი ადვილად გაასულელებს ღორს, თუ გაუჩნდება ასეთი სურვილი, მაგრამ იგი ღორს პატივს სცემს.

მამაკაცი — მამალი

ქალი:

ვირთხა — ერთად მცხოვრები მამალი და ვირთხა გაღატაკდებიან.

ხარი — ყველაფერი კარგად წავიდოდა პატივმოყვარე მამალს უფროსობა და მბრძანებლობა რომ არ უყვარდეს. მათი ქორწინება არ არის სასურველი.

ვეფხვი — ვეფხვს არ მოსწონს მამლის ბაქიაობა და უსამართლოდ ექცევა მას. მათი კავშირი ვერაფერი ბედენაა.

კატა — ეს ქორწინება დაუშვებელია. კატას სასოწარკვეთილებაში აგდებს მამლის პატარა წატრაბახებაც კი.

დრაკონი — ეს კავშირი რეკომენდირებულია. დრაკონის კარგი მდგომარეობით ისარგებლებს მამალი და ცხოვრებას სიამტკბილობაში გალევს.

გველი — მათი ურთიერთობა შესაძლებელია, რადგან კარგად ავსებენ ერთმანეთს. გველს ჰყოფნის ჭკუა იმისათვის, რომ სხვის წინაშე თავი არ შეირცხვინოს.

ცხენი — მამალი გაურბის მას, რადგან სიყვარულს სერიოზულად უყურებს.

თხა — შეყვარებულ თხას სოფელში, სუფთა ჰაერზე შეუძლია იცხოვროს, მაგრამ მუშაობა მისი საქმე არ არის. მშრომელი მამალი მალე მოქანცავს მას. ეს ქორწინება არ არის რეკომენდირებული.

მაიმუნი — მაიმუნს შეუძლია ბევრი რამ გამოსცანცლოს ქმარს. მამალი მასთან ბედნიერი არ იქნება.

მამალი — მათი ქორწინება „დამშვენებულია“ გაუთავებელი ოჯახური სცენებით. აუტანელია მათი ერთად ცხოვრება.

ძაღლი — ძაღლი ვერ იტანს მამლის ბაქიაობას და ყოველთვის ცინიკურად უყურებს მას.

ღორი — მამალი და ღორი ერთმანეთს არ შეეფერებიან. აგრესიული მამალი ღორს მოსვენებას არ აძლევს.

მამაკაცი ძაღლი

ქალი:

ვირთხა — ვირთხა ძაღლს სენტიმენტალობასა და რეალიზმს შემატებს.

ხარი — თუ ხარი დაკმაყოფილდება ოჯახის უფროსობით, შესაძლებელია მათი ქორწინება.

ვეფხვი — ვეფხვი ძაღლთან ყოველდღიურობის, ჩვეულებრიობის გრძნობას დაკარგავს. მათი კავშირი კარგია. დაკრავს ორიგინალობის ელფერი.

კატა — მათი კავშირი სასურველია. კატა ძაღლის კარგი მრჩეველია. ანიჭებს მას სიმშვიდეს.

დრაკონი — ძაღლი ის კაცი არ არის, რომელიც ტყუილუბრალოდ აღფრთოვანდება. მას სხვა საქმეები აქვს. ისინი შეუფერებლები არიან.

გველი — დასაშვებია მათი შეუღლება. თუ კი გველი მეტისმეტად მომთხოვნი არ იქნება.

ცხენი — სასურველია ქორწინება. ძაღლი თავისი საქმეებით არის დაკავებული და ეს მოსწონს ცხენს.

თხა — შეუძლებელია მათი ერთად ცხოვრება. ორივე ნერვულ დეპრესიაში ჩავარდება.

მაიმუნი — ექნებათ პრობლემები. ორივე ცინიკოსია და ილუზიებს არ აჰყვებიან

მამალი — ეს კავშირი შესაძლებელია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ძაღლი ხომ ყველაფერს კრიტიკულად უყურებს.

ძაღლი — ორთავე უანგაროა და ფინანსურ პრობლემებს გვერდს ვერ აუვლიან.

ღორი — ღორის სიცოცხლის მოყვარულობა აწონასწორებს ძაღლს. ორივე სულგრძელია. ღორი კი, როგორც ვიცით, უმეტეს შემთხვევაში მდიდარია.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ — ᲦᲝᲠᲘ

ქალი:

ვირთხა — იცხოვრებენ ბედნიერად და არ გამოამჟღავნებენ აგრესიულობას.

ხარი — ღორი სიამოვნებას ეძებს სახლში, მაგრამ ხარის ოჯახში მას ვერ პოულობს და ამას გადაუჭრელი პრობლემები მოჰყვება.

ვეფხვი — ვეფხვი ბოროტად არ იყენებს ღორის თავაზიანობასა და დამთმობ ხასიათს.

კატა — ყველაფერი კარგად იქნებოდა, კატა რომ გარყვნილი არ იყოს, მაგრამ ღორს უყვარს ნუგეშისცემა და კატაც ვერ პოულობს უკმაყოფილობის მიზეზს.

დრაკონი — ღორი მეტისმეტ ყურადღებას იჩენს დრაკონისადმი, რაც აღიზიანებს ცოლს, თუმცა ქორწინება წესაძლებელია.

გველი — საწყალი ღორი მოჯადოებულია გველით და ვერაფერს ხვდება.

ცხენი — ღორი დაიტანჯება ცხენის ეგოიზმით, ის ვერ დააკმაყოფილებს ცხენის მგზნებარე ხასიათს.

თხა — რაკი ღორი მდიდარია, თხა თავს მასთან კარგად იგრძნობს, მაგრამ მის მოთვინიერებას მაინც დიდი დრო სჭირდება.

მაიმუნი — მაიმუნი პატივს სცემს ღორს. ეს კავშირი სასურველია.

მამალი — ღორი მომთმენია და ამიტომ მათი ერთად ცხოვრება შეიძლება.

ძაღლი — მათ სიყვარულს საფუძვლად ურთიერთგაგება უდევს, ეს ქორწინება სასურველია.

ღორი — ღორები კარგად ეწყობიან ერთმანეთს. ორივე დათმობაზე მიდის.

ნიშნებისათვის ხელსაყრელი წლები

ვირთხის წელიწადი (1996)

ვირთხის წელი შეგიძლიათ გამოიყენოთ ფინანსური ურთიერთობისათვის, კრედიტით შესყიდვისათვის, კაპიტალური დაბანდებისათვის. მოამზადეთ კონსერვები და მურაბები. პოლიტიკაში მოულოდნელობებს ელოდეთ. ვირთხის წელიწადს სასიკეთო ძვრები მოხდება ლიტერატურაში. მაგრამ დააგროვეთ მარაგი, ამ წელიწადში იმალება შემდგომი წლების გაღატაკების შანსი. ბედნიერი იქნება ამ წლის ზაფხულში დაბადებული ბავშვი.

ვირთხა — ვირთხას მისი წელიწადი კარგად დაიცავს. გაუმართლებს ყოველგვარ საქმეში. თუ კი მან დაწერა რომანი, უნდა ეცადოს, წლის ბოლომდე ჩააბაროს გამომცემლობას.

ხარი — ხარმა უნდა ისარგებლოს ამ წლით და გადადოს ფული. ეს წელიწადი მისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელია.

ვეფხვი — ვეფხვმა მომავალზე უნდა იფიქროს, ვირთხის წელიწადი არაფერს მისცემს მას.

კატა — ამ წელს კატას ყოველგვარ საქმეში სიფრთხილე მართებს. არ უნდა ენდოს მეგობრებს, რადგან უღალატებენ.

დრაკონი — დრაკონისათვის ეს წელიწადი სასიკეთოა. მას შეუძლია თამამად დააბანდოს კაპიტალი. ეუსურვოთ მას ვირთხის შეყვარება.

გველი — ვირთხის წელიწადი სიკეთეს არ მოუტანს გველს. ფრთხილად უნდა მოიქცეს.

ცხენი — ვირთხის წელიწადი ცდილობს, რომ ავნოს ცხენს, რის გამოც მას დიდი სიფრთხილე მართებს.

მაიმუნი — შესანიშნავი წელიწადია მაიმუნისათვის. ყველაფერი გამოსდის. და თუ ამ დროს ვირთხამაც შეიყვარა, კიდევ უკეთესი.

მამალი — არ უნდა გაერიოს ცუდ საქმეში.

ძაღლი — დაბანდება მას არ აინტერესებს. საინტერესო საქმე შეიძლება არ გამოუჩნდეს. ამ წელიწადს მოწყენილი იქნება.

ღორი — ღორის საქმეები კარგად აეწყობა, შეიძლება შეხვდეს თავის სიყვარულს.

ხარის წელიწადი (1997)

ეს შრომის წელიწადია. ყველამ უნდა იმუშაოს ქანცგაწყვეტამდე. დაამუშავეთ მიწა, მოუარეთ თქვენს ბაღს, იყიდეთ ან გააუმჯობესეთ ფერმა. დიქტატურის წელიწადია. დაწინაურდებიან კონსერვატორები. ხარის წელიწადი ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. არ იქნება გვალვა, არც ზედმეტი ტენიანობა. გლეხს შეუძლია მშვიდად იყოს! ზამთარში დაბადებულ ხარს ნაკლები სამუშაო ექნება. ვისურვოთ, რომ ხარი ქვეყანას მოევლინოს ნოემბრიდან მარტამდე.

ვირთხა — ვირთხა კარგად მოიქცა, რომ გასულ წელს მარაგი დააგროვა. მას ხომ მუშაობა არ უყვარს.

ხარი — ხარის შრომა დაფასდება ამ წელიწადს. თუ კიდევ არ შეუქმნია ოჯახი, იჩქაროს. ხარს მისი წელიწადი ყოველგვარ სიკეთეს მოუტანს.

ვეფხვი — ვეფხისათვის ძალიან ცუდი წელიწადია. უნდა ერიდოს ყოველგვარ რისკს.

კატა — დიპლომატიის წყალობით კატა მარცხის გარეშე დაუძვრება ხარის წელიწადს.

დრაკონი — დრაკონი იღლება თავისი განუსაზღვრელი უფლებებით, მაგრამ ის დაძლევს ამ დაღლილობას.

გველი — მეტისმეტ სიზარმაცეს იჩენს გველი ხარის წელიწადში, უნდა დაელოდოს ამ წლის გასვლას.

ცხენი — ცხენისათვის სასიკეთოა ეს წელიწადი, განსაკუთრებით უმართლებს სიყვარულში.

თხა — მისთვის საძაგელი წელია. სოფელი უყვარს, მაგრამ სოფლის მეურნეობას ვერ იტანს.

მაიმუნი — მისი საქმეები აეწყობა, ხარი კარგი თვალით უყურებს.

მამალი — თავს ბედნიერად იგრძნობს. მალულად იცინებს. მუშაობა შეუძლია მაგრამ საქმისათვის თავგადაკლული არ გახლავთ.

ძაღლი — ცუდი წელია ძაღლისათვის. ის აწყობს შეთქმულებას, ემზადება რევოლუციისათვის და მთელ პასუხისმგებლობას თვითონ კისრულობს.

ღორი — კრიტიკული გონების მიუხედავად, ღორი ეგუება ამ წელიწადს. მაგრამ რამე განსაკუთრებულს არ უნდა ელოდეს.

ვეფხვის წელიწადი (1998)

ეს წელიწადი არ იქნება მთლად მშვიდი. მიაქციეთ ცხოვრების ცვლილებებს ყურადღება, მაგრამ ფრთხილად იყავით. პოლიტიკურ ურთიერთობაში მოსალოდნელია დიდი ძვრები, იქმნება ომების და კატასტროფების საშიშროება. თუ მოქმედებას და რაიმეს შეცვლას აპირებთ გააკეთეთ ეს ვეფხვის წელიწადში. თუ ვეფხვი დაბადებულია მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე შუალედში მას მზე დაიფარავს.

ვირთხა — არც ისე უშიშრად იგრძნობს თავს ამ წელს! სჯობს აკეთოს მხოლოდ ის, რაც უშუალოდ ეხება.

ხარი — მრისხანე, მშფოთვარე და საშიშია ხარი ვეფხვის წელიწადში. უკეთესი დღეების მოლოდინში მარტო რჩება საკუთარ თავთან.

ვეფხვი — მას ყოველგვარ საქმეში გაუმართლებს, დაე, შეეჭიდოს დიდ საქმეებს, ის გამარჯვებული დარჩება.

კატა — მას არ მოსწონს ცვლილებები, რადგან მყუდროება ერღვევა.

დრაკონი — მისთვის სასიკეთოა ვეფხვის წელიწადი. იპოვის თავის გამოჩენის დროს და შეიძლება წარადგინონ ჯილდოზე.

გველი — ეს წელიწადი დამღლელია გველისათვის. მაგრამ ის ამით ჭკუას ისწავლის.

ცხენი — მას შეიძლება გაუმართლოს ვეფხვის წელიწადმა და გამოეყოს მშობლებს, ან კიდევ მოიშოროს არასასურველი თანამგზავრი. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ცვლილებები ექნება.

თხა — რადგან ყველა ქვეყნის ცვლილებით არის დაკავებული და თხის გასართობად ვერავინ იცლის. ამ წელს თხისთვის მხოლოდ წუხილი მოაქვს.

მაიმუნი — ის ამ წელს მაყურებლის როლში გამოდის. ფიქრობს, რომ მისი მოქმედება უსარგებლო იქნება.

მამალი — ყველაფერი იცვლება... ეს კი არასასიამოვნოა მამლისთვის.

ძაღლი — მას თავგანწირვის შემთხვევა ეძლევა და ამას ხელიდან არ გაუშვებს, ძაღლი თავის სტიქიაშია და ბედნიერია.

ღორი — ცვლილებებს ეგუება და დიდსულოვნად იტანს ყველაფერს.

კატის წელიწადი (1999)

ეს წელიწადი ერთი შეხედვით მშვიდია. დაისვენეთ, თორემ შემდეგი წელი მშფოთვარე იქნება. მოაწყვეთ საღამოები. იკითხეთ, ისაუბრეთ. კატის წელიწადი დიპლომატებს გაახარებს. ცვლილებებია მოსალოდნელი მაგისტრატურაში. განსაკუთრებით სასიკეთოა ეს წელი იურისტებისათვის. ამ წლის ზაფხულში დაბადებული ბავშვი ბედნიერი და მშვიდი იქნება.

ვირთხა — ფრთხილად უნდა იყოს, თორემ კატა სადღაც ახლოს არის ჩასაფრებული. ამ წელიწადში ვერაფერს მიაღწევს.

ხარი — კატის წელიწადი მისთვის არ არის იდეალური, მაგრამ გასულ წელს სჯობს. შეუძლია მშვიდად იმუშაოს.

ვეფხვი — დაისვენებს ამ წელიწადს. კატა მას არ ავნებს.

დრაკონი — კატა არ შეუშლის ხელს დრაკონს. დაე, მოიწონოს თავი! ეს კატას პირიქით, ართობს.

გველი — ოხ! გველი, ბოლოს დაისვენებს, და სიყვარულზე იფიქრებს.

ცხენი — მისთვის კატის წელიწადი ხელსაყრელია. გაუმართლებს სიყვარულში, შრომით საქმიანობაში. გაიხსენებს თავის კეთილშობილურ მოვალეობას და შესაძლებელია, პოლიტიკაშიც გაერიოს.

თხა — როგორც იქნა მოიცალეს თხისთვის. ეპატიჟებიან, სტუმრობენ და, მოკლედ, რომ ვთქვათ, მისი წელიწადია.

მაიმუნი — მისთვის ეს წელიწადი ყოველმხრივ ხელსაყრელია.

მამალი — წინა წელს შოკირებული მამალი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს. და არაფრის გაკეთებას არ აპირებს.

ძაღლი — ისვენებს. ბედნიერია. კატას მისთვის სიმშვიდე მოაქვს. ძაღლმა ამით უნდა ისარგებლოს და დაქორწინდეს.

ღორი — ირგვლივ სულ წვეულებებია და საზეიმო განწყობილება სუფევს. ღორი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, განერიდება ამას.

დრაკონის წელიწადი (2000)

იყავით ფხიანები და პატივმოყვარენი. იარეთ წინ. ეს ჯილდოებისა და დღესასწაულების წელიწადია. გელით ან უდიდესი გამარჯვება, ან დამარცხება. უფრთხილდით ხანძარს. დრაკონის წელიწადი სასიკეთოა ომში, ან სხვა ნებისმიერ სფეროში ბრწყინვალე გამარჯვების

მოპოვებისათვის. ხელსაყრელია პოლიტიკისათვის. მაგრამ ყოველგვარი წარმატება ილუზიურია. დრაკონის წელს დაბადებული ბავშვი ბედნიერია, მაგრამ თუ ჭექა-ქუხილის დროს დაიბადა, გაუფრთხილდით მას.

ვირთხა — ეს წელიწადი ხელსაყრელია ვირთხისათვის. ის კარგ საქმეს მოჰკიდებს ხელს.

ხარი — მისი აზრით, კვლავ კარგი დრო დადგა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა... დაე, იმუშაოს!

ვეფხვი — მისთვის ეს წელი დაძაბულია, მაგრამ ამაში ერთგვარ სიამოვნებასაც კი პოულობს. დრაკონს უყვარს ვეფხვი.

კატა — ის ყველაფერს მშვიდად ადევნებს თვალს და საკუთარი საქმეებით არის გართული.

დრაკონი — ისე იგრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ეს წელიწადი ყოველნაირად მისია.

გველი — სიბრძნე ეხმარება გველს, რომ ცხოვრების ამაოებამ არ შეაშფოთოს, ბედი უღიმის, მისთვის ყველაფერი კარგად მიდის.

ცხენი — ეს წელიწადი ცხენისათვის კარგია. მას უყვარს აღლუმები და მთელ წელიწადს სიამოვნებაში ატარებს.

თხა — დრაკონის წელიწადის საზეიმო ელფერით თხაც ისარგებლებს და თავს კარგად იგრძნობს.

მაიმუნი — ამ გართობებში მაიმუნი მთავარ როლს თამაშობს. დრაკონს ის სჭირდება.

მამალი — მამალიც ისიამტკბილებს ამ წელიწადს. სჯობს დაქორწინდეს.

ძაღლი — ილუზიური ბრწყინვალება აღიზიანებს ძაღლს, სრულიად არაფერში ერევა.

ღორი — ღორმა კარგად იცის, რომ შეიძლება უფრო უბრალოდ და მარტივად ცხოვრება და მეგობრებსაც ამასვე ეუბნება. ღორი უფრო მეტად ეტანება სმაჭამას და სუქდება.

გველის წელიწადი (2001)

გაერთეთ, იარშიყეთ, ინებივრეთ... ეს ცოლ-ქმრული ღალატის წელიწადია... ისარგებლეთ ამით... სამართალდამცველებს ელოდებათ მარცხი. პოლიტიკაში იზეიმებს სიბრძნე. მოიძებნება პრობლემათა გადაწყვეტის გზები. გველის წელიწადი სასიკეთოა დიდი აღმოჩენებისათვის, მოაზროვნეებისა და ფილოსოფოსებისათვის. უჯერებენ და მხარს უჭერენ მათ. გველი უფრო ბედნიერი იქნება, თუ ცხელ დღეს გაჩნდება.

ვირთხა — მისი საქმეები არ აეწყობა, უჯობს დაჯდეს და წეროს.

ხარი — შეიძლება გაუჩნდეს პრობლემები ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, არ უნდა გამოიყენოს ძალა და ერიდოს ქორწინებას.

ვეფხვი — ვეფხვი — არ უნდა დარჩეს უმოქმედოდ. შეიძლება იმოგზაუროს.

კატა — ეს კარგი წელიწადია კატისთვის. დაე, იფილოსოფოსოს! ცოლქმრული ღალატი მას არ ადარდებს.

დრაკონი — ყველაფერი უკეთესისკენ მიდის. გველს მისთვის კარგი უნდა და დრაკონიც ძველებურად განაგრძობს „ელვარებას“.

გველი — ეს მისი წელიწადია! არ ემუქრება არავითარი საფრთხე და მშვენიერი სასიყვარულო თავგადასავლები აქვს.

ცხენი — მან სიყვარულის გამო შეიძლება ყველაფერი დატოვოს, მაგრამ ეს სწორი არ იქნება, გველის წელიწადი უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება!

თხა — კარგად ერთობა და ათასი რამით არის დაინტერესებული, მათ შორის, რა თქმა უნდა, — ჭორებითაც.

მაიმუნი — ყველგან მოძებნის თავის საქმეს. გველი მას წყალობს და მაიმუნიც სარგებლობს ამით.

მამალი — მამალიც ინტერესს გამოიჩენს და შესაძლებელია ოჯახური პრობლემები მასაც ჰქონდეს.

ᲫᲐᲚᲚᲘ — დაკავებული იქნება ფილოსოფიითა და ახალი აღმოჩენებით. ეს წელიწადი ბედნიერებას არ მოუტანს.

ᲚᲝᲠᲘ — ღორს ამ წელს ფულის საქმეში გაუმართლებს, სიყვარულში კი არა.

ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ (2002) (1990)

იმუშავეთ ყველამ!.. იფიქრეთ საკუთარ თავზე! დაინტერესდით პოლიტიკით, სპორტით! მონაწილეობა მიიღეთ შეკრებებსა და მიტინგებში! რაც არ უნდა მოხდეს, დიპლომატია გაიმარჯვებს. კულისებს მოიცავს ელვარება, სკანდალი, მოსალოდნელია აჯანყებანი. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდება. ეს წელიწადი სასიკეთოა ნაირგვარი წარმოდგენებისათვის. ცხენისათვის უმჯობესია, რომ ზამთარში დაიბადოს.

ᲕᲘᲠᲗᲮᲐ — ვირთხისათვის ცხენის წელიწადი ყოველ მხრივ კატასტროფული იქნება. ის ჩავარდება ვალებში.

ᲮᲐᲠᲘ — ხარის მუშაობა უშედეგოდ არ ჩაივლის. მან უნდა გამოიყენოს ეს წელიწადი.

ᲕᲔᲤᲮᲕᲘ — რაღაც საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი, რათა დაკავებული იყოს, მას საფრთხე არ ელოდება.

ᲙᲐᲢᲐ — კატისათვის ცხენის წელიწადი მშვიდად ჩაივლის.

ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘ — ის ისარგებლებს ამ წლით და თავის საქმეებს წინ წასწევს.

ᲒᲕᲔᲚᲘ — ფრთხილად ყოფნა მართებს. ეს წელიწადი ქარიშხლიანია მისთვის, ელოდება სასიყვარულო უსიამოვნებანი. მთელი თავისი სიბრძნე უნდა გამოიყენოს, რომ ხიფათს გადაურჩეს.

ᲪᲮᲔᲜᲘ — სხვა ნიშანთაგან განსხვავებით ცხენისათვის მისი წელიწადი არ არის სასიკეთო, რაც შეეხება ცეცხლოვან ცხენს, მისთვის ეს წელიწადი შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს.

თხა — თხას ყველაფერი ართობს. ყველაფერი მოსწონს და უხდება. ეს წელიწადი ცუდს არაფერს უქადის.

მაიმუნი — თუმცა მაიმუნს არ უყვარს წარმოდგენები, მაგრამ სათავისო საქმეს მაინც იშოვის.

მამალი — მამალს მოულოდნელი ცვლილებები იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს მის პირად საქმეებს შეეხება. ეს წელიწადი კარგია მისთვის.

ძაღლი — ის გაღიზიანებულია. სიამოვნებით იტრიალებდა მოვლენათა ცენტრში, მაგრამ წარმატების ნაკლებად სჯერა.

ღორი — არასასიკეთო პერიოდია ღორისათვის. სიყვარულში უსიამოვნებებს აწყდება.

თხის წელიწადი (1991, 2003)

თქვენს ჭირვეულობას დიდი გასავალი ექნება, შეგიძლიათ მეგობრების თანხლებით გაემგზავროთ სოფელში. პოლიტიკურ და ფინანსურ ურთიერთობებში მოსალოდნელია კატასტროფები, მაგრამ მიუხედავად ზოგიერთი არაკეთილგონივრული ჩარევისა, ყველაფერი კარგად მოგვარდება. თხის წელიწადი სასიკეთოა მსახიობებისათვის. ეს შეეხება უფრო კომედიის მსახიობებს. ბედი გაუღიმებს იმ თხებს, რომლებიც წვიმიან დღეს არ დაიბადებიან.

ვირთხა — ის ისევ მაღლა-მაღლა მიიწევს და წარმატებებს აღწევს ხელოვნებაში.

ხარი — ხარი მოუსვენარი და მოღუშულია თხის წელიწადში.

ვეფხვი — ჭკვიანურად მოიქცევა, თუ ისევ სამოგზაუროდ წავა. ეს მისი ერთადერთი შანსია ამ წელს.

კატა — პატარ-პატარა უსიამოვნებანი ვერ დაარღვევენ კატის სიმშვიდეს. ის ბედნიერი იქნება.

დრაკონი — დრაკონისათვის დასვენების წელია. არაკომპეტენტურობისაგან მან შორს უნდა დაიჭიროს თავი.

გველი — მისი სიბრძნე ძნელად იტანს ირგვლივ გამეფებულ უჭკუობას. დახეტიალობს და ეძებს გასართობს.

ცხენი — მას წინააღმდეგობები ექნება, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

თხა — ყველა მას ეძებს და ეფერება. ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის. თხამ უნდა ისარგებლოს ამ წლით.

მაიმუნი — გართულია ინტრიგებით.

მამალი — საკუთარ თავს ბევრ საზრუნავს მატებს და არ მოსწონს ასეთი მდგომარეობა.

ძაღლი — გაღიზიანებიდან სასოწარკვეთილებამდე მიდის. ის განმარტოვდება და თუ მოხუცია, შეიძლება დაასრულოს კიდეც სიცოცხლე.

ღორი — იმედებით სავსეა, ის რაც ხდება ღორს უმნიშვნელოდ მიაჩნია. ფინანსურ საქმეებში უმართლებს, თუმცა სიყვარულში უარესობისაკენ იხრება!

მაიმუნის წელიწადი (1992)

ეს წელიწადი სავსეა მოულოდნელობებით. შეგიძლიათ რისკზე წახვიდეთ, რადგან მაიმუნს დროულად შეუძლია თავის მოთოკვა. უნდა მოელოდეთ ყველაფერს... რევოლუციებს, ცვლილებებს პოლიტიკაში, გამოსვლებს, ბარიკადებს... მაიმუნი ერთობა. ირგვლივ უწესრიგობაა, ანარქიაა, მაიმუნის წელიწადი სასიკეთოა ახალი იდეებისათვის. უმჯობესია, მაიმუნი ზაფხულში დაიბადოს.

ვირთხა — ყოველგვარი ცუდი საქციელი ართობს, რადგან აქამდე მან უკვე მოიპოვა წონასწორობა და ბედნიერება. საკუთარი თავის ძალდატანებამ ნაყოფი გამოიღო.

ხარი — ის რაღაცის საშიშროებას გრძნობს და ეშინია. ძალიან ცუდი წელია ხარისათვის.

ვეფხვი — ირწმუნებს, რომ დადგა ის დრო, როდესაც მთელი თავისი ძალა ახალ იდეებს უნდა შესწიროს. მაგრამ მაიმუნი ჩუმჩუმად ქირქილებს.

კატა — ზომების მიღებისათვის კატა თავს არ შეიწუხებს. ის კარგად იცნობს მაიმუნს, ხოდა, ადგება და მოიცდის, სანამ ყველაფერი ისევ არ აეწყობა.

დრაკონი — იგი წინ მიიწევს. არ უყვარს, როდესაც რამეს ასწავლიან ან დასცინიან.

გველი — გველი გულში იცინის და იმანჭება. თუმცა ცნობისმოყვარეობის გამო მან შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ამ ამბებში.

ცხენი — ყველაფერი, რაც ხდება, ართობს ცხენს. შეიძლება პოლიტიკურ ამბებში გაერიოს, მაგრამ ჯერ ზურგს გაიმაგრებს.

თხა — თხა ყველაფერში მონაწილეობს, მაგრამ ის უკვე არავის აინტერესებს.

მაიმუნი — როგორ ართობს მაიმუნს ეს ფაციფუცი. მისთვის ეს პირდაპირ ზეიმია.

მამალი — მამალს სურს წესრიგის აღდგენა. ის აგრესიულად იქცევა. მამალი უხვად აფრქვევს არაფრისმთქმელ სიტყვებს და ყველას მორალს უქადაგებს.

ძაღლი — ისიც ვეფხვივით ირწმუნებს, რომ მისი დროც დადგა და გადამწყვეტ მოქმედებას შეუდგება, მაგრამ თავს შეირცხვენს. ძაღლი მზად არის, ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

ღორი — ენთუზიაზმით მხოლოდ იმას აკეთებს, რაც სჯერა. მისი პირადი საქმეები უმჯობესდება და სიყვარულშიც წარმატებებს აღწევს. მოიპოვებს სიმშვიდეს და სიცოცხლის ხალისს.

მამლის წელიწადი (1993)

მკაცრი წელი იქნება. ყველამ უნდა იმუშაოს, რათა უზრუნველყოს საკუთარი ოჯახი. მოსალოდნელია უმუშევრობა. ოფლის გარეშე

ვერაფერს მიაღწევთ... მამალს არ უყვარს უწესრიგობა. წესრიგის სახელით განხორციელდება საბრძოლო რეფორმები. იქნება სამხედრო პარადები. რისკს ბოროტად გამოიყენებენ. მამლის წელიწადი ხელსაყრელია სამხედრო კარიერის შექმნისათვის. ეს ის დროა, როდესაც შეიძლება „საპატიო ლეგიონის“ ორდენი მოითხოვონ. გაზაფხულზე დაბადებული მამალი ნაკლებად აგრესიული იქნება.

ვირთხა — ეჩვენება, რომ ყველაფერი თავის ადგილზეა, ნაკლებად ადარდებს სხვადასხვა ცვლილებები. ვირთხა მხოლოდ მოლხენაზე ფიქრობს.

ხარი — ბოლოსდაბოლოს, ხარს შეუძლია დამშვიდდეს მან აღიდგინა რწმენა საკუთარი თავისადმი და გულარხეინად იმუშავებს.

ვეფხვი — გულგატეხილი და უბედურია. ეს ნამდვილი ჯანყის წელიწადია. ბრძოლას განაგრძობს.

კატა — კატას აღიზიანებს პარადომანია. სასაცილოდ მიაჩნია თვითონ მამალი და მასთან დაკავშირებული ამბებიც, ამის გამო მამლის წელი კარგს არაფერს უქადის.

დრაკონი — ახლაც იპოვის დროს, რომ „გამობრწყინდეს“ მაგრამ რატომღაც თავს იკავებს.

გველი — მკაცრი წელია გველისათვის. ძალა უნდა მოიკრიბოს, რომ როგორმე გაძლოს. ხშირად ვარდება სასოწარკვეთილებაში.

თხა — უარს ამბობს მუშაობაზე და ბოჰემურ ცხოვრებას მისდევს, დაე, გაგრძელდეს ეს წელიწადი თხის სასიკეთოდ.

მაიმუნი — მისი დრო წასულია, ირგვლივ ყველაფერი თანდათან უინტერესო ხდება.

მამალი — რა მშვენიერი წელიწადია მამლისათვის. მის ირგვლივ დროშები ფრიალებენ, მაგრამ თავი რომ გაიტანო, შრომაა საჭირო, საბედნიეროდ, ყველგან წესრიგია.

ძაღლი — გულგატეხილია ჩვენი ძაღლი. მაგრამ ჩუმად განაგრძობს ბრძოლას. მისთვის მძიმე წელიწადია.

ღორი — შრომას ნაყოფი მოაქვს ღორისთვის. ყველაფერი ისევ უკეთესობისაკენ მიდის, მშვენიერია სიცოცხლე!

ძაღლის წელიწადი (1994)

პესიმიზმი შეგიპყრობთ. დაეჭვდებით თქვენს მომავალში, მაგრამ ამასთანავე უფრო კეთილი და სულგრძელი გახდებით. ეს წელიწადი სასიკეთოა დიდი საქმეების განსახორციელებლად და სულგრძელობის გამოსავლინებლად. ძაღლი უმჯობესია დაიბადოს ღამით, რათა მომავალში მთელი ღამეები სადარაჯოზე არ გაატაროს.

ვირთხა — ვირთხამ სიყვარულზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს და კვლავ თავისი საქმეები განაგრძოს. კარგი წელიწადია ვირთხისათვის.

ხარი — კმაყოფილი არ არის. მომავალი დაბინდულია და ეს „თანამედროვე ახალგაზრდობაც“ ნერვებს უშლის.

ვეფხვი — მშფოთვარეა, მაგრამ ყოჩაღი ვეფხვი კვლავ თავგამოდებით საქმიანობს. შეგიძლიათ დიდი საქმეები მიანდოთ.

კატა — მოუსვენრად არის კატაც. თავდაცვის ზომებს იღებს და შემდგომ პოლიტიკაში ერევა.

დრაკონი — ის მზად არის მოქმედებისათვის, იჩენს სულგრძელობას, მაგრამ ძაღლის წელიწადს მასაც, ათასგვარი ეჭვი უჩნდება.

გველი — თავის გრძნობებშიც დაეჭვებულია. შფოთავს, უნდა რაღაც გააკეთოს, მაგრამ ეზარება.

თხა — ყველა დაკავებულია და არავის ახსოვს თხა, ფიქრობს, რომ ყველამ მიატოვა.

მაიმუნი — მაიმუნი ისეთი სულელი არ არის, რომ გულწრფელად შეწუხდეს. აქვს ფინანსური პრობლემა, მაგრამ, არა უშავს რა, დაელოდება სხვა დროს.

მამალი — ჩაიარა პარადომანიამ. სულიერად განადგურდა მამალი. ამ წელიწადს მატერიალური თვალსაზრისით ძალიან გაუჭირდება.

ძაღლი — ძაღლი ზეიმობს მაგრამ, თავმდაბლობას არ ივიწყებს. მისი წელიწადი ყველაფერში უმართლებს ძაღლს.

ღორი — მეტისმეტად ეგოისტია. სხვებისათვის თავს არ იწუხებს და გულმოდგინედ მუშაობს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის.

ღორის წელიწადი (1995)

ყველაფერი უკეთესობისაკენ იხრება. კეთდება კარგი საქმეები, ფულს კვლავ ადვილად იშოვით. შეგიძლიათ დატკბეთ ცხოვრებით. მოსალოდნელია პატარა უსიამოვნებანი ხელმძღვანელობის მხრივ. ღორი, უმჯობესია არ დაიბადოს ახალი წლის (იგულისხმება დღე, რომელითაც ახალი წელი იწყება ჩინეთში) წინ ან მომდევნო უახლოეს დღეებში, თორემ შეიძლება „სხვისი ლუკმა“ გახდეს.

ვირთხა — ყველაფერი კარგად აეწყობა ვირთხისათვის. მშვენივრად ცხოვრობს და მომავლის გეგმებს ადგენს.

ხარი — ძალიან დიდი სამუშაო აქვს და ძლივძლივობით ართმევს თავს.

ვეფხვი — მშვენიერი წელია ვეფხვისათვის. რისკზე მიდის და მოგებასაც ნახულობს. სწორია, ასეც უნდა მოიქცეს!

კატა — დამშვიდებული კატა კნავის და ახალ მეგობრებს იძენს, მისი საქმეებიც კარგად აეწყო. თავს უშიშრად გრძნობს.

დრაკონი — იგი ისევ „ელვარებს“ მართალია, მატერიალურად არასოდეს უჭირდა, მაგრამ ამ მხრივ ეს წელიწადი განსაკუთრებით კარგი იქნება მისთვის.

გველი — ამ წელს კარგი არაფერი მოაქვს გველისათვის, მაგრამ ბედს ურიგდება და იმედით უყურებს მომავალს.

ცხენი — მას ექნება ფული და შეიძლება იყიდოს მანქანა და ბინა, რაზეც დიდი ხანია ოცნებობს.

თხა — თხისთვის ბედნიერებაა სხვისი წარმატება. მას შეეძლო ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ თხა და სიფრთხილე?!

მაიმუნი — დასრულდა წინა წლის უიღბლობა. მაიმუნი კვლავ თავს აიშვებს და ძველ საქმიანობას განაგრძობს.

მამალი — ძლივძლივობით აღწევს თავს ფინანსურ სიდუხჭირეს. ისევ კონსერვატორად რჩება, რაც პირველ რიგში თვითონვე ვნებს.

ძაღლი — ამ წელიწადს ძაღლი ცოტას თავისი ოჯახის კეთილდღეობაზეც იფიქრებს, ესეც საჭიროა ხანდახან.

ღორი — მისი წელი წყალობს ღორს. უმართლებს სიყვარულშიც და საქმეებშიც. შეიძლება მოულოდნელად მიიღოს მემკვიდრეობა ან დიდი თანხა.

მეგობრობა

ვირთხა

ვირთხა — შეიძლება მათი მეგობრობა, მაგრამ ისინი უარს არ იტყვიან ერთმანეთს რაღაც-რაღაცეებში აწყენინონ.

ხარი

ვირთხა — მალე შემოელევათ სასაუბრო თემა.

ხარი — ხარებს კონფლიქტი ექნებათ ძალაუფლების გამო.

ვეფხვი

ვირთხა — ვეფხვი და ვირთხა ვერ შეეწყობიან. ვეფხვი ენთუზიასტია, ვირთხა კი მატერიალისტი.

ხარი — არ არის რეკომენდირებული მათი მეგობრობა.

ვეფხვი — ორი ვეფხვი ერთად რევოლუციებსაც მოახდენს და ქვეყანასაც გადაატრიალებს. დაე, იმეგობრონ მათ!

კატა

ვირთხა — კატა ყურადღებას იჩენს ვირთხისადმი, მაგრამ ამას მეგობრულს ვერ ვუწოდებთ, მათ არ შეუძლიათ იმეგობრონ.

ხარი — კატას და ხარს კარგი დამოკიდებულება ექნებათ.

ვეფხვი — ისინი არც ისე კარგად უგებენ ერთმანეთს. კატა ვეფხვს სერიოზულად არ უყურებს, ვეფხვი კი ძალიან ბრაზობს ამის გამო.

კატა — ათასგზის დიახ! მათ არასოდეს მობეზრდებათ ბუხართან ჯდომა და საუბარი.

დრაკონი

ვირთხა — ისინი ერთმანეთს აფასებენ. შეიძლება მათი მეგობრობა.

ხარი — დრაკონს არ მოსწონს ხარი.

ვეფხვი — ისინი ერთმანეთს უგებენ და ესაჭირიებათ კიდევაც ერთმანეთი.

კატა — დრაკონი და კატა ვერ იმეგობრებენ.

დრაკონი — ორი ფეიერვერკი ერთმანეთს ვერ იტაბს.

გველი

ვირთხა — მათ ბევრი სალაპარაკო აქვთ. ეს იქნება მოლაყბეთა მეგობრობა!

ხარი — სხვადასხვაგვარი ბუნების მიუხედავად, ისინი ერთმანეთს ეწყობიან.

ვეფხვი — მათ შორის მეგობრობა ყრუთა დიალოგს დააემსგავსება.

კატა — გველი და კატა მგზნებარედ და ხანგრძლივად ისაუბრებენ. არიან კარგი მეგობრები.

დრაკონი — ისინი კარგად უგებენ და ავსებენ ერთმანეთს.

გველი — ორ ფილოსოფოსს შორის ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემაა.

ცხენი

ვირთხა — მათ მეგობრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ვირთხას და ცხენს განსხვავებული გემოვნება და მორალი აქვთ.

ხარი — ასევე ითქმის ცხენის ხართან მეგობრობაზეც.

ვეფხვი — ისინი ისწრაფვიან ერთმანეთისაკენ, ისე კი დაუსრულებლად კამათობენ.

კატა — მათ შორის შესანიშნავი, კეთილშობილური დამოკიდებულებაა, ექნებათ კარგი მეგობრობა.

დრაკონი — ცხენი დიდი ინდივიდუალისტია, ცოტას გასცემს და ბევრს ელოდება, დრაკონი კი ბევრს გასცემს და ბევრსაც თხოულობს. მათი მეგობრობა დაუშვებელია.

გველი — ცხენის მრისხანება გველის სიბრძნეს ვერაფერს დააკლებს, რეკომენდირებულია მათი მეგობრობა.

ცხენი — ცხენებმა იციან დამოუკიდებლობის ფასი. ისინი პატივს სცემენ ერთმანეთს.

თხა

ვირთხა — იმეგობრებენ, მაგრამ არახანგრძლივად.

ხარი — ისინი ვერ იტანენ ერთმანეთს.

ვეფხვი — არავინ იცის რას მოიმოქმედებენ თხა და ვეფხვი ერთად. თხა ალბათ გეგმებს დასახავს, ვეფხვი კი შეასრულებს მათ.

კატა — კატა აღფრთოვანებულია თხის მხატვრული გემოვნებით, მისი ჭირვეულობით კი ერთობა.

დრაკონი — დრაკონისაგან ქებით გულგაკეთებული თხა მართლაც მომხიბვლელი ხდება, კარგი მეგობრები იქნებიან.

გველი — შესაძლებელია მათი მეგობრობა, თუ გველი დაეხმარება თხას.

ცხენი — კარგი საყურებელია, როდესაც ისინი უფსკრულს ერთად გადაევლებიან, უნდა იმეგობრონ.

თხა — თხებს შორის ურთიერთგაგებაა. ისინი ენდობიან ერთმანეთს.

მაიმუნი

ვირთხა — მათ შორის შესაძლებელია მეგობრობა, ოღონდ ეს მოხდება ვირთხის ინტერესთა ხარჯზე.

ხარი — ხარს მოსწონს მაიმუნი, მაგრამ მაიმუნი მუდამ იმის ცდაშია, როგორმე დასცინოს ხარს;

ვეფხვი — მაიმუნის მომხიბვლელობა საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას, მაგრამ ორივეს ინტერესებიდან გამომდინარე, სჯობს, რომ ეს კავშირი ძალიან არ გაღრმავდეს.

კატა — მაიმუნი და კატა მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს.

დრაკონი — მაიმუნი ცდილობს, რომ მათი ურთიერთობა არ გაღრმავდეს, მაგრამ ამასთანავე გამუდმებით თავს დასტრიალებს, მაიმუნი ხომ თავის სასარგებლოდ იყენებს დრაკონს!

გველი — მათ მეგობრობას სითბო აკლია.

ცხენი — ცხენი არ ენდობა მაიმუნს და სამართლიანადაც... მათი მეგობრობა არ ივარგებს.

მამალი

ვირთხა — ვირთხისა და მამლის ურთიერთსიმპათია ზერელეა.

ხარი — ისინი შესანიშნავ მეგობრებად დარჩებიან სიცოცხლის ბოლომდე.

ვეფხვი — მათ არ მოსწონთ ერთმანეთი.

კატა — მამალი მეტისმეტად ხმაურიანია. ის თავს აბეზრებს კატას.

დრაკონი — დრაკონს და მამალს აქვთ ერთმანეთისადმი სიმპათია.

გველი — სასურველია ეს მეგობრობა, მოსწონთ, როცა ერთმანეთს აზრს უზიარებენ.

ცხენი — სასიამოვნო დამოკიდებულებაში არიან... ჩაი, ყავა, ცეკვები აახლოებთ ცხენსა და მამალს.

თხა — მათი მეგობრობა შეუძლებელია. მამალი ბევრ არასასიკეთოს ამჩნევს თხას.

მაიმუნი — მამალსა და მაიმუნს არაფერი აქვთ საერთო და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ მამალი იფეთქებს.

მამალი — მათი შეტაკება გარდაუვალია! არაფრით არ შეიძლება მამლების ურთიერთობა.

ძაღლი

ვირთხა — ვირთხა ძაღლს ვერ გაუგებს.

ხარი — წარმოუდგენელია ძაღლისა და ხარის მეგობრობა.

ვეფხვი — მათ არ ექნებათ მყარი ურთიერთობა.

კატა — კატა ძაღლს, შეიძლება, მტკიცედ ვერ დაუდგეს მხარში, მაგრამ ძაღლი მაინც ენდობა მას.

დრაკონი — ძაღლი მეტისმეტი რეალისტია და ეს აფიქრიანებს დრაკონს, მათი მეგობრობა არ არის რეკომენდირებული.

გველი — სჯობს, მათ შორის იყოს ოფიციალური დამოკიდებულება.

ცხენი — შეიძლება იმეგობრონ, ოღონდ პოლიტიკაზე საუბრისას შეიძლება დაეტაკონ ერთმანეთს.

თხა — მათ ერთმანეთი ეჯავრებათ.

მაიმუნი — ვინ იცის, იქნებ იმეგობრონ მაიმუნმა და ძაღლმა. ოღონდ მაიმუნი ტყუილუბრალოდ არ აღფრთოვანდება.

მამალი — სჯობს, შორ-შორს და მშვიდობიანად.

ძაღლი — ძაღლებს კარგი მეგობრობა ექნებათ, მაგრამ ერთად ძალიან გათამამდებიან.

ღორი

ვირთხა — ვირთხასა და ღორს უყვართ ერთად სეირნობა, ღორი არაფრად აგდებს ვირთხის აგრესიულობას.

ხარი — დასაშვებია მათი მეგობრობა, ოღონდაც ხშირად არ უნდა ნახონ ერთმანეთი.

ვეფხვი — ისინი კარგად ეწყობიან, მაგრამ მაინც ღორს სიფრთხილე და გონიერება მართებს.

კატა — მათ შეუძლიათ იმეგობრონ, ოღონდ ისინი საზოგადოებაში ერთად არ უნდა მოხვდნენ.
კატას აღიზიანებს ღორის ტრაბახი.

დრაკონი — მათ არც საერთო პრობლემები აქვთ და არც საერთო გატაცებები. მათი მეგობრობა რეკომენდირებულია.

გველი — როგორც სურთ: შეუძლიათ იმეგობრონ კიდეც, არც იმეგობრონ... ყველაფერს ცხოვრება დაგვანახებს.

ცხენი — ღორი თავშეკავებულია და მათ ურთიერთობასაც ეს განაპირობებს.

თხა — ღორი ისაუბრებს თხასთან. თხას კი ძალიან უყვარს ღორისნაირი მდიდრები.

მაიმუნი — მაიმუნი პატივს სცემს ღორს. ისინი კარგი მეგობრები იქნებიან.

მამალი — ღორისათვის უმჯობესია, რომ მამლისაგან თავი შორს დაიჭიროს.

ძაღლი — ძაღლსა და ღორს ძლიერ უყვართ ერთმანეთი და ერთგულებიც არიან ღორს შეუძლია სიმშვიდე მიანიჭოს ძაღლს.

ღორი — ღორებს ერთნაირი გემოვნება აქვთ. ეს განუყრელი მეგობრები რაბლეს გმირების მსგავსად სასიამოვნოდ გაერთობიან.

ნიშანთა ხელსაყრელი ურთიერთობა

მამაკაცი—ვირთხა

ქალი:

ვირთხა — მაოი ძირითადი საქმიანობა მშვენივრად წარიმართება რომელიღაც მევახშის სავაჭრო დუქანში.

ხარი — ხარი საქმოსანი არ არის, მაგრამ მისი თავგამოდებული მუშაობა საკმარისია იმისათვის, რომ ვირთხას უხელმძღვანელოს.

ვეფხვი — საბედნიეროდ, ვეფხვი და ვირთხა შეძლებულად ცხოვრობენ, თორემ საქმოსნობისათვის ორივე საკმაოდ პატიოსანია. საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი ჩაფლავდებიან.

კატა — კატა მარჯვეა საქმეში და ეს შველის ვირთხას.

დრაკონი — შესანიშნავი კავშირი იქნება, როცა მათ ურთიერთობას დრაკონი განაგებს.

გველი — საინტერესოა, რა გამოუვათ გველსა და ვირთხას ერთად...

ცხენი — არ შეიძლება მათი შეთანხმება, რადგან ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ავნონ ერთმანეთს.

თხა — მართალია, თხას გემოვნება აქვს, მაგრამ შესძლებს კი ვირთხის ხელმძღვანელობას?

მაიმუნი — მათი საქმიანი ურთიერთობა დასაშვებია, მაგრამ ვირთხამ თავი უნდა დაანებოს მაიმუნის ბრმად გაღმერთებას.

მამალი — საქმე, რაც უნდა თავი იტეხონ, მაინც ცუდად წაუვათ.

ძაღლი — მაიმუნი მეტისმეტი იდეალისტია, ვირთხა კი — ანგარებიანი.

ღორი — ვირთხა ეცდება ღორის მოტყუებას, მაგრამ ღორი რის ღორია... რაც შეეხება ფულს, ამაში ბედი სწყალობს ღორს.

მამაკაცი — ხარი

ქალი:

ხარი — კარგი იქნებოდა, თუ საკუთარ ფერმას შეიძენენ.

ვეფხვი — მოხდება კატასტროფა: ხარი ეცდება ვეფხვის მოსპობას.

კატა — საცოდავი ხარი... კატა ბოროტად იყენებს მის შესაძლებლობას.

დრაკონი — რომელი იუფროსებს მათ შორის? ბატონმა დრაკონმა შეიძლება იფიქროს, რომ ხარი დაუჯერებს მას...

გველი — ამგვარი ურთიერთობისაგან თავი უნდა შეიკავოს ორივემ.

ცხენი — ორივე პატიოსანია და კარგი მშრომელი. მართალია, ცხენი ხარზე უფრო მოქნილია, მაგრამ ეს არ შველის საქმეს, ამიტომ მათი საქმიანი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

თხა — მათ შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაიმუნი — ხარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, მას ხომ უყვარს მაიმუნი, არ არის სასურველი მათი ურთიერთობა.

ძაღლი — ძაღლი და ხარი საერთო იდეას ვერ გამონახავენ.

მამალი — მამალი მუშაობს, მაგრამ ხარი არ აფასებს. მას მამალი ზარმაცად მიაჩნია.

ღორი — ღორს ბევრი თვისება აქვს ხარის მოსაწონი. ის აფასებს ღორის ეფექტურობას მუშაობაში.

მამაკაცი — ვეფხვი

ქალი:

ვეფხვი — მათი ურთიერთობა არ არის რეკომენდირებული. ის ბევრ რისკთან იქნება დაკავშირებული.

კატა — კატა გამოადგება ვეფხვს. ისინი ავსებენ ერთმანეთს: კატა ფრთხილია, ვეფხვი კი მეტისმეტი გამბედავი.

დრაკონი — ეს ორი ძლიერი პიროვნების ურთიერთობაა. დრაკონი ორივეზე იფიქრებს.

ცხენი — მათი კავშირი რთულია, მაგრამ საინტერესო.

თხა — ვეფხვი თხას ცუდად არ უყურებს, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც ეშინია მისი.

მაიმუნი — ვეფხვმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ეშმაკობაზე. მაიმუნმა კი უნდა გაითვალისწინოს ვეფხვის სიძლიერე.

მამალი — ვეფხვი და მამალი ერთმანეთს არ შეეფერებიან. თანაც მამალი სწრაფად იღლება. არ შეიძლება მათი ურთიერთობა.

ძაღლი — კომერციის გარდა ისინი ყოველგვარ საქმეში შეთანხმდებიან.

ღორი — ვეფხვს წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს ღორისათვის მუდმივი საშიშროების ქვეშ ყოფნა.

მამაკაცი — კატა

ქალი:

კატა — კარგად აგვარებენ ადვოკატურ, ნოტარიულ საქმეს. შეუძლიათ გახსნან ანტიკვარული მაღაზიაც.

დრაკონი — კატა დრაკონს გადაწყვეტილების მიღების ნებას დართავს. ისე კი მრჩეველი, რა თქმა უნდა, თვითონ იქნება.

გველი — თუ კი იმუშავებენ, მათი საქმე კარგად წავა.

ცხენი — ეს პირდაპირ შეჯიბრს დაემსგავსება! კატა ეშმაკია, მაგრამ ცხენიც კარგად იცავს თავს. ოფიციალური დამოკიდებულება არც ერთს არ ავიწყდება.

თხა — თხას გემოვნებას ვერ დაუწუნებ, მაგრამ კატა კიდეე უფრო ეფექტურს ხდის მას. კარგი წყვილია საქმისათვის.

მაიმუნი — უშედეგოა მათი ურთიერთობა. ერთმანეთს სულ კრიჭაში უდგანან.

მამალი — მამალი უნდა გაფრთხილდეს თუ. კატამ მასთან საქმე დაიჭირა.

ძაღლი — კატა თავისი მოქნილობითა და ეშმაკობით დაეხმარება ძაღლს. ძაღლი კი რეალიზმითა და ერთგულებით გამოადგება.

ღორი — კატა ყოჩაღია, ღორს კი ბედი სწყალობს. მათ შეუძლიათ კარგი მდგომარეობა შეიქმნან.

მამაკაცი — დრაკონი

ქალი:

დრაკონი — მათი ურთიერთობა არ არის რეკომენდირებული, რადგან ილახება მათი პრესტიჟი.

გველი — დრაკონს უყვარს მუშაობა, გველი კი არაფერს აკეთებს. მათი კავშირი ცუდად დამთავრდება.

ცხენი — მათი კავშირი შესაძლებელია დროებით, მაგრამ არაეითარ შემთხვევაში — დიდხანს.

თხა — თხა გამოსადეგია ხელოვნების რომელიმე დარგში. დრაკონთან ურთიერთობისას კი რეჟისორის ადგილს დაიჭერს.

მაიმუნი — ძალისა და ეშმაკობის შეხამება კარგია. მათი საქმე მშვენივრად გაიჩარხება.

მამალი — მათი ურთიერთობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დრაკონი უხელმძღვანელებს მამალს.

ძაღლი — ძაღლი გამოააშკარავებს დრაკონის ნამდვილ სახეს. მათი ურთიერთობა არ არის რეკომენდირებული.

ღორი — წარმატება გარდაუვალია, ოღონდ დრაკონთან დამოკიდებულებაში ღორმა თავმდაბლობა უნდა გამოიჩინოს.

მამაკაცი — გველი

ქალი:

გველი — ისინი შესანიშნავ გეგმებს აწყობენ, მაგრამ შემდეგ არ მოქმედებენ. ისე რომ, საქმეს კარგი ბოლო არ ექნება.

ცხენი — გველი დასახავს მიზანს, ცხენი კი იმუშავებს. ეს ურთიერთობა სასურველია.

თხა — გველი ბრძენია, მაგრამ თხის სისულელე ყელში ამოუვა. მათი კავშირი შესაძლებელია უკიდურეს შემთხვევაში.

მაიმუნი — გველი ფიქრობს, რომ მაიმუნში რაღაც ეშმაკისეულია.

მამალი — მათ ხომ ერთმანეთთან საუბარი სიამოვნებთ. საეჭვოა, რომ ამ კავშირს ლაყბობის გარდა რამე ხეირი მოჰყვეს.

ძაღლი — მათი ურთიერთობა შესაძლებელია, მაგრამ არც ისე სასურველი.

ღორი — ღორს არ სჭირდება გველის სიბრძნე,რადგან სულ იმის ცდაშია, რომ ავნოს ღორს.

მამაკაცი — ცხენი

ქალი:

ცხენი — ორივე მთელ სარგებელს თავისკენ ექაჩება.

თხა — თხა გაუცნობიერებლად მიდის დიდ რისკზე, მაშინაც კი როცა ცხენი საკმაო მოქნილობას იჩენს.

მაიმუნი — ცხენი კარგად იცნობს მაიმუნს. ის მასთან საქმეს არ დაიშვერს.

მამალი — მამალი არ ენდობა ცხენს, ცხენი კი ვერ იტანს მამლის უსაქმურობას.

ძაღლი — ძაღლმა და ცხენმა საქმე უნდა აკეთონ, მაგრამ მათი ურთიერთობისა კი რა მოგახსენოთ.

ღორი — მათ სხვადასხვა იდეა აქვთ. საქმეში თანხმობას ვერ მიაღწევენ.

მამაკაცი — თხა

ქალი:

თხა — ეს ურთიერთობა არ არის მიზანშეწონილი. საკითხავია, ვის უნდა გაუწიონ ექსპლოატაცია?

მაიმუნი — თხა არაფერს კარგავს. მაიმუნს კი კარგად მოეხსენება თხის შესაძლებლობანი.

ძაღლი — ძაღლი უფრო სერიოზული საქმეებით არის დაკავებული. მას თხისთვის არ სცალია.

მამალი — მამალმა კარგად იცის თხის უსარგებლობა, ამასთანავე, ის თავსაც აბეზრებს მამალს, არ შეიძლება მათი ურთიერთობა.

ღორი — ისინი ერთმანეთს შეეწყობიან. თვით თხაც კი შეიძლება რამეში გამოადგეს ღორს.

მამაკაცი — მაიმუნი

ქალი:

მაიმუნი — ორივე ეშმაკია და ამის გამო დიდი უსიამოვნება შეხვდებათ.

მამალი — საბრალო მამალი! ყველა მას ატყუებს.

ძაღლი — ძაღლი მაიმუნს თავის ნებაზე არ ატარებს. მას ეშინია ძაღლის.

ღორი — მაიმუნი დაინტერესებულია ღორთან ურთიერთობით, ეს იცის ღორმა და სულგრძელობას იჩენს მის მიმართ.

მამაკაცი — მამალი

ქალი:

მამალი — მათი საქმიანი კავშირი გაკოტრებისთვის არის განწირული!

ძაღლი — ისინი ერთმანეთში ვერ მორიგდებიან. საწინააღმდეგო შემთხვევაში ამას კატასტროფა მოჰყვება.

ღორი — ამ საკითხში ღორი მამალს არ ენდობა და თავს იკავებს.[1]

მამაკაცი — ძაღლი

ქალი:

ძაღლი — ორივე მეტისმეტად უანგაროა და გაკოტრებას ვერ ასცდებიან.

ღორი — ძაღლი სულგრძელია და ღორი მასთან ურთიერთობაში „სირბილეს“ კარგავს. ბოლოს კი ძაღლი თვითონ იცინის ყველაფერ ამაზე.

მამაკაცი — ღორი

ქალი:

ღორი — მათ შეუძლიათ კარგი მდგომარეობა შეიქმნან. ბედი ორივეს წყალობს.

შერეული პოროსკოპი

ვირთხა

თხის რქა — ვირთხას ძნელად თუ ვინმე დაიჭერს. ის გაქნილია.

მერწყული — ვირთხა ინტელექტუალია, აქვს მწერლობის დიდი ნიჭი.

თევზი — მას წარმოსახვის უნარი აქვს. ვირთხას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ პირველ რიგში, სისულელეს სჩადის.

ვერძი — ვირთხა აგრესიულია და მიზანსწრაფული.

ხბო — ვირთხა მომხიბვლელია.

ტყუპები — რაც გინდათ, თქვით, ვირთხა მაინც ვირთხაა. მას ძნელად დაიჭერ.

კიბო — ვირთხა მეოცნებეა. ძვირად უჯდება გართობა.

ლომი — უცნაურია ვირთხა. ის თავის თავს ეწინააღმდეგება. დიდი სიფრთხილე მართებს.

ქალწული — ვირთხა ყოველგვარ ხიფათს დაუძვრება.

სასწორი — ვირთხის შემრიგებლური ხასიათი მის აგრესიულობას არბილებს.

ღრიანკალი — ვირთხას უყვარს დაცინვა. მას წინ ვერაფერი დაუდგება.

მშვილდოსანი — ვირთხა ენერგიულია, მაგრამ ზრუნავს, რომ ქონება დააგროვოს.

ხარი

თხის რქა — ხარს ხუმრობა .არ უყვარს. მასთან ვერ გაერთობი.

მერწყული — ხარი ბუნებით ფაქიზია. ძალაუფლებას ბოროტად არ იყენებს.

თევზი — სულელი ხარი. ნუ ეჩრება სხვის საქმეში.

ვერძი — ხარი პატივმოყვარეა. უფრთხილდით, რქებზე არ წამოგაგოთ!

ხბო — ხარი თავაზიანია, მაგრამ მაინც ხარია.

ტყუპები — ხარს სერიოზულობა აკლია, მაგრამ ის ძალიან ამტანია.

კიბო — ხარი არ არის მკაცრი. ის არ სარგებლობს თავისი შრომის ნაყოფით.

ლომი — ხარი მებრძოლია! ის შეიძლება განთავისუფლდეს ტრადიციის ტყვეობიდან.

ქალწული — ხარი არასრულფასოვანია. ურჩევნია თავის საქმეს მიხედოს.

სასწორი — ხარი კონსერვატორია.

ღრიანკალი — ხარი საშიში, ჯიუტი და უკმეხია.

მშვილდოსანი — ხარი წონასწორობას არ კარგავს.

ვეფხვი

თხის რქა — ვეფხვი გონებადამჯდარია. შეუძლია აირიდოს საფრთხე.

მერწყული — ვეფხვი ჭკვიანია. ის ფიქრსა და მოქმედებას კარგად უხამებს ერთმანეთს.

თევზი — ვეფხვი არ არის დიდად გონიერი. ის საინტერესოა, მაგრამ საშიშიც. განსაკუთრებით საშიშია საკუთარი თავისთვის.

ვერძი — გამოირჩევა სწრაფი რეაქციით. უფრთხილდით მას!

ხბო — ვეფხვი ადვილად კარგავს წონასწორობას. მისი სიბრაზე შეიძლება გადაიზარდოს სიშმაგეში.

ტყუპები — ვეფხვი სულელური საქმეებისთვის არის გაჩენილი. ამაში ის ნამდვილად მიაღწევს წარმატებებს.

კიბო — ვეფხვი არ არის აქტიური. ის წყნარ ცხოვრებას ეწევა.

ლომი — ვეფხვია და თავი ლომივით მოაქვს! მიზანს ყოველთვის მიაღწევს.

სასწორი — ვეფხვი მოშინაურებულია. ის კარგი კომპანიონი იქნება სავაჭრო საქმეებში.

ღრიანკალი — ვეფხვი რთული ბუნებისაა. მისგან მოსალოდნელია ყველაფერი.

მშვილდოსანი — ნამდვილი ვეფხვია, ის ძალიან შორს წავა.

კატა

თხის რქა — კატა მუდამ სევდიანია. მას უყვარს სიმარტოვე-

მერწყული — კატა ნიჭიერია. მასთან მეგობრობა შეიძლება-ცუდი არ იქნება, თუ თავს მწერლობაში მოსინჯავს.

თევზი — კატა ათჯერ კატაა, ის მიღებულია საზოგადოებაში.

ვერძი — კატა ველურია.

ხბო — კატა ძალიან მოსიყვარულია. ის თავის კნუტებს ერთი წუთითაც არ შორდება.

ტყუპები — შინაური კატა წყნარია, მაგრამ ზოგჯერ არ ერიდება ხიფათს.

კიბო — კატას უსაქმურობას ვერ დასწამებ. ის მომხიბვლელია და სათუთი.

ლომი — კატა და ვეფხვი ერთი და იგივეა, ოღონდ კატა გაცილებით წყნარია. თავის კნუტებთან ერთად შეუფერხებლად გაივლის ცხოვრების გზას.

ქალწული — კატა ბრძენია. ის ცეცხლთან ისე ითამაშებს, რომ თათებს არ დაიწვავს.

სასწორი — ძალიან მოსაწონია: მომხიბველელია, მელანქოლიური და ქალური.

ღრიანკალი — კატა ჯადოქარია, არ გაგთვალოთ!

მშვილდოსანი — კატა განსაკუთრებულია. ის ყველაზე დინჯი და თავაზიანია.

დრაკონი

თხის რქა — დრაკონი თავმდაბალია. ის ისე არ იწონებს თავს, როგორც ამას დრაკონი უნდა აკეთებდეს.

მერწყული — დრაკონი ყველაფერს კარგად ხვდება, მას უყვარს თვითკრიტიკა.

თევზი — დრაკონი დიდი სიბრძნითა და შთაგონებით გამოირჩევა. მას შეუძლია შორს წავიდეს.

ვერძი — დრაკონი მშვიდია. ის თვალდახუჭულიც გაიკვლევს გზას.

ხბო — დრაკონი მშვიდია, კარგი მეოჯახე.

ტყუპები — დრაკონი მრავალფეროვანია. ის მუდამ „ელვარებს“.

კიბო — ის ღრუბლებში დაფრინავს და ოცნების კოშკებს აგებს.

ლომი — დრაკონი მეტისმეტს აკეთებს და მალე დაიღლება.

ქალწული — დრაკონი ფანტაზიორი არ არის. შეიძლება მისი ნდობა.

სასწორი — ნუ ენდობით დრაკონს, მას საეჭვო გარეგნობა აქვს!

ღრიანკალი — დრაკონი გესლიანია, ყველას მოშხამავს, ვინც კი მასთან საქმეს დაიჭერს.

მშვილდოსანი — დრაკონი მშვიდია, შეგიძლიათ ენდოთ მას.

გველი

თხის რქა — გველი ფილოსოფოსია. ის დიდი ნიჭის პატრონია, მაგრამ ცოტა აბსტრაქტულად აზროვნებს.

შერწყული — გველი სავსეა იდუმალებით. აქვს კარგი ინტუიცია და შეუძლია განჭვრიტოს მომავალი.

თევზი — გველი ცივსისხლიანია.

ვერძი — გველი მახრჩობელაა. უფრთხილდეს ვერძს!

ხბო — გველს გესლი აქვს, მაგრამ ის მშვენიერია.

ტყუპები — გველი ძალიან ცვალებადია.

კიბო — გველი მთვარეულია, მაგრამ თავს არ დაიძაბუნებს. იქნებ გამოაფხიზლოთ!

ლომი — გველს იზიდავს პატარ-პატარა ბრჭყვიალა ნივთები და მათი გამოყენებაც უყვარს.

სასწორი — გველი მეტისმეტად თავაზიანია. მას ჰიპნოზის გაკეთება შეუძლია.

ღრიანკალი — გველი ავხორცია, ის ყოველთვის ეჭვებში ჩაგაგდებთ.

შუბილდოსანი — გველი გაბედულია, მას შეუძლია მოიპოვოს გამარჯვება, თუმცა არა ყოველთვის პატიოსანი გზით.

ცხენი

თხის რქა — ცხენს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. ის განსაკუთრებულია და ამიტომაც ექნება პრობლემები.

შერწყული — ცხენმა საკუთარ თავს მიხედოს.

თევზი — ცხენი ხშირად ფიქრობს, თუ რისი გაკეთება შეუძლია მას.

ვერძი — ცხენი მრისხანეა და უკმეხი, მაგრამ ზოგჯერ თანამიმდევრულად აზროვნებს.

ხბო — ცხენი არ არის ეგოისტი. მას შეუძლია დათმობაზე წავიდეს.

ტყუპები — ცხენს არ შეუძლია ერთ ადგილზე გაჩერება. ის დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს.

** კიბო** — მანეკის ცხენი მგრძნობიარეა. ის თავის ნებაზე ვერასოდეს ივლის.

ლომი — ცხენი ყველაფერს იკისრებს, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს.

ქალწული — ცხენი ძალიან ეფექტური და რისკიანია. მას მერყეევი ხასიათი აქვს. მხოლოდ პრაქტიკულობას შეუძლია მისი გადარჩენა.

სასწორი — ცხენი ყველას შეისვამს ზურგზე, მაგრამ ისე მოიქცევა, როგორც მას უნდა.

ღრიანკალი — ცხენი ველურია და მგზნებარე, მაგრამ ამასთანავე ძლიერ მომხიბვლელი.

მშვილდოსანი — ცხენი კარგი მუშაა, მაგრამ ცვალებადია.

თხის რქა

თხის რქა — თხას უყვარს ფიქრი. აქვს ფანტაზიის უნარი და აკეთებს ყველაფერს, რაც მას ეხება.

მერწყული — თხა თავის ჭკუას თავისივე ჭირვეულობას ახმარს. ნუ მიენდობით მას!

თევზი — თხა ხელოვნებით არის შთაგონებული და შეუძლია წარმატებასაც მიაღწიოს. მაგრამ ხშირად აუტანელია.

ვერძი — თხა მებრძოლია.

ხბო — თხა მომხიბვლელია, მაგრამ მეგობრები რომ არა, მას უსაქმურობა დაღუპავდა.

ტყუპები — თხას გამოხტომები აქვს. წინ უნდა აღუდგეთ მის ოინებს.

კიბო — თხას კეთილი სურვილები ამოძრავებს.

ლომი — ძნელია გაუგო თხას. მას წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს.

ქალწული — თხა უმნიშვნელო სამსახურს გაგიწევთ.

სასწორი — იყავით ფრთხილად, თორემ თხა რქებს დაგადგამთ!

ღრიანკალი — თხა ძლიერ საშიშია. მას გალესილი რქები აქვს.

მშვილდოსანი — თხა გაბედულია, მისი გაბედულება გამოიყენეთ, ისარგებლეთ თხით!

მაიმუნი

თხის რქა — ის სწორედ რომ მაიმუნია, მაგრამ ყველაფერი შედარებითია.

მერწყული — მაიმუნი თავშეკავებულია. მას შეუძლია თავისი ზრახვების დამალვა.

თევზი — მაიმუნი გამჭრიახია. მას ვერავინ შეედრება ხელსაყრელი დროის შერჩევაში.

ვერძი — მაიმუნს მძიმე ხასიათი აქვს. უფრთხილდით გორილას...

ხბო — მაიმუნი უწყინარი და მომხიბვლელია, ამასთან ერთად, უმწეოც.

ტყუპები — მაიმუნი არასერიოზული და ფხუკიანია.

კიბო — მაიმუნი კეთილია.

ლომი — მგზნებარე მაიმუნი ვეფხვს თავის ნებაზე ატარებს.

ქალწული — მაიმუნს ჯამბაზობა უყვარს და ეს დაღუპავს მას.

ღრიანკალი — ის მთლად მაიმუნი არ არის, ისე კი საკმაოდ ეშმაკია.

მშვილდოსანი — ის ოცნებობს... ხელს ნუ შეუშლით!

მამალი

თხის რქა — მამალი იშვიათი ფრინველია. ის განსაკუთრებული თვისებებით' გამოირჩევა.

მერწყული — უცნაური ვინმეა მამალი. აინტერესებს მხოლოდ ის, რაც უშუალოდ თვითონ ეხება.

თევზი — მამალს ძალიან მოაქვს თავი. ის ქიმერულ პროექტებს ადგენს.

ვერძი — მამალი კარგი მეგობარია. მის აგრესიულობას საზღვარი არა აქვს. მამალი მუდამ ჩხუბის მიზეზს ეძებს.

ხბო — მამალი სხვასთან შედარებით მშვიდია.

ტყუპები — მამალს ვერ გააჩერებ, პირდაპირ ჩხუბისთავია.

კიბო — მამალი გულგახსნილია და ხშირად ცუდად იყენებენ მის ამ თვისებას.

ლომი — მამალი მამაცია. ის არაიშვიათად სწირავს თავს უბრალოდ, არც ისე მნიშვნელოვანი საქმისათვის.

ქალწული — მამალი მტკიცეა და შეუპოვარი.

სასწორი — მამალი ყველაფერს გემოვნებით აკეთებს, ის მშვიდია და შემრიგებლური ხასიათი აქვს. არის დიპლომატი.

ღრიანკალი — მამალი დახვეწილია და საინტერესო.

მშვილდოსანი — მამალი დაჯილდოებულია ერთგულებით.

ძაღლი

თხის რქა — ძაღლი მშფოთვარეა. მაგრამ ფრთხილია და მისი ნდობა შეიძლება.

მერწყული — ძაღლი ნასწავლია და ინტელექტუალური.

თევზი — ძაღლი ორიგინალურია. მას უყვარს ცურვა.

ვერძი — ძაღლი ერთგულებით გამოირჩევა. ის უდრეკი მებრძოლია.

ხბო — ძაღლი ერთგულია, მაგრამ ნაკლებად შორს-მკვრეტელი. ის არც ისე დიდი ცინიკოსია, როგორც ამბობენ.

ტუუპები — ძაღლი მცოდნეა. ის ბევრს ყეფს, მაგრამ გული კეთილი აქვს.

კიბო — ძაღლის სუსტი მხარე მეტისმეტი მგრძნობიაროობაა.

ლომი — მტრების დასაფრთხობად ძაღლი სულ ყეფს და ხმაურობს.

ქალწული — ძაღლი ტექნიკურია. ის ადვილად არ იხიბლება.

სასწორი — ძაღლს დიპლომატია აკლია. მას რბილი ხასიათი აქვს.

ღრიანკალი — ძაღლი ხშირად მძვინვარებს. ნუ მიენდობით, როცა საომარ ყიჟინას დასცემს.

მშვილდოსანი — ძაღლი ენერგიულია. მას ვერაფერი შეაჩერებს.

ლორი

თხის რქა — როგორც ლორი მეტისმეტად მკაცრია.

მერწყული — ლორი ეფექტურია. ის იცავს წონასწორობას. ლორი მიაღწევს წარმატებას.

თევზი — ლორი ნამდვილი ლორია.

ვერძი — ლორს ოქროს გული აქვს.

ხბო — ლორი მომხიბვლელია. მას სათუთი გული აქვს.

ტყუპები — სულელი ლორი, ის შორს წავიდოდა, რომ გოჰები არ უშლიდნენ ხელს.

კიბო — ლორი მდიდარია. ის ფრთხილად უნდა იყოს, რათა არ შეჭამონ.

ლომი — ლორი ფულის ყულაბაა. მას კარგი გული აქვს.

სასწორი — ლორი ლორია. უყვარს შავი დღისათვის მარაგის გაკეთება.

ღრიანკალი — როგორც ლორი მკაცრია, ამასთან, შეუძლია ლორობა გამოიჩინოს.

მშვილდოსანი — ლორი ლოგიკურია. ის ქონს იგროვებს.

ГОРОСКОПЫ

ГОРОСКОП ДРУИД
ЯПОНСКИЙ ГОРОСКОП
ЗАПАДНЫЙ ГОРОСКОП
КИТАЙСКИЙ ГОРОСКОП
СМЕШАННЫЙ ГОРОСКОП

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси 1990

მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ს. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი მ. ჩხაიძე
გამომშვები ნ. რაშიევა

ს ბ — 6059

ჩაბარდა წარმოებას 4.05.90. ხელმოწერილია საბეჭდად 14.06.90. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 5.25; პირობითი საღებავგატარება 5; ტირაჟი 5000 ეგზ. შეკვეთა № 281
ფასი 5 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის პრ. 42. თბილისი, 1990

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по печати, г. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.